იუ სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

ლევან სანიკიძე

რომის იმპერია

ნაკვეთი მეორე

დომინატი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

9 (3)
9 (37)
ს 262

წინამღებარე ნაშრომი არის გაგრძელება 1969 წელს გამოცემული „რომის იმპერიის" პირველი ნაკეთისა („პრინციპატი"). ორივე წიგნი, სასელმძღვანელოს პრინციპებიდან გამომდინარე, უკვე დიდი ხნის აღიარებული საბჭოური ისტორიოგრაფიისა (განსაკუთრებით, ვ. ს. სერგეევის, ნ. ა. მაშკინის, ს. ი. კოვალევის შრომები) და პროგრესულ-საზღვარგარეთული ანტიკოლოგიის მიღწევებს ემყარება.

ავტორი ცდილობდა, რომ მისი წიგნი საინტერესო საკითხავი ყოფილიყო არამარტო სტუდენტთა და მასწავლებელთათვის, არამედ ანტიკურობით დაინტერესებული ყოველი მკითხველისათვის.

1—6—2

თავი I დიოკლეტიანეს მმართველობა

1. დომინატი

დომინატი არის მეორე და უკანასკნელი საფეხური რომის მონათმფლობელური იმპერიისა. ტერმინი წარმოსდგა ლათინური სიტყვისაგან „dominus", რაც ქართულად „ბატონს" ან „მბრძანებელს" ნიშნავს.

ჯერ კიდევ იმპერატორი ავრელიანე უწოდებდა თავის თავს dominus et deus („ბატონი და ღმერთი"), მაგრამ დომინატის ოფიციალურად აღიარება მაინც დიოკლეტიანეს დროიდან იწყება.

ფორმალური თვალსაზრისით „დომინატი" უპირისპირდება „პრინციპატს", რომელიც საიმპერიო-მონარქიულ ხელისუფლებას აქამდე ძველ-რომაული „რესპუბლიკის" სამოსელში წარმოგვიდგენდა. ბოლოს და ბოლოს, უხეშმა და გაურანდავმა ჯარისკაცთა იმპერატორებმა უკვე დიდი ხნის მანძილზე რეალურად დამკვიდრებულ მონარქიას ეს შილიფი, ძონძადქცეული საბურველიც ჩამოჰგლიჯეს და ძველ-აღმოსავლური დესპოტიის მსგავს ერთპიროვნულ მბრძანებლობას მისი ნამდვილი სახელი დაარქვეს.

სოციალური, კლასობრივი და ეკონომიური თვალსაზრისით დომინატი გულისხმობდა კატასტროფულ კრიზისში ჩავარდნილი მონათმფლობელური სისტემის გადარჩენას და რაღაც „ახალი ფორმით" აღორძინებას. საძირკველშერყეული მონათმფლობელთა კლასი ამიერიდან უკანასკნელად ცდილობს თავისი მბრძანებლობის შენარჩუნება აბსოლუტური მონარქიის საშუალებით მოახდინოს.

დომინატის დროინდელი იმპერატორულ-დესპოტური ხელისუფლება საბოლოოდ აცამტვერებს სენატის, როგორც ძველი „რესპუბლიკის ტვინის", სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმალურ ფუნქციებსაც. ამიერიდან სენატორები, ძველი „მამანი ერამშობლოისა", იმპერატორის მორჩილ სახელმწიფო მოხელეებად იქცევიან.

იმპერატორ-დომინუსის გარშემო იქმნება უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი, ვითარდება ადმინისტრაციული სისტემა, კანონ-

დება ტახტის მემკვიდრეობის პრინციპები, ტარდება არმიის რეორგანიზაციის და რეფორმირების ცდები.

დომინატის ეპოქაში კიდევ უფრო აშკარა ხდება მონათმფლობელობის როგორც სამეურნეო სისტემის დრომოჭმულობა. სამეურნეო ცხოვრებისა და ეკონომიური ქმნადობის პროცესში მძლავრად ბატონდება კოლონატი. III საუკუნის იმპერატორთაგან მოხადქცეული და რომის მსხვილ მიწათმეურნეობებში დასაქმებული „ბარბაროსები" უფრო კოლონებად გვევლინებიან, ვიდრე მონებად. მონათმფლობელური მიწათმეურნეობა თანდათანობით ბატონყმურ მიწათმეურნეობად იქცევა; ახალი „მონათმფლობელურ-ბატონყმური" კლასი აღარ შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ რომაელ არისტოკრატ-ოპტიმატთაგან. ეს იყო ახალი, სამხედრო ბიუროკრატიული დიდკაცობა, რომელიც რომაელთა და იტალიელთა გარდა. მრავალად მოითვლიდა სამხედრო სამსახურში დაწინაურებულსა და აღზევებულ „ბარბაროს-პროვინციელს".

დომინატის დროინდელი მბრძანებელი კლასის წარმომადგენელთა ეკონომიური ბაზისი იყო ისევ და ისევ მსხვილი მიწათმეურნეობანი — ს ა ლ ტ უ ს ე ბ ი. ხოლო ყველაზე დიდ, კოლოსალურ სალტუსთა მფლობელნი იყვნენ თვითონ იმპერატორები.

დომინატის ხანას ახასიათებს აგრეთვე ფულადი მიმოქცევის დაცემა და ნატურალური მეურნეობის გადიდება. ესეც. თავის მხრივ, აჩქარებდა ძველი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის (მონათმფლობელობა) დაშლისა და მისსავე წიაღში აღმოცენებული ახალი წყობის (ბატონყმობა) განვითარებას.

წმინდა აღმოსავლურ-დესპოტური ფორმა და შინაარსი მიიღო დომინატის დროის სასახლის ეტიკეტმა. „იმპერატორზე" და „დომინუსზე" ლაპარაკობდნენ ვითარცა ღმერთზე. ხმარებაში შეიღოვიდა ფორმულა: „ღვთაებრივი უმაღლესობა" იმპერატორისა. თუ პრინციპატის დროინდელი იმპერატორები მხოლოდ ძოწეული ტოგის წამოსხმით კმაყოფილდებოდნენ, ახლა კეისარ-იმპერატორები დომინატისა იცვამენ ოქრომკედით ნაქარგ, გრძელ, ფართო, აბრეშუმის ან ფარჩის ტანსაცმელს, რომელიც მორთულია მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით; ფეხსაცმლებიც — კეთილშობილი ქვებით მოკაზმული; თავსაბურავიც — ოქროთი და მარგალიტებით დამძიმებული. გაძნელებულია შესვლა თვითონ იმპერატორთან. ხოლო მისაღები პალატნი და სადარბაზონი სავსეა გვარდიელებით, მოხელეებით, კარისკაცებით და საჭურისებით. „ღვთაება-იმპერატორის" ხილვის ნებართვით „გაბედნიერებული" ვალდებული იყო ოქროს ტახტზე მჯდარი ხელმწიფის წინაშე მუხლებზე დაცემული-

ყო, პირისახე იატაკზე დაემხო და სატახტო კიბის საფეხურები და იმპერატორის კაბის კალთა ამბორეყო...

2. თვითონ დიოკლეტიანე

გაიუს ვალერიუს ავრელიუს დიოკლეტიანე (Gaius Valerius Aurelius Diocletianus) რომის იმპერიას განაგებდა 284 წლიდან 305 წლამდე.

დიოკლეტიანე

გავიხსენოთ, რომ იგი წარმოშობით დალმაციიდან იყო, ქალაქ დიოკლეადან; ამიტომ, უბრალო მდაბიოს, გააზატებული მონის შვილს, უბრალოდვე დიოკლეს ეძახდნენ. იგი არ ყოფილა არც მამაცი ჯარისკაცი, არც ნიჭიერი მხედართმთავარი, არც განათლებული კულტუროსანი. მაგრამ, სამაგიეროდ, იყო ჭკვიანი, დაკვირვებული ორგანიზატორი. გულდინჯი ადმინისტრატორი, პრაქტიკული ცხოვრების ანგარიშიანი განმრიგე და ფართო მასშტაბის რეფორმატორი. ყოველდღიურ პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში აშკარად იგრძნობა მისი ძლიერი ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე.

მისი კარიერა ჯარისკაცობით დაიწყო იმპერატორ ავრელიანეს დროს. შემდგომ, პრობუსის კეისრობისას მეზიის მმართველი იყო: პოლოს კარუსის მცველთა გვარდიაში მსახურობდა.

დიოკლეტიანეს შეეძლო თვალთმაქცობა, მას შეეძლო თავისი პატივმოყვარული ხრიკები ჯარისკაცული გულახდილობის ნიღბით დაეფარა. მას დიდი უნარი ჰქონდა ადამიანთა გულის მოგების და თავის სასარგებლოდ მათი გამოყენებისა. იგი ოსტატურად უბამებდა ერთიმეორეს: სიამაყეს და ქედდადრეკილობას, სისასტიკეს და გულმოწყალებას, ხელგაშლილობას და ხელმომჭირნეობას, სიმტკიცესა და მოქნილობას. იყო ცრუმორწმუნე და ფატალისტი. უყვარდა ყოფნა ქურუმთა და მკითხავთა შორის. გულდასმით ჩხრეკ

და სამსჯავრო-სამკითხაო საქონლის შიგნეულს და ძვწოლით ხვდებოდა ცაში უბრალო გაელვებას თუ ჭექა-ქუხილს.

8. „ტეტრარქია"

დიოკლეტიანემ საიმპერიო მემკვიდრეობა უაღრესად კრიზისულ-ქაოსურ მდგომარეობაში მიიღო. ქვეყნის ყოველ კუთხეში აჯანყება მძვინვარებს. ახალ-ახალი უზურპატორები მოილტვიან იმპერატორის ტახტ-გვირგვინის დასაუფლებლად: ორმა სოციალური და სამეურნეო კრიზისი არყევს იმპერიას: მოშლილია ტრანსპორტი; უმაგალითოდ იზრდება ფასი ყოველი სახის პროდუქციაზე; ძვირდება მუშახელი; ფართოვდება სპეკულაცია: საგსებით გაუფასურებულია ფულის კურსი და დაცემულია მთელი ფინანსური მეურნეობა.

ასეთი სახელმწიფოს გაძღოლა და მართვა-გამგეობა ძალზე ძნელი იყო. ნგრევის გზაზე შემდგარი მსოფლიო იმპერიის მოვლა-პატრონობის უკეთ-წარმართვისათვის დიოკლეტიანემ დაადგინა თავისებური პოლიტიკური მმართველობის ფორმა — „ტეტრარქია", რაც, სახელდებისდა მიხედვით, ოთხი კაცის გამგებლობას გულისხმობდა.

მანამდეც იყო შემთხვევები, როცა რომის ერთიან იმპერიას ორი ან სამი იმპერატორი „მამა-შვილური" თანამმართველობით განაგებდა (მაგალითად, მარკუს ავრელიუსი და ლუციუს ვერუსი, სეპტიმიუს სევერუსი და მისი ორი ვაჟი, შემდეგ ვალერიანე და გალიენე და სხვ).

დიოკლეტიანემ ასეთი საიმპერატორო თანამმართველობა ნამდვილ პოლიტიკურ სისტემად აქცია.

ტახტზე ასვლისთანავე (284 წ.) მან თანამმართველად და თანახელმწიფოდ გამოაცხადა თავისივე თანამემამულე და თანამებრძოლი მ ა ქ ს ი მ ი ა ნ ე (სრული სახელით — მარკუს ავრელიუს ვალერიუს მაქსიმიანე), წარმოშობით უბრალო, საგსებით გაუნათლებელი გლეხი ქ. სირმიუმის მახლობელი სოფლიდან.

ორივეს, დიოკლეტიანესაც და მაქსიმიანესაც, ერთნაირი ტიტული ჰქონდათ — ა ვ გ უ ს ტ უ ს ი.

293 წელს ორივე ავგუსტუსმა თითო ახალი თანაშემწე დაინიშნა, კ ე ი ს რ ე ბ ი ს სახელწოდებით. კეისრები იმავე დროს ავგუსტუსთა მემკვიდრეებად გამოცხადდნენ.

დიოკლეტიანემ თავის კეისრად დაისვა გ ა ლ ე რ ი უ ს ი (სრული სახელით — გაიუს გალერიუს ვალერიუს მაქსიმიანე), ახალგაზრდობაში მწყემსი (თუმცა ხმას ავრცელებდა, დედაჩემს რომელი-

ღაც გველადქცეული ღმერთისაგან შევძენივარო!) და სიკვდილამდე გაუნათლებელი კაცი, მაგრამ მკაცრი და ენერგიული ჯარისკაცი. ხოლო მაქსიმიანეს თანაშემწე და მემკვიდრე-კეისრად გამოცხადდა კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს ი, რომელსაც ზედმეტ სახელად, სახის სიკვითლის გამო, ხ ლ ო რ უ ს ს ა ც უწოდებდნენ (სრული სახელით — გაიუს ფლავიუს ვალერიუს კონსტანციუს ხლორუსი). კონსტანციუს ხლორუსი იყო ერთადერთი განათლებული კაცი ამ „დიდებულ ოთხეულს“ შორის; წარმოშობითაც წარჩინებული (მცირე აზიული დარდანიიდან) და იმპერატორ კლავდიუს II-ის ნათესავი.

ტეტრარქთა კიდევ უფრო დაახლოებისა და დაკავშირებისათვის გადაწყდა მათი ურთიერთდამოყვრებაც. დიოკლეტიანეს მოთხოვნით, კეისრები თავიანთ პირვანდელ ცოლებს გაეყარნენ და ავგუსტუსებს დაუსიძევდნენ: გალერიუსი დაქორწინდა დიოკლეტიანეს ასულზე, ვალერიაზე; კონსტანციუსმა ცოლად შეირთო მაქსიმიანეს გერი, თეოდორა.

დიოკლეტიანემ დაადგინა, რომ ოცი წლის ხელმწიფობის შემდეგ ორივე ავგუსტუსი გადადგებოდა და მათ ადგილებს მემკვიდრე-კეისრები დაიჭერდნენ.

მაშ, ახლა რომის იმპერიას ოთხი იმპერატორი განაგებს: ორი ავგუსტუსი და ორი კეისარი. აღმოსავლეთს განაგებენ დიოკლეტიანე და გალერიუსი, დასავლეთს — მაქსიმიანე და კონსტანციუს ხლორუსი. უფრო კონკრეტულად: ავგუსტუსი დიოკლეტიანე თავის სატახტოდ ირჩევს აზიურ ქალაქ ნ ი კ ო მ ე დ ი ა ს და სამმართველოდ ღებულობს აზიურ პროვინციებს, თრაკიასა და ეგვიპტეს; ხოლო გალერიუსმა კეისრის ტახტი დაიდგა მშობლიურ ქალაქ ს ი რ მ ი უ მ შ ი და სამმართველოდ ჩაიბარა დუნაისპირეთი და ბალკანეთი. მეორე ავგუსტუსი, მაქსიმიანე, სატახტოდ აცხადებს ქ. მ ე დ ი ო ლ ა ნ ს (ახლ. მილანო) და აქედან განაგებს იტალიასა და აფრიკას; ხოლო მისი კეისარი კონსტანციუს ხლორუსი ჯდება ქალაქ ტ რ ე ვ ი რ შ ი (ახლ. ტრირი) და მეთაურობს ბრიტანეთს, გალიასა და ესპანეთს.

ძალზე ნიშანდობლივია ფაქტი იმის შესახებ, რომ არც ერთ იმპერატორს რომში არ დაუდგამს საიმპერატორო ტახტი. თითქოს მათ უგულებელჰყვეს „მარადიული რომის“ (Roma acterna) მსოფლიო მნიშვნელობა; თითქოს მას წაერთვა „მსოფლიოს ცენტრის“ ფუნქციები. თვითონ დიოკლეტიანე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა რომში და უმალვე ტოვებდა მას. იღბლიანი ფორტუნის ეს „უჯიშო“ რჩეული თვალს ვერ უსწორებდა მრავალ დიდებათა მოსწრე კაპიტოლიუმის ბრწყინვალებას და მის გულზვიად მოხელეთა დამცინავ მზერას.

რომის დამდაბლება, უპირველეს ყოვლისა, სენატის „უმაღლეს ფუნქციათა“ სულ გაცამტვერებას გულისხმობდა. დიოკლეტიანემ სენატს მხოლოდ სანახაობათა გამართვის უფლება დაუტოვა და ისიც იმპერატორის სანქციისა და კონტროლის ქვეშ. კიდევ უფრო უპატიურად და უხეშად ექცეოდა სენატს სასტიკი ბუნების მაქსიმიანე. ბევრი სენატორი, „შეთქმულების ცდის“ მოტივით, სიკვდილით დაისაჯა, ან განიდევნა და განპატიჟებულ იქნა.

სენატის დასაცავად თავი წამოუყენეს პრეტორიანელებმა, რომლებიც ხედავდნენ, რომ თვითონაც იდევნებოდნენ საიმპერიო პოლიტიკის ავანსცენიდან. ავგუსტუსებმაც სასურველი საბაბი ხელზე დაიხვიეს და პრეტორიანული გვარდია, რომელიც საუკუნეების მანძილზე იმპერიაზე და იმპერატორებზე ბატონობდა, არარაობად აქციეს. მისი რიცხვი უაღრესად შეამცირეს და ყოველგვარი პრივილეგია წაართვეს. პრეტორიანული გვარდიის ადგილი დაიჭირა ორმა ლეგიონმა, რომლებიც სულ ერთიანად დიოკლეტიანეს თანამემამულე ილირიელი მეომრებისაგან შედგებოდა. ამ ლეგიონებს ევალებოდათ ავგუსტუსთა „ღვთაებრივი პიროვნების“ დაცვა. ერთ მათგანს იუპიტერის ლეგიონი ეწოდა, მეორეს ჰერკულესის ლეგიონი (იოვიელები და ჰერკულიანები). ამიერიდან ეს ლეგიონები წარმოადგენდნენ ახალ პრეტორიანულ გვარდიებს.

დიოკლეტიანემ რომისადმი პატივისცემა მხოლოდ რამდენიმე აულტურული აღმშენებლობით გამოხატა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გრანდიოზული თერმები 3.000 ოთახით. ამას გარდა მან რომში ააგო რამდენიმე ტაძარი და პორტიკი.

4. ადმინისტრაციული რეფორმა

ადრე, რესპუბლიკისა და პრინციპატის დროს, რომის მბრძანებლობის ქვეშ მოქცეული პროვინციები უმეტეს წილად თავისი ადრინდელი, ტრადიციული საზღვრებით იყვნენ შემოფარგლულნი.

დიოკლეტიანემ ეს ტრადიცია პირველმა დაარღვია და იმპერია ახალი ადმინისტრაციული პრინციპებით დაანაწილა. მან რომის სახელმწიფო დაჰყო დ ი ო ც ე ზ ე ბ ა დ (ბერძნული სიტყვისაგან „დიოკესის“—მმართველობა). სულ იყო 12 დიოცეზი:

1) აღმოსავლეთი (ეგვიპტე, კირენაიკა, სირია, მესოპოტამია, არაბეთი);

2) პონტო;

3) აზია (მცირე აზია);

4) თრაკია (თრაკია და ქვემო მეზია);

5) მეზია (ზემო მეზია, აქაია, ეპირი და კრეტა);

6) პანონია და ნორიკი;
7) იტალია (სიცილიითურთ);
8) ვიენა (სამხრეთ გალია);
9) გალია;
10) ბრიტანეთი;
11) ესპანეთი;
12) აფრიკა (კირენაიკიდან ატლანტის ოკეანემდე).

თითოეულ დიოცეზში რამდენიმე პროვინცია შედიოდა. სულ იყო 101 პროვინცია (რომის საგანგებო ადმინისტრაციულ ოლქთან ერთად).

დიოცეზების სათავეში იდგნენ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტთა მოადგილენი, რომელთაც ვიკარიუსები ეწოდებოდათ. როგორც ითქვა, ახალი პრეტორიანული გვარდია თავიანთი პრეფექტებით იყო ორი: ერთი დიოკლეტიანესთან, მეორე—მაქსიმიანესთან. ამისდა მიხედვით ექვსი ვიკარიუსი მოადგილეებად და დიოცეზთა მმართველებად ემორჩილებოდა ერთ პრეფექტს, მეორე ექვსი — მეორე პრეფექტს.

ახლად წარმოქმნილ დიოცეზებსა და პროვინციებში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება მკაცრად იყო ერთმანეთისაგან გაყოფილი. ამით დიოკლეტიანეს სურდა აღეკვეთა ახალი უზურპაციების ცდები. მხოლოდ პრეტორიანული გვარდიის პრეფექტები, ვითარცა ავგუსტუსთა საყრდენნი, ჯერჯერობით ისევ ინარჩუნებენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ერთიანობას.

5. სამხედრო რეფორმა

დიოკლეტიანეს მთელი გულისყური უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო იმპერიის სამხედრო სიძლიერის ამაღლებისაკენ. მას სურდა ჰყოლოდა ძლიერი არმიები, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნებოდა პირადი ხელისუფლების შენარჩუნება, სახელმწიფო საზღვართა დაცვა და შინაგან მღელვარებათა დაცხრობა. ამ მიზნით დიოკლეტიანე წლების მანძილზე ამუშავებდა და ატარებდა სამხედრო რეფორმას, რომლის სრულყოფილად დასრულება ძლივს მოხერხდა შემდგომში, კონსტანტინესა და მის მემკვიდრეთა ხანაში.

დიოკლეტიანემდე რომაული არმიები ლეგიონებად იყენენ განლაგებულნი სასაზღვრო ბანაკებში (castra) და ციხე-სიმაგრეებში (castella). დროთა განმავლობაში ასე დასახლებული ჯარისკაცები ადგილობრივ გარემოს ეთვისებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში

მათი აყრა და სხვაგან გადაყვანა ძალიან ძნელი ხდებოდა. ამას ხშირად ჯარების მღელვარებაც მოჰყვებოდა ხოლმე, რაც უმრავლეს შემთხვევაში ახალი იმპერატორის წამოყენებით მთავრდებოდა.

დიოკლეტიანემ სასაზღვრო ჯარები, ანუ ლ ი მ ი ტ ა ნ ე ბ ი (limitanei სიტყვისაგან limes-„საზღვარი") თავიანთ ადგილზე დატოვა. მაგრამ ამას გარდა შექმნა მათზე უფრო ძლიერი არმიები, განლაგებულნი ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პუნქტებში. ამათ ეწოდებოდათ კ ო მ ი ტ ა ტ ე ბ ი (comitatenses-„თანამგზავრები"). მობილური, სწრაფი ჯარები, რომელთა გადასროლა ერთი ადგილიდან მეორეზე გაცილებით მოსახერხებელი იყო, ვიდრე ლიმიტანებისა. საჭიროების შემთხვევაში, იმპერატორს შეეძლო თავისი თანამგზავრი „კომიტატები" წარმატებით დაეძრა თავის ლიმიტანების ბანაკებისაკენ, რომლებიც ახალ უზურპატორთა ტრადიციულ ბუდეს წარმოადგენდნენ.

მთელი რომის იმპერიის, ყველა სახმელეთო და საზღვაო ძალთა მთავარსარდალი იყო თვითონ იმპერატორი. მას ემორჩილებოდნენ ცალკეულ არმიათა მეთაურები, ანუ მ ა გ ი ს ტ რ ე ბ ი (magistres), ხოლო მაგისტრთა ქვემოთ იდგნენ ცალკეულ ოლქთა სამხედრო უფროსები, ანუ დ უ კ ე ბ ი (სიტყვისაგან dux-„ბელადი", „სარდალი").

დიდი ყურადღება ექცევა არმიაში სამხედრო დისციპლინის აღდგენასა და განმტკიცებას. იმპერატორი ადრინდელ უფლებებს უკვეცავს ცალკეულ არმიათა სარდლებს (ვითარცა მოსალოდნელ მეტოქეებს) და მთელი გულისყური გადააქვს ჯარისკაცთა ერთგულებისა და თავდადების მოხვეჭისაკენ. დიოკლეტიანეს მონეტებზე გაჩნდა წარწერები: „ერთგულება ჯარისკაცთა" (fides militum), „სიმამაცე ჯარისკაცთა" (virtus militum).

ახალმა სამხედრო ღონისძიებებმა ბუნებრივად მოითხოვა მოსახლეობის გასამხედროების მაქსიმალური ზრდა. ადრე არმია ძირითადად მოხალისეებით კომპლექტდებოდა. ამასთან ერთად, დიოკლეტიანემ დაიწყო სამხედრო სამსახურში სავალდებულო გაწვევა. არმიაში მიჰყავდათ ყოველგვარი სოციალური წარმოშობის რეკრუტები, მათ შორის მონები, კოლონები, ტყვედ გარეკილი და რომის ამფლობელო-საზღვრებზე დასახლებული ბარბაროსები.

6. საგადასახადო რეფორმა

უზარმაზარი არმიების მოვლა-პატრონობა, გრანდიოზული მშენებლობანი და აღმოსავლურ-ხელმწიფურ ყაიდაზე ცხოვრება აურაცხელ ხარჯებს მოითხოვდა. სახელმწიფო ხაზინა კი კვლავ

დაცარიელებული იყო; ფინანსური კრიზისი კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა.

დიოკლეტიანემაც ასეთ პირობებში (ისე, ვითარცა ყოველ დროში ყოველი ხელმწიფე) ხალხის ქედს დაადგა ფეხი.

დიოკლეტიანეს გახელმწიფებამდე რომში რამდენიმე სახის საგადასახადო კატეგორია მოქმედებდა. ზოგი პროვინცია პირდაპირ ფულად ხარკს იხდიდა, ზოგი ნატურალური შემოსავლის მეათედს, მეშვიდედს, ან მეხუთედს. უფრო ხშირად ეს ნატურალური პროდუქცია ფულის კურსზე გადაჰყავდათ და სახელმწიფო ხაზინას ისე აბარებდნენ.

ფულის კურსის დაცემისა და გაუფასურების გამო ხელისუფლება დრო და დრო (არარეგულარულად) მიმართავდა ნატურალურ დაბეგვრას. ეს იყო თავისებური ექსტრაორდინალური განკარგულებანი, ე. წ. ინდიკციები (indictiones), ნატურალური პროდუქციის ამოსაღებად, რაც გათვალისწინებული იყო რომის მოსახლეობის, მისი დამცველი არმიისა და ბიუროკრატიული აპარატის შესანახავად. ამას მეორენაირად წლიურ გადასახადს, ანონას (სიტყვისაგან annus-წელი) უწოდებდნენ. ანონის დროს ესა თუ იხ პროვინცია სახელმწიფოს ყველაფერს აბარებდა ნატურით: პური, ღვინო, ხორცი, ერბო, ზეთი, ლობიო, ნიორი, ხახვი, ხილი და სხვ. როგორც ჩანს, ასეთი ღონისძიება რეკვიზიციის ხასიათსაც ატარებდა.

დიოკლეტიანემ მანამდე პერიოდულად წარმოებული ინდიქციები და ანონები მუდმივ სავალდებულო სისტემად გადააქცია.

მაშასადამე, დიოკლეტიანემ მთელი სამეურნეო და საგადასახადო სისტემის ნატურალიზაცია მოახდინა. ამიერიდან ყველა პროვინცია (მათ შორის იტალიაც) ნატურალურ გადასახადს იხდიდა.

289—290 წლებში მთელს იმპერიაში მოეწყო მოსახლეობის გენერალური აღწერა, რომლის მიხედვითაც დაიწყო გადასახადების გაწერა (census). დგებოდა საცენზო სიები, კადასტრები, რომლებშიც აღირიცხებოდა გადამხდელი მოსახლე და მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება: სასნავ-სათესი მიწა, ვენახი, საძოვარი, მონები, ჯოგი, ყოველგვარი სამუშაო საშუალებები. ცენზი ყოველ მეხუთე წელს მეორდებოდა და გადასახადიც ამ ხნის მანძილზე მომხდარი ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა.

გადასახადი იყო სულადობრივი (capitatio), „თავების" (caput-თავი) მიხედვით. თითოეულ „თავში" იგულისხმებოდა მოზრდილი

მიწათმოქმედი-მამაკაცი ისე, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონოდა სოციალურ წარმოშობას: ერთნაირად იბეგრებოდა სენატორი და მხედარი, პლებეი და აზატი, კოლონი და მონა. ერთ მამაკაცთან (ე. ი. დაბეგვრის ერთეულთან) შეფარდებული იყო ორი დედაკაცი. შემდეგ — რაოდენობა დამუშავებული მიწისა, ტყისა, მინდვრისა, საქონლისა და ა. შ.

საგადასახადო მიწები იყოფოდა მოსავლიანობა-ნაყოფიერების მიხედვით. ერთ „თავ" დასაბეგრს ეფარდებოდა 20 იუგერი პირველი ხარისხის მიწა (იუგერი უდრის ჰექტრის მეოთხედს), მეორე ხარისხისა — 40 იუგერი და მესამე ხარისხისა — 60 იუგერი; ვენახი — ერთ დასაბეგრ ერთეულზე — ძველი კაზი 225 ძირი, ხოლო ახალი ვაზი—450 ძირი.

გადასახადების აკრეფა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. დიდი იყო გადასახადი; მკაცრი იყო მისი ამოქაჩვის მეთოდები. ერთი ძველი ავტორი (ლაქტანციუსი) გადმოგვცემს:

„არც ასაკი, არც ავადმყოფობა არ ითვლებოდა საპატიო მიზეზად. ავადმყოფები და დავრდომილები მიჰყავდათ საკაცეებით, თვითნებურად აწესებდნენ წლოვანებას, ბავშვებს წლებს უმატებდნენ, მოხუცებს კი — აკლებდნენ. ქვეყანა ცრემლითა და გოდებით ივსებოდა".

მეტად დამახასიათებელია ერთი ქვრივი ქალის ნაამბობი:

„მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი გადასახადის (300 სოლიდი) შეუტანლობისათვის გაჯოხეს და საპყრობილეში ჩასვეს, ხოლო ჩემი სამი საყვარელი შვილი გამიყიდეს, მე გამოვიქეცი და მას შემდეგ უგზოუკვლოდ, ერთი ადგილიდან მეორეზე დავხეტიალობ, უდაბნოში დავწანწალებ, ხშირად მიჭერენ და მამათრახებენ; ეს სამი დღეა უდაბნოში ვაგდივარ ულუკმაპუროდ, მშიერ-მწყურვალი".

გადასახადის სიმძიმით წელგაწყვეტილი ხალხიდან ბევრი მეურნეობას სულ ტოვებდა და ანგარიშმიუცემლად სადღაც გარბოდა. სახნავ-სათესი მიწები უპატრონოდ რჩებოდა და ვერანდებოდა.

დიოკლეტიანეს საგადასახადო-ნატურალური სისტემა უეჭველად მნიშვნელოვანი საფეხური იყო მონათმფლობელობის რღვევისა და ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობის ხანგრძლივ გზაზე.

7. ფინანსური რეფორმა

დაცემული ფულადი მეურნეობის აღსადგენად და ფულის კურსის ასაწევად დიოკლეტიანემ გაატარა ს ა მ ო ნ ე ტ ო, ანუ ფულის რეფორმა. ძირითად ფულად ერთეულად დადგენილი იქნა სოულ-ფასოვანი ოქროს მონეტა, ოქროს დენარიუსი (denarius aureus).

ერთი რომაული გირვანქიდან (327 გრამი) უნდა ჩამოსხმულიყო 60 ოქროს მონეტა, ხოლო ამის შესაბამისად — ერთი გირვანქა ვერცხლიდან 96 ვერცხლის დენარიუსი და გირვანქა სპილენძიდან— 30 სპილენძის ფული.

სამივე სახის მონეტებს შორის ცხადდებოდა ასეთი თანაფარდობა: გირვანქა ოქრო=სამოც ოქროს ფულს=1.500 ვერცხლის მონეტას=24.000 სპილენძის ფულს.

დიოკლეტიანეს სამონეტო რეფორმამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა სახელმწიფოს.

საქმე იმაშია, რომ ოქროსა და დანარჩენ მონეტათა შეფარდება სავსებით ხელოვნური იყო. ოქროს კურსი ძალიან მაღალი იყო. ამიტომ იგი მოსახლეობაში დაუნჯების საგანი შეიქმნა და ფულადი ბრუნვიდან ერთბაშად გაქრა. სამაგიეროდ დაბალი ღირებულების მონეტების რიცხვი ძალიან გაიზარდა, ხოლო ამას შედეგად მოჰყვა ფულის გაიაფება და პირველი მოთხოვნილების საგნების გაძვირება. ასეთმა მდგომარეობამ იმპერიის ბევრ კუთხეში ხალხის მღელვარება და აჯანყებაც კი გამოიწვია. დიოკლეტიანემ ძლივს მოახერხა „მონეტის ჯანყთა“ ჩახშობა.

8. ედიქტი ფასების შესახებ

301 წელს დიოკლეტიანემ გამოსცა ედიქტი საყოველთაო ფასების შესახებ (edictum de pretiis rerum venalium). ამ ღონისძიებით იმპერატორი ბრძოლას უცხადებდა საოცრად გაზრდილ სიძვირეს, სპეკულაციასა და ანგარებას. უნდა აღდგენილიყო წონასწორობა ფულის ნომინალურ ფასსა და მის რეალურ ღირებულებას შორის, პროდუქტების ფასსა და ხელფასს შორის.

ჩვენამდე მოღწეულია ედიქტის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. ჯერ შესავალ ნაწილში მაღალფარდოვანი, პათეტიკური სტილით წარმოდგენილია დიოკლეტიანეს მეთაურობით მოპოვებული „კეთილდღეობა“ რომის „ბედნიერ სახელმწიფოში“:

„ჩვენს ბედნიერ სახელმწიფოს, რომელსაც უკვდავ ღმერთებთან ერთად უნდა მივუძღვნათ მადლობა, მოვიგონებთ რა ჩვენ მიერ წარმატებით წარმოებულ ომებსა და გამარჯვებებს, რის შედეგადაც ჩვენი სახელმწიფო უშფოთველად მიეცა უღრმეს მყუდროებას, გვეევალება მხარი დავუჭიროთ და ღირსეულად შევამკოთ იგი მშვიდობიანობის კეთილდღეობით, რისთვისაც ჩვენ ბევრი გვიშრომია და უხვად ოფლი დაგვიქცევია“.

„სახელმწიფოს სახელი, რომის ღირსება და დიდება მოითხოვს, რათა ჩვენ, ჩავაქრეთ რა კეთილ ღმერთთა შემწეობით წინადროინ-

დელი აბობოქრებულ ბარბაროს ტომთა შემოტევები და დაკ-
მორჩილეთ თვით ეგ ხალხები, ყიცავდეთ სამართლიანობის შესა-
ტყვისი ღონისძიებებით იმ მშვიდობიანობას, რომელსაც (ჩვენის ხე-
ლით) სამარადისოდ ჩაეყარა საფუძველი".

დიოკლეტიანეს მიერ დამყარებული „საყოველთაო კეთილდღე-
ობის" საზეიმო დასასიათების შემდეგ ედიქტში წარმოდგენილია სა-
ხელმწიფოს რეალური მდგომარეობა: საყოველთაო ეკონომიური
კრიზისი, ანგარება, სპეკულაცია, ძალმომრეობა:

„ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი ადამიანები (სპეკულანტები), გარი-
გებებში დახელოვნებულნი, მუდამ იმაზე ფიქრობენ, თვით ცაზე
მოძრავ მნათობებსაც როგორ წაართვან ძალაუფლება ჰაერზე და
ამინდზე. მათ თავიანთი ბოროტებით ვერ აუტანიათ ის, რომ კე-
თილნაყოფიერი ველ-მინდვრები მოსავლის იმედის მომცემი წვი-
მებით ზეციდან ირწყვება. მათ თავიანთ ზარალად მიაჩნიათ, რომ
კეთილშეზავებული ჰაერი უხვ მოსავალს იძლევა. ისინი ცდილო-
ბენ სარგებლობა თვით ღვთის სიკეთისაგან მიიღონ და სამაგი-
ეროდ მოუსავლიან წლებში თესლეულსა და საიჯარო ვალდებუ-
ლებებზე ვაჭრობენ. თავად ჩაფლულნი უდიდეს სიმდიდრეში, რომ-
ლითაც შეიძლებოდა უამრავი ხალხის რჩენა, მისდევენ პირად გა-
მორჩენას, ეტანებიან მყვლეფავ პროცენტებს. დე, ბოლო მო-
ეღოს მათ გაუმაძღრობას და ჩვენი პროვინციების მძარცველობას;
ამას მტკიცედ მოითხოვს ზოგადადამიანური მოსაზრებანი".

შემდეგ, ედიქტის ავტორი შეშფოთებით წერს იმის შესახებ,
თუ როგორი გავლენა მოახდინა სიძვირემ და სპეკულაციამ ჯარის-
კაცთა ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ედიქტის ძირითად ნაწილში უაღრესად დაწვრილებით წარმოდ-
გენილია ტ ა რ ი ფ ე ბ ი — გასაყიდი საქონლის ფ ა ს ე ბ ი და შრო-
მის ანაზღაურების ხ ე ლ ფ ა ს თ ა ს ი ა (pretia statuta).

კანონი ყველას მოუწოდებდა „თავგანწირული მორჩილებისაკენ",
ხოლო ურჩობის შემთხვევაში, ედიქტში მოცემული ფასების თვით-
ნებური დარღვევისათვის, ცხადდებოდა სასჯელის უმაღლესი ზომა —
სიკვდილი.

„ვინც ურჩობას გამოიჩენს ამ დადგენილების წინააღმდეგ, იგი
დაჰკარგავს საკუთარ თავს".

9. დიოკლეტიანეს რელიგიური პოლიტიკა

დიოკლეტიანეს სურდა თავისი „რეფორმირებული" სახელმწი-
ფოსათვის ერთიანი იდეოლოგიური სისტემა შეექმნა. იდეოლოგიის
ქვეშ, რასაკვირველია, რელიგია იგულისხმებოდა. დიოკლეტიანეს

მმართველობა ქრისტიანული მოძღვრებისა და მისი კულტის აღმავლობის ხანას ემთხვეოდა, მაგრამ იმპერატორმა ალღო ვერ აუღო ახალი, უფრო პროგრესული, იმპერიის მთლიანობისათვის მოხერხებული რელიგიის პერსპექტიულ სიმძლავრეს. მან სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლად ისევ გარდასული და დრომოჭმული „სახელგატეხილი" და „ავტორიტეტდაცემული" რომაული პანთეონი აირჩია. ასეთი პოლიტიკა, თუ მეტი არა, სამასი წლით უკან დაბრუნებას ნიშნავდა. დიოკლეტიანეს თავის ტიტულატურაში შეაქვს ეპითეტი Jovius (ძე იუპიტერისა); ასევე მაქსიმიანეს — Herculius (ძე ჰერკულესისა). ამით დიოკლეტიანე, ვითარცა ძველ-რომაული „ჰეშმარიტი რელიგიის" რესტავრატორი, ოქტავიანე ავგუსტუსს ბაძავდა. იგი თვლიდა, რომ მისი იმპერიული ხელისუფლების წყარო „უკეთილესი და უზეშთაესი იუპიტერი" (Jupiter Optimus Maximus) იდო. მაგრამ ამავე დროს მას არ შეეძლო არ დაენახა, როგორ დასცინოდნენ იმპერატორსაც და იუპიტერსაც. დიოკლეტიანე სწირად საგანგებოდ გამართულ ასპარეზობაზე იუპიტერის ატრიბუტებით გამოდიოდა. ძველ-ქურუმობას და კონსერვატიულ არისტოკრატიას მოსწონდა მაღალი, ახოვანი მოხუცი, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა-წვერით, ცისფერი თვალებით და მოზრდილი ცხვირით, ოქროთი ნაქარგი ძოწეულის მანტიით, ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გვირგვინით, თეთრი სანდლებითა და შავი ჯვერთხით. მაგრამ ძალიან ბევრი მას, ხალხში და ჯარში, ამრეზითა და ირონიით უიცქერდა.

დიოკლეტიანეს იცოდა (და თუ არ იცოდა, მას მიანიშნებდნენ), რომ ესენი იყვნენ ქრისტიანები. მას შეეძლო შეხვედროდა და ერთითონვე ჩასდგომოდა სათავეში ამ ახალ, მძლავრი ნაბიჯით მომავალ რელიგიას, რაც მისი სახელმწიფოს შერყეულ საფუძვლებს გაამაგრებდა და განამტკიცებდა. მაგრამ გახელმწიფებული ილირიელი გლეხი სწორედ იდეოლოგიის სფეროში აღმოჩნდა სავსებით კონსერვატორი.

იმპერატორი ხედავდა, რომ არმიაში, იუპიტერის სადიდებელი რიტუალის დროს, ჯარისკაცთა უმრავლესობა პირჯვარს იწერდა. მუქარას შედეგი არ მოსდევდა. ისინი სავსებით უშიშრად და გულმოდგინედ აცხადებდნენ, რომ ყველაფერს დასთმობდნენ—პატივსაც, თანამდებობასაც, ქონებასაც და სიცოცხლესაც, მაგრამ წარმართული კულტიდან არაფერს გაიზიარებდნენ და „მაცხოვარ იესოს" არ უღალატებდნენ.

დიოკლეტიანეს რელიგიურ კონსერვატიზმს დიდად უწყობდნენ ხელს რომაული თეოსოფიის მიმდევრები, ქურუმები, იურისტები და

კომენტატორები. ბოლოს, დიოკლეტიანეს ანტიქრისტიანული რეაქციის დაწყებაში დიდი როლი შეასრულა მისმა მოადგილე-კეისარმა გალერიუსმა, რომელიც, თავის მხრივ. წარმართ-ქურუმთა და წარმართი დედის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. გალერიუსი საგანგებოდ ჩავიდა ნიკომედიაში და დიოკლეტიანე საბოლოოდ გამოიყვანა ორჭოფული მდგომარეობიდან.

ასე დაიწყო ქრისტიანობის დევნათა სერიებში (ნერონის, დეციუსის და ვალერიანეს დრონი) ახალი, ყველაზე დიდი ეტაპი. დიოკლეტიანე „შურს იძიებდა" ყველა იმ მარცხისათვის, რაც მან „ქრისტიანებისა და ქრისტეს მიზეზით" განიცადა თავის რეფორმატორულ მოღვაწეობაში.

დაიწყო 303 წელს, 23 თებერვალს, საზღვრის ღმერთის ტ ე რ მ ი ნ უ ს ი ს (Terminus) სადიდებელი დღესასწაულის — ტ ე რ მ ი ნ ა ლ ი ი ს დღეს. ეს დრო საგანგებოდ იქნა შერჩეული: სწორედ ამ დღეს „საზღვარი უნდა დასდებოდა" ქრისტიანობის გავრცელებას.

ნიკომედიაში მდგარი მეომრები, უეჭველად იმპერატორის წაქეზებით, შეიჭრენ იქვე მდებარე ბრწყინვალე ქრისტიანულ ეკლესიაში და მთლიანად გაძარცვეს და ააოხრეს იგი. ამას მაშინვე მოჰყვა გამოქვეყნება იმპერატორის ედიქტისა, რომელიც კრძალავდა ქრისტიანთა შეკრებას და ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, მოითხოვდა ქრისტიანულ წიგნთა დაწვასა და ეკლესიათა . დანგრევას. ედიქტი თანამდებობას, ჩინსა და პატივს ართმევდა ყველა თანამდებობის პირს. ვინც ქრისტიანობას არ უარყოფდა და წარმართობაზ ერ დაუბრუნდებოდა. გაქრისტიანებულ მონას საბოლოოდ ერთმეოდა გააზატების უფლება. ქრისტიანთა გასამართლების დროს დაშვებული იყო სასტიკი წამება, განურჩეველად სოციალური წარმოშობისა.

ედიქტს აკრავდნენ ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე და სიკვდილით სჯიდნენ ყველას, ვინც მისი ხელის ხლებას გაბედავდა. რომელიღაც ქრისტიანმა ედიქტი მაინც ჩამოგლიჯა, ნაკუწებად აქცია და მისი ავტორი დამცინავი აგდებული სიტყვებით მოიხსენია. ეს თავზეხელაღებული ფანატიკოსი ნელ ცეცხლზე დადეს და, თუ იმდროინდელ წყაროებს დავუჯერებთ, „ქრისტესთვის წამებულს" ამ ხანგრძლივი წვის დროს, სიკვდილამდე პირზე ღიმილი არ მოშორებია. იმავე დღეს ხანძარი გაჩნდა იმპერატორის სასახლეში. ეს კი საკმაოდ იმის საბაბად. რომ ხანძარიც ქრისტიანებისათვის დაებრალებინათ (როგორც ადრე, ნერონის დროს) და მათი მოსპობაც უფრო მკაცრი რეპრესიებით ეწარმოებინათ. გამოცემული იქნა მეორე ედიქტი, რომლის ძალითაც დაიწყეს ეპისკოპოს-

თა, პრესვიტერთა და დიაკონთა მასიური რბევა. მესამე ედიქტით ფიზიკურად ნადგურდებოდა ყოველი ქრისტიანი, დიდი და მცირე, რომაელი და პროვინციელი, თავისუფალი და მონა. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ აღმოსავლეთში დიოკლეტიანე და გალერიუსი. მკაცრად იქცეოდა მაქსიმიანეც. შედარებით ლოიალურად მოქმედებდა კონსტანციუს ხლორუსი იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებში.

10. აჯანყებანი დიოკლეტიანეს დროს

ჯერ კიდევ ადრე, 268 წელს გალიაში დაიწყო ე. წ. „ბაგაუდების" (კელტურად — „მებრძოლები") აჯანყება. ეს იყო მონების, კოლონებისა და ღატაკი გლეხების მოძრაობა რომისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყების ბელადები იყვნენ ელიანე და ამანდე, წარმოშობით რომაელნი, საეკლესიო წყაროთა ვერსიით — ორივენი ქრისტიანობის მიმდევარნი. ელიანემ და ამანდემ თავი იმპერატორებად გამოაცხადეს, საკუთარი მონეტებიც მოჭრეს და რომაულ არმიებთან სამარ სამხადისს შეუდგნენ. ინსურგენტებმა სენისა და მარნის შესაყარში ძლიერად გამაგრებული ბანაკი შექმნეს და აქედან აწყობდნენ ხშირ თავდასხმებს მსხვილ მიწათმფლობელთა ველებზე და მდიდარ დასახლებულ პუნქტებზე. 269 წელს შვიდთვიანი ალყის შემდეგ, მათ აიღეს ცენტრალური გალიის დიდი ციხე-ქალაქი ავგუსტოდუნი (ოტიონი), გაძარცვეს, დაანგრიეს და მოსახლეთაგან ვისაც მოახელეს, ამოჟლიტეს.

რომაელებმა ერთხანს შეძლეს ბაგაუდთა მოძრაობის ჩაქრობა, მაგრამ III საუკუნის 80-იან წლებში აჯანყებამ ახალის ძალით იფეთქა; იგი მთელს გალიას მოედო და ეს დიდი ქვეყანა რომაული საბრძანებლის გარეშე აღმოჩნდა.

285 წელს მაქსიმიანე დიდი არმიით გაეშურა გალიაში. სასტიკი ბრძოლებისა და ხანგრძლივი ალყის შემდეგ, 286 წელს რომაელებმა აიღეს ბაგაუდთა თავშესაფარი ციხე-სიმაგრე, საძირკვლამდე დაანგრიეს და მისი დამცველები უკანასკნელ კაცამდე ამოჟლიტეს.

ბაგაუდთა მოძრაობა, რომელიც საუკუნენახევარი გაგრძელდა, ამჯერად დროებით ჩაქრა.

ის იყო, მაქსიმიანემ ბაგაუდები ჩააჩუმა, რომ ბრიტანეთიდან მოატანა აჯანყების ხმამ.

აჯანყებას მეთაურობდა კარაუზიუსი, წარმოშობით მდაბიო გალი, რომელსაც რომაელთა სამსახურში, დიდი სიმამაცითა და საზღვაო ბრძოლის ხელოვნებით, ესკადრის უფროსობისათვის

ბიუღწევია. იგი თავისი ხომალდებით გ ე ზ ო რ ი ა კ თ ა ნ (ახლ. ბულონი) იდგა და რომის ხელისუფლების ბრძანებით ფრანკთა მეკობრული თარეშის აღკვეთა ევალებოდა. მაგრამ კარაუზიუსს ფრანკებთან საიდუმლო კავშირი შეუკრავს; მათთვის თარეშისა და ძარცვის უფლება მიუცია და სამაგიეროდ ნაძარცვში წილი დაუდვია. ასეთი გზით მოპოვებულ ნადავლს იგი თავის ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს ურიგებდა და მათი ერთგულების იმედით რომთან საომრად ემზადებოდა.

მაქსიმიანემ კარაუზიუსის ღალატი შეიტყო და მისი დასჯა გადაწყვიტა. მაგრამ მოხერხებულმა გალმა დაასწრო და თავისი ფლოტით ბრიტანეთში გადავიდა. მისვლისთანავე ბრიტანეთი და იქ მდგარი რომაული გარნიზონები მის მხარეზე გადავიდნენ. კარაუზიუსმაც აღარ დააყოვნა, თავი იმპერატორად გამოაცხადა და საკუთარი მონეტაც გამოუშვა.

შვიდი წლის მანძილზე (287—293 წწ.) იმპერატორად წოდებული კარაუზიუსი ხელშეუვალად განაგებდა მთელს ბრიტანეთს, გეზორიაკიც მას ეკუთვნოდა და ჩრდილოეთის ზღვებსა და სრუტეებზეც მისი ფლოტი ბატონობდა.

292 წელს კონსტანციუს ხლორუსმა ალყა შემოარტყა გეზორიაკს. ამავე დროს მაქსიმიანემ ბრძოლა გაუმართა კარაუზიუსის მოკავშირე ფრანკებს ქვემო რეინზე. კონსტანციუსმა გეზორიაკი აიღო. კარაუზიუსმა ზღვაზე ბატონობაც დაჰკარგა და ბრიტანეთშიც შეერყა ძალმოსილების საფუძვლები. მალე მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. 293 წელს კარაუზიუსი მოჰკლა ერთმა მისმა ახლობელმა, ა ლ ე ქ ტ უ ს მ ა, რომელმაც მაშინვე თავი იმპერატორად გამოაცხადა.

296 წელს კონსტანციუს ხლორუსი დიდი არმიითა და ფლოტით მიადგა ბრიტანეთს. ბრძოლა კვირის განმარჯვებით დამთავრდა. ალეკტუსი ბრძოლაში დაიღუპა და ბრიტანეთი ათი წლის „განდგომის“ შემდეგ ისევ რომაული ბრძანებლობის ორბიტაში დაბრუნდა.

ბრიტანეთის ხელახალი შემოერთების შემდეგ კონსტანციუს ხლორუსმა წარმატებით დალაშქრა მუდამ საომრად შემართული გერმანელები, გაათავისუფლა ბატავთა მიწები ფრანკებისაგან და ა ნ დ ო მ ა ტ უ ნ თ ა ნ სასტიკად დაამარცხა ალემანები (296 წ.).

სანამ კონსტანციუსი და მაქსიმიანე მახვილით მოქმედებდნენ, დიოკლეტიანე ცბიერი დიპლომატიით ერთიმეორის წინააღმდეგ ამხედრებდა გერმანელ ტომებს — ალემანებსა და ბურგუნდებს, ვანდალებსა და გოთებს. ძველ-რომაული მბრძანებლობის ნაცადი პრინ-

ციპი — divide et imperia — დიოკლეტიანეს დროშიც წარმატებით მოქმედებდა.

არც იმპერიის სამხრეთ საზღვრებზე იყო მშვიდობა. ნილოსის დელტიდან ატლანტის ოკეანემდე საომარი ბუკ-ნაღარის ხმა არყევდა ჩრდილოეთ აფრიკას.

ალექსანდრიაში ვინმე ა ქ ი ლ ე ვ ს მ ა გამოაცხადა თავი იმპერატორად და მთელი ეგვიპტე ფეხზე დააყენა რომთან საომრად. დიოკლეტიანე დიდი არმიითა და ფლოტით მიადგა ალექსანდრიას და ალყაში მოაქცია იგი. რვა თვის მანძილზე უმკლავდებოდნენ ალექსანდრიელები შიმშილსა და ეპიდემიას. ბოლოს დიოკლეტიანემ წყალსადენი მოუშალა და ცეცხლი წაუკიდა ქალაქს. ალექსანდრია დაეცა. აქილევსი ბრძოლაში დაიღუპა. დიოკლეტიანემ მისი მომხრენი სულ ერთიანად გაჟლიტა და ქალაქის მთელი დასახლება, მისი ბრწყინვალე სასახლეებითა და ტაძრებით, გამხეცებულ მეომრებს მისცა საძარცვავად. ეს ამბავი 269 წელს მოხდა. იმავე წელს დიოკლეტიანემ მსგავსი უბედურება დაატეხა სახელოვან მდიდარ ქალაქებს, ბუზირისსა და კოპტოსს. აქვე, სამხრეთ ეგვიპტეში განადგურებულ იქნა აჯანყებული ბლემიების ტომი. ეგვიპტეც დაწყნარდა.

პარალელურად ეგვიპტის აჯანყებისა, რომაული „ტეტრარქიის" წინააღმდეგ დაიწყო მოძრაობა კართაგენში. აქ მავრიტანებისა და ნუმიდიელების მხარდაჭერით იმპერატორად თავი გამოაცხადა ი უ ლ ი ა ნ ე მ. 296 წელს მაქსიმიანე არმიითა და ფლოტით გაჩნდა აფრიკაში. უზურპატორი დამარცხდა და დაიღუპა. აფრიკელებმა იარაღი დაჰყარეს და ისევ რომის მორჩილებას შეურიგდნენ.

11. ომი სპარსეთთან

260 წლიდან, იმპერატორ ვალერიანეს ტყვედ წაყვანის დროიდან, სომხეთში სპარსელი სასანიდები ბატონობდნენ. სომხური დინასტიის წარმომადგენელი, ტირიდატი, რომის სამფლობელოებს აფარებდა თავს. 286 წელს ტირიდატმა ისარგებლა სპარსეთში ტახტისათვის ატეხილ ძმათაშორისი ბრძოლით და სომხეთის ტახტის დაბრუნება სცადა. მაგრამ მისი ხელმწიფობა ეფემერული გამოდგა. ენერგიულმა სასანიდმა ნ ა რ ს ე ს მ ა, რომელმაც მეტოქე ძმაც დაამარცხა და სპარსეთის მეფობაც დაიმკვიდრა, ტირიდატი დაამარცხა და სომხეთი ისევ სპარსულ ბატონობას დაუბრუნა. ტირიდატი ისევ რომაელებთან გაიქცა და შემწეობა ითხოვა.

დიოკლეტიანემ გალერიუსი გაგზავნა სპარსეთთან საომრად. რამდენიმე უშედეგო შეტაკების შემდეგ ბრძოლა გაიმართა ჩრდი-

ლოეთ მესოპოტამიაში, ქ. კარასთან, სადაც 350 წლის წინათ (ძვ. წ. 53) პართიელებმა რომაელთა ლეგიონები გაანადგურეს და მათ სარდალ ლიცინიუს კრასუსს თავი გააგდებინეს.

კარას ცხელი მიწა რომაელთათვის ამჯერადაც მარცხიანი გამოდგა (297 წ.). გალერიუსი არმიის ნაშთებით სირიაში გაიქცა; ტირიდატმაც ძლივს გაასწრო სიკვდილს. დიოკლეტიანე ანტიოქიიდან გამოვიდა დამარცხებულ მოადგილესთან შესახვედრად. გაწბილებული კეისარი თავდახრილი მივიდა ეტლში მჯდარი ავგუსტუსის წინაშე. კარგა ხანს იდგნენ ასე მდუმარედ ლეგიონებისა და ხალხის დასწრებით. მერე დიოკლეტიანეს ეტლი დაიძრა. ამალა და არმიაც გაჰყვა. დამცირებული გალერიუსი დიდხანს ფეხდაფეხ მისდევდა იმპერატორის ეტლს. ბოლოს, გალერიუსმა დაბეჯითებით სთხოვა დიოკლეტიანეს, კიდევ ერთჯერ მიეცა საშუალება ახალი ლაშქრობებითა და გამარჯვებით გამოესყიდა სამარცხვინო მარცხი. დიოკლეტიანე დათანხმდა და სპარსეთის წინააღმდეგ ხელახალი ლაშქრობისათვის გალერიუსს გადასცა საუკეთესო არმია, მთლიანად შედგენილი ილირიელი და გერმანელი (გოთები) მეომრებისაგან.

გალერიუსმა კვლავ გადალახა ევფრატი და ღამით თავს წაადგა სპარსთა ბანაკს. სასტიკი ბრძოლა ამჯერად სპარსელთა მარცხით დამთავრდა (298 წ.). რომაელებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მდიდარი ბანაკი მეფის კარავთან ერთად. ტყვეთა შორის იყვნენ ნარსესის რამდენიმე ცოლი, დები და შვილები. მეფემ ზავი ითხოვა. დიოკლეტიანემ და გალერიუსმა ქ. ნისიბისში მიიღეს სპარსთ. ელჩი. გალერიუსს ზავი უკვე აღარ სურდა და ტიგროსის აღმოსავლეთით გალაშქრებას აპირებდა; მაგრამ იგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ფრთხილი დიოკლეტიანეს გადაწყვეტილებას. რომის იმპერატორმა საზავო პირობები წაუყენა სპარსეთის მეფეს. ისიც დათანხმდა.

ზავის ძალით, რომაელთა ხელში გადავიდა მესოპოტამიის ხუთოლქი, მათ შორის მთიანი ქვეყანა გორდიენა, მამაცი ქარდუხების სამშობლო; სპარსელები ხელს იღებდნენ იბერიისა და სომხეთის ხელყოფაზე და აქაური მეფეების დანიშვნაც რომის ხელისუფლების ფუნქციებში უნდა შესულიყო. დიოკლეტიანემ სამაგიეროდ ნარსესს დაუბრუნა მისი ცოლები, შვილები და დები.

ამ ზავმა რომსა და სპარსეთს შორის საკმაოდ დიდხანს — ორმოც წელს გასტანა.

12. დიოკლეტიანეს გადადგომა

303 წლის 29 ნოემბერს რომმა თავის ქუჩებსა და მოედნებზე უკანასკნელად იხილა ტრიუმფი. ტრიუმფს იხდიდა დიოკლეტიანე. თანატრიუმფატორად გვერდით ედგა მეორე ავგუსტუსი — მაქსიმიანე. ეს იყო მათი ხელმწიფობის ოცი წლის თავის აღსანიშნავი ზეიმი — ვ ი ც ე ნ ა ლ ი ა. ტრიუმფატორთა წინ მოჰქონდათ სამარი ნადავლი, ძვირფასი ნივთები, საჭურველი და სამკაულები; მოჰყავდათ ტყვეები, მათ შორის გამოსახულებანი სპარსეთის მეფის ცოლებისა, შვილებისა და დებისა. აქვე დიოკლეტიანემ ქვეყანას მოაგონა, რომ მოახლოვდა დრო, როცა მან და მაქსიმიანემ, პირობისამებრ ავგუსტუსთა ტახტ-გვირგვინი უნდა გადასცენ მოადგილე-კეისრებს.

ტრიუმფის შემდეგ, დიოკლეტიანე ილირიის გავლით დაბრუნდა ნიკომედიაში. მთელი ზამთარი ხნეულმა მოხუცმა თავის სასახლეში მარტოობაში გაატარა. 305 წლის 1 მაისს ქალაქგარეთ, ველზე, იმპერატორის ბრძანებით შეიყარა ხალხი და ჯარი. აქ, იუპიტერის ჭანდაკების წინაშე, დიოკლეტიანემ საზეიმოდ მოიხსნა იმპერატორის ინსიგნიები და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას.

იმავე დღეს მედიოლანში მაქსიმიანემაც გამოაცხადა ავგუსტუსის ტახტიდან გადადგომა და, როგორც კერძო კაცი, გაეშურა ლუკანიაში, თავის ვილაში მუდმივ საცხოვრებლად.

დიოკლეტიანე ჩავიდა მშობლიურ დალმაციაში, ქალაქ ს ა ლ ო ნ შ ი, სადაც იგი მრავალი წლის მანძილზე აწყობდა საცხოვრებელს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეთა გასატარებლად. აქ მას ელოდა სასახლეები, ტაძრები, შადრევნები, კოლონადები, თერმები, ბაღები და ბოსტან-ბაღჩები. ყველაფერი ეს განლაგებული იყო ოთხკუთხა რომაული სამხედრო ბანაკის (castra) ფორმით, — ბრწყინვალე „ოქროს კარიბჭით".

სალონში იმპერატორმა საყვარელ საქმიანობად გაიჩინა მებაღეობა. „რა მშვენიერებაა საკუთარი ხელით გაახარო ყვავილები და ბოსტნეული. ახლა ვეღარაფერი მაიძულებს მივატოვო ეს სიამოვნება და გამოვედევნო ხელისუფლების აჩრდილს". უფრო მოგვიანებით, როცა გალერიუსი და მაქსიმიანე აძალებდნენ, კვლავ აეღო ხელთ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, „მემწვანილე-იმპერატორმა" ღიმილით უპასუხა:

„თქვენ რომ გაჩვენათ კომბოსტო, რომელიც მე ჩემი საკუთარი ხელებით დავრგე, ასეთ წინადადებას აღარ მომცემდით".

დიოკლეტიანე ადრეც ხშირად გამოთქვამდა აზრს ხელმწიფობის ამაოების შესახებ. მას არ სწამდა იდეალური იმპერატორობა, რად-

გან თვითონ იმპერატორი ხალხისაგან ყოველთვის მოწყვეტილია· რეალურ მდგომარეობას მუდამ მრუდედ ჰხედავს, რადგან სხვისი თვალებით ჰხედავს. იმპერატორის გარემო უმთავრესად გახრწნილი, თვალთმაქცი და ბოროტი ადამიანებისაგან შედგება და ამიტომ იყო, რომ ადრეც ვერც ერთმა ჭკვიანმა და კეთილშობილმა პრინცეპსმა ვერ მოახერხა თავის დაძვრენა მისივე წრის გახრწნილი გავლენისაგანო.

დიოკლეტიანეს ვერც ასეთმა განდეგილობამ არგუნა სულიერი და ფიზიკური სიმშვიდე. მან ცხრა წელი იცოცხლა იმპერატორობიდან გადადგომის შემდგომ და ეს წლები. იყო რომაული იმპერიის ხელახალი რყევებისა და სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების წლები. აღმოსავლეთში სასახლის კარზე ატეხილ ორომტრიალში მოკლული იქნენ დიოკლეტიანეს ცოლი და ქალიშვილი. მწუხარებამ დააჩქარა ექსიმპერატორის სიკვდილი (313 წ.). რომის სენატმა, კონსტანტინესთან შეთანხმებით, დაადგინა მიცვალებულის დაკრძალვა „ღვთაებრივი პატივის“ მიგებით.

ქრისტიანობის უკანასკნელი დიდი მტრის დაკრძალვის ცერემონიალი წარმართობის უკანასკნელ აპოთეოსად გადაიქცა.

1. მეოთხე „ტეტრარქია"

305 წელს, პირობისამებრ, ავგუსტუსები შეიქნენ გალერიუსი (აღმოსავლეთში) და კონსტანციუს ხლორუსი (დასავლეთში).

პატივმოყვარე გალერიუსი თავიდანვე ცდილობდა „ტეტრარქიაში" ისეთივე ფაქტიური პირველობა ჰქონოდა, როგორც დიოკლეტიანეს ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, მან დიოკლეტიანეს თანხმობით იმას მიაღწია, რომ აღმოსავლეთში მოადგილე-კეისრად დაენიშნა თავისი ძმისწული მაქსიმინე დაზა, ახალგაზრდა ილირიელი გლეხი, გაუნათლებელი ჯარისკაცი, რომელსაც სამმართველოდ გადაეცა სირია და ეგვიპტე.

კონსტანციუს ხლორუსის მოადგილე-კეისრად, დიოკლეტიანეს ნებით, დაინიშნა სეევერუსი, სახელმწიფო საქმეთა კარგი მცოდნე, მაგრამ ფუქსავატური ცხოვრების მიმდევარი კაცი. სეევერუსს სამმართველოდ გადაეცა იტალია და აფრიკა.

თვითონ კონსტანციუს ხლორუსი, რომელიც მთლიანად ბრიტანეთისა და გალიის საქმეებით იყო დაკავებული, იმპერიის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართ სავსებით გულგრილად იყო განწყობილი და გალერიუსის მსგავსად ერთპიროვნული ხელისუფლებისაკენ ლტოლვას სრულებითაც არ ამჟღავნებდა. იგი ერთადერთი იყო რომაელ ხელმწიფეთა შორის, რომელიც ქრისტიანებს ან მფარველობდა ანდა, მათთვის იმ უმძიმეს დროში, ასე თუ ისე ლმობიერად ექცეოდა. კონსტანციუს ხლორუსის პირველი ცოლი ელენე (წარმოშობით სასტუმროს პატრონის ასული ერთი მიყრუებული ნავსადგურიდან, ნიკომედიის მახლობლად) ქრისტიანი ქალი იყო. როცა კონსტანციუსმა კეისრობა მიიღო, იძულებული გახდა ქრისტიან ცოლს გაჰყროდა, მაგრამ მისდამი სიყვარული და პატივისცემა არ დაუკარგავს და ტრევირის სასახლეშიც ელენეს გარშემო ქრისტიანთა ფუსფუსს შემწყნარებლურად ხედებოდა. გაყრილი ცოლ-ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს მათი

შვილი კონსტანტინე, რომელიც მათ შეეძინათ 274 წელს, დაკის ქალაქ ნაიზში.

გალერიუსს სძულდა და აშინებდა კონსტანციუს ხლორუსი, ერთადერთი ნიჭიერი და განათლებული ხელმწიფე ამდენ გაუნათლებელ და უკულტურო მბრძანებელთა შორის. მაგრამ კონსტანციუსი ხშირად ავადმყოფობდა და გალერიუსიც იმედოვნებდა, რომ მეტოქის სიკვდილი საშუალებას მისცემდა მალე ერთპიროვნული ავგუსტუსი გამხდარიყო.

გალერიუსს უფრო აფიქრებდა ძე მეტოქისა, კონსტანტინე, ახალგაზრდა, ახოვანი და მომხიბლავი ვაჟკაცი, შესანიშნავი მეომარი და გიმნასტი. კონსტანტინე ადრე დიოკლეტიანეს არმიაში მსახურობდა. მერე, აღარც გალერიუსი უშვებდა აღმოსავლეთიდან და ყოველთვის ისეთ სახიფათო დავალებებს აძლევდა, რომელსაც სიკვდილი ადვილად უნდა მოჰყოლოდა. კონსტანციუსი კი დაჟინებით მოითხოვდა შვილის გამოგზავნას. ბოლოს და ბოლოს გალერიუსს ყოველგვარი საბაბი შემოელია უარის სათქმელად და იძულებული გახდა კონსტანტინეს გამგზავრების დღე დაენიშნა. კონსტანტინემ რაღაც საშიშროება იგრძნო, გალერიუსისაგან იდუმალ ნაადრევად გაემგზავრა და გზაზე, რამდენიმე სადგურზე, საფოსტო ცხენებს მუხლები დაჰკვეთა, რათა მოსალოდნელი დევნა ჩაშლილიყო.

კონსტანციუსმა დიდის სიხარულით მიიღო შვილი და მაშინვე გალიის ლეგიონთა მთავარსარდლობა ჩააბარა.

306 წლის ზაფხულში კონსტანციუს ხლორუსი გაეშურა ბრიტანეთის კალედონიაში სალაშქროდ. გზაზე, ქალაქ ებორაკში იგი გარდაიცვალა, 306 წლის 25 ივლისს, ავგუსტუსის ტიტულის მიღებიდან მეცამეტე თვეს.

ჯარებმა მაშინვე ავგუსტუსად და იმპერატორად გამოაცხადეს კონსტანტინე.

2. მრავალხელმწიფობა

კონსტანტინე გალერიუსს თავაზიანი წერილით ავგუსტუსად დამტკიცებას სთხოვდა. გალერიუსი გააცოფა კონსტანტინეს გახელმწიფებამ. მას არ სურდა შერიგებოდა ერთპიროვნული ავგუსტუსობისა და იმპერატორობის დაკარგვას. მით უფრო ვერ დაუშვებდა მეტად საშიში მეტოქის აღზევებას. მაგრამ დასავლეთში გალაშქრებისა და კონსტანტინეს ჩამოგდების ძალა გალერიუსს არ შესწევდა, ამიტომ ანგარიშსწორება ხელსაყრელი მომავლისათვის გადადო და ამჯერად იმით დაკმაყოფილდა, რომ კონსტანტინეს

მხოლოდ უმცროსი კეისრობა (მაქსიმინე დაზას შემდეგ) უბოძა, ხოლო ავგუსტუსად სევერუსი გამოაცხადა.

სანამ თვეც არ იყო გასული სევერუსის ავგუსტუსად გამოცხადებიდან, რომ მას საკუთარი მოულოდნელი მეტოქე გამოუჩნდა. ეს იყო მ ა ქ ს ე ნ ც ი უ ს ი, ყოფილი ავგუსტუსის, მაქსიმიანეს შვილი და გალერიუსის სიძე, უნიჭო და გარყვნილი კაცი.

მაქსენციუსმა ისარგებლა რომის სენატის, რომში მდგარი პრეტორიანელებისა და რომაული არისტოკრატების უკმაყოფილებით, რაც გამოწვეული იყო დიოკლეტიანესგან შემოღებული „ტეტრარქიის" წყალობით რომის (ვითარცა „მსოფლიოს ცენტრისა და მბრძანებლის") დამდაბლებითა და უგულებელყოფით. ასეთ პირობებში მაქსენციუსის მსგავს მედროვეს შეეძლო გამხდარიყო „გმირი", რომელიც ქალაქ რომს დაუბრუნებდა თავის „კანონიერ" მსოფლიო მბრძანებლობას და თვითონაც, ვითარცა „მსოფლიო იმპერატორი", იცხოვრებდა არა რომელიმე „პროვინციულ" ნიკომედიაში, თუ მედიოლანში, არამედ ისევ და ისევ რომში, პალატინუმის „მსოფლიო სასახლეში".

და აი, პრეტორიანელებმა მოკლეს რომის პრეფექტი და იმპერატორად გამოაცხადეს მაქსენციუსი. სენატი და რომაელი ხალხი დიდი სიხარულითა და მოწონებით შეხვდნენ ამ ამბავს.

თითქოს ამას უცდიდა მაქსიმიანე, დიოკლეტიანეს ყოფილი თანამებრძოლი და თანაავგუსტუსი. მან, უკვე გაიმპერატორებული შვილისა და სენატის თხოვნით (ეს თხოვნაც, ცხადია, საკუთარი ფორმალური იყო), სასწრაფოდ დატოვა თავისი ვილა ლუკანიაში, რომში გამოცხადდა და ხელახლა ჩაიბარა იმპერატორობა.

ამგვარად, 306 წლის მიწურულში იმპერიის სათავეში აღმოჩნდა ექვსი ხელმწიფე: გალერიუსი, მაქსიმინე დაზა, კონსტანტინე, სევერუსი, მაქსიმიანე და მაქსენციუსი.

მამა-შვილ იმპერატორთა წინააღმდეგ პირველმა დასძრა ჯარები სევერუსმა. რომი მედგრად დაუხვდა მას. სევერუსის ჯარისკაცებმა ბანაკიდან გაქცევა და მოპირდაპირის მხარეზე გადასვლა დაიწყეს. „აუღებელი ქალაქის" აღება კვლავ შეუძლებელი შეიქნა, სევერუსმა უკან დაიხია და ქ. რავენაში გამაგრდა. მას იმედი ჰქონდა, რომ რავენის კედლები და ჭაობები დაიცავდნენ მანამ, სანამ აღმოსავლეთიდან გალერიუსი მოეშველებოდა.

მაგრამ მაქსიმიანე უფრო სწრაფად და მოხერხებულად მოქმედებდა. იგი რავენას მიადგა და სევერუსს თავისი აგენტები მიუჩინა, რომელთაც სევერუსი დაარწმუნეს მისი თანამებრძოლების ორგულობაში და ბრძოლის გაგრძელების უაზრობაში. სულ მალე

სევერუსმა სიცოცხლის შენარჩუნების პირობით რავენაც და იმპერატორობაც მამა-შვილს ჩააბარა. მაქსიმიანემ და მაქსენციუსმა იგი რომში ჩაიყვანეს და თვითმკვლელობაზე აიძულეს (307 წლის თებერვალს). არტერიაგადაჭრილი სევერუსის ცხედარი დაკრძალეს აკლდამაში, რომელიც გალერიუსს ჰქონდა აშენებული თავისი და თავისი ოჯახის წევრებისათვის.

იმპერიის სათავეში ახლა ხუთი იმპერატორი იდგა.

მამა-შვილ იმპერატორთა მთავარი საზრუნავი გალერიუსის წინააღმდეგ საომარი სამზადისი იყო. მაქსიმიანე ჩრდილოეთში გადავიდა და კონსტანტინეს კიდევაც შეუკავშირდა და კიდევაც დაუმოყვრდა: ავგუსტუსობაც მისცა და ცოლადაც თავისი ასული ფაუსტა შერთო.

ამის შემდეგ მაქსიმიანე სასწრაფოდ დაბრუნდა იტალიაში, სადაც აზიურ-ილირიული არმიებით ფეხი შემოდგა შურისგებით ცეცხლმოდებულმა გალერიუსმა.

რომი და იტალია ფეხზე დადგა. გალერიუსს აპენინის ყოველ დასახლებულ პუნქტში შეურიგებელი და თავგანწირული წინააღმდეგობა შეხვდა. სანამ გვიან არ იყო, ზავიც უნდა ეთხოვა, მაგრამ სამშვიდობო შეთანხმებაზეც უარი მიიღო და იძულებული გახდა უკანდახევა დაეწყო. დაბრუნებისას გალერიუსმა ჩრდილოეთ იტალია სასტიკად ააოხრა და ილირიაში გადავიდა. აქ იგი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად და საბოლოო სტატუსის დასადგენად შეხვდა დიოკლეტიანეს. შეხვედრის შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ მკვდარი სევერუსის მონაცვლე კეისრად და ილირიული პროვინციების მმართველად გამოცხადდა ლ ი ც ი ნ ი უ ს ი, გალერიუსის სიყრმის მეგობარი და თანამებრძოლი. ამან გააჯავრა გალერიუსის მოადგილე კეისარი მაქსიმინე დაზა, მაგრამ ესეც მაშინვე დაშოშმინდა, როგორც კი გალერიუსმა მას ავგუსტუსის ტიტული უბოძა.

ასე, რომ 307 წელს ისევ ექვსი ხელმწიფე განაგებდა იმპერიას: აღმოსავლეთით — გალერიუსი, მაქსიმინე დაზა და ლიციინიუსი: დასავლეთით — მაქსიმიანე, მაქსენციუსი და კონსტანტინე. თითქმის არავითარი განსხვავება (არც ფორმალური და არც ფაქტიური) აღარ ჩანდა მათ შორის: ყველა ერთნაირად იყო ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-ავგუსტუსი, ხელმწიფე-კეისარი.

8. კონსტანტინე და მაქსიმიანე

მამა-შვილს, მაქსიმიანესა და მაქსენციუსს, ერთმანეთში თანხმობა დიდხანს არ შერჩენიათ. მაქსენციუსს მიაჩნდა, რომ თვითონ

იყო კანონიერი ხელმწიფე, ვითარცა „არჩეული“ რომის სენატისა და ხალხისაგან.

შვილისაგან დამცირებული და გაგულისებული მაქსიმიანე გალიაში წავიდა კონსტანტინესთან, დახმარების სათხოვრად. სიძემ და ქალიშვილმა ქ. არელატში (არლი) დიდი პატივით მიიღეს ვაჟიშვილზე შემომწყრალი მოხუცი. „გულაჩუყებულმა“ მაქსიმიანემ მეორეჯერ მოიხსნა იმპერატორობა და კონსტანტინეს უბოძა. იმ დღეებში კონსტანტინე რეინზე გადავიდა ურჩი გერმანელების დასალაშქრავად. მისმა პატივმოყვარე სიმამრმა ამით ისარგებლა, არელატში დაცული ხაზინა გაძარცვა, ქალაქის მახლობლად დაბანაკებული ჯარები მოისყიდა და თან ხმა გაავრცელა კონსტანტინეს სიკვდილის შესახებ.

კონსტანტინემაც დროზე შეიტყო მაქსიმიანეს უმადური ვერაგობის ამბავი და სასწრაფოდ შემოაბრუნა ჯარები გერმანიიდან. მაქსიმიანე უკიდურეს სამხრეთ გალიაში გადავიდა და მასალიაში (მარსელი) გამაგრდა. კონსტანტინე მასალიას მიადგა და ჯარებიც იერიშისათვის შემართა. მაქსიმიანესგან მოსყიდულმა ჯარებმა ისევ კონსტანტინესთან დაბრუნება არჩიეს და, ღალატის გამოსყიღვის მიზნით, მასალიაც და მაქსიმიანეც თავის წინანდელ მბრძანებელს ჩააბარეს.

მაქსიმიანეს უეჭველი სიკვდილი ელოდა და თვითონვე მოიკლა თავი (310 წლის თებერვალი).

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მარსელში იპოვეს სარკოფაგი, რომელშიც ესვენა მაქსიმიანე. დაბალზამებული ცხედარი კარგად იყო შენახული. მარსელის არქიეპისკოპოსის ბრძანებით, ქრისტესა და კონსტანტინეს მტრის ცხედარი ზღვაში ისროლეს. ლეგენდის მიხედვით, თითქოს იმ ადგილზე, სადაც ქრისტიანეთა დაუძინებელი მტრის გვამი ჩავარდა, ზღვა მძვინვარებს განუწყვეტელი ქარტეხილისგან.

მაქსიმიანეს სიკვდილის მომდევნო წელს (311 წლის მაისში), რომელიღაც საშინლად მტანჯველი სენისაგან გარდაიცვალა გალერიუსი. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი შუაზე გაიყვეს მაქსიმინე დაზამ და ლიციინიუსმა; პირველს ერგო აზიური პროვინციები და ეგვიპტე, მეორეს — ბალკანეთი და დუნაისპირეთი. შეთანხმება გარეგნულად თითქოს მშვიდობიან იერს ატარებდა, მაგრამ სინამდვილეში ორივე მბრძანებელს ერთმანეთთან საომრად სამხედრო ძალები ჰყავდა განლაგებული ბოსფორსა და ჰელესპონტზე: მაქსიმინე დაზას — აზიიდან, ლიციინიუსს — ევროპიდან.

4. კონსტანტინე და მაქსენციუსი

მამის სიკვდილის შემდეგ მაქსენციუსმა სავსებით აჰყარა ლაგამი მისთვის დამახასიათებელ გარყვნილებას, მძარცველობასა და კაცთა კვლას. მცირეოდენმა მღელვარებამ აფრიკაში მას საბაბი მისცა გაეძარცვა, აეოხრებინა და ამოეწყვიტა მთელი ჩრდილოეთი აფრიკა კირენაიკიდან ჰერაკლეს სვეტებამდე (ჰიბრალტარი). ბოლო არ უჩანდა სიკვდილით დასჯას და კონფისკაციას. სასტიკად ააოხრა, გაძარცვა და გადაწვა ცირტა და კართაგენი, არ დაინდო თვითონ რომიც, მრავალი რომაელი ოჯახი ააწიოკა, გააბახა და გააღატაკა. სენატორებს, რომლებმაც მის გახელმწიფებას სიხარულით მხარი დაუჭირეს, აიძულებდა დიდძალი საჩუქრები მიეძღვნათ მისთვის; თუ არა და, თვითონ გადადიოდა იერიშზე — ძალით ახდენდა სენატორთა ქონების რეკვიზიციას, სამშობლოდან აძევებდა მათ, ნამუსს ხდიდა მათ ცოლებს და ქალიშვილებს. ქალაქის პრეფექტის ცოლმა, ქრისტიანმა ქალმა, გულში ხანჯალი ჩაიცა, რომ თავი დაეხსნა კარს მომდგარი სირცხვილისაგან. მაქსენციუსი მეომრებსაც მათი გულის მოსაგებად, ძარცვა-რბევისა და ძალმომრეობის სრულ უფლებას აძლევდა.

ბოლოს და ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა სენატმა რამდენჯერმე ელჩობა გაუგზავნა კონსტანტინეს ხვეწნა-მუდარით — დაეხსნა რომი საშინელი ტირანისაგან.

კონსტანტინე ფრთხილობდა და სამხრეთისაკენ კურსის აღებას აყოვნებდა, რადგან ჯერ ქვემო რეინის გერმანელთა სრული დაპყრობა ვერ დაემთავრებინა. საამისოდ იგი რეინზე, კელნის მახლობლად, ქვის ხიდს აშენებდა.

მაგრამ თვითონ მაქსენციუსის მოქმედებამ ააჩქარა კონსტანტინე. რომში მჯდარმა იმპერატორმა გამოსცა ახალი ბრძანებულებები, რომლებიც აშკარად უთითებდნენ მაქსენციუსის ერთპიროვნულ უზენაესობაზე; იგი არად აგდებდა დანარჩენ თანაიმპერატორებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ შეურაცხყოფას აყენებდა კონსტანტინეს. მაქსენციუსი, მამის სისხლის აღების მუქარით, კონსტანტინეს წინააღმდეგ სალაშქროდ დიდ არმიებს ამზადებდა. კონსტანტინემ გადაწყვიტა დაესწრო.

312 წლის ზაფხულში კონსტანტინემ 40.000 მეომრით გადმოლახა ალპები და შემოიჭრა იტალიაში. მოწინააღმდეგეს ოთხჯერ მეტი ძალები ჰყავდა, მაგრამ ბრძოლისუნარიანობით, გაწვრთნილობითა და დისციპლინით კონსტანტინეს გალური ლეგიონები სჯაბნიდნენ მტერს.

პირველი შეტაკება კონსტანტინეს მოუწყო მაქსენციუსის მძიმედშეიარაღებულმა და სრულად შეჯავშნულმა კავალერიამ ქ. ტურინთან. კონსტანტინემ სასტიკად დაამარცხა მოპირდაპირე. მალე მან აიღო ქ. მედიოლანი და ხელთ იგდო მთელი ჩრდილოეთ იტალია.

ქალაქ ვერონის კედლებთან მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია შამაცმა და გამოცდილმა სარდალმა რ უ რ ი ც ი უ ს პ ო მ პ ე ი ა ნ-მ ა. რამდენიმე სასტიკი, უშედეგო შეტაკება უკანასკნელი გენერალური ბრძოლით დასრულდა. საშინელი ხოცვა-ჟლეტა მთელი ღამე გაგრძელდა და ისევ კონსტანტინეს გამარჯვებით დამთავრდა. რურიციუსი, თავის მრავალათასეულ არმიასთან ერთად, ბრძოლის ველზე იწვა. ვერონა თავისი გარნიზონით გამარჯვებულს მინებდა. დამარცხებული არმიის მახვილებისაგან, კონსტანტინეს ბრძანებით, ჯაჭვები გამოსჭედეს ტყვეების შესაბორკავად.

კონსტანტინე ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილებისთანავე სწრაფი მარშით დაიძრა რომისაკენ. მაქსენციუსმა სიბილას წიგნებში იპოვა „წინასწარმეტყველება", რომლის ძალითაც მას უეჭველად უნდა გაემარჯვნა. რომი, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად იყო მედგრად დახვედროდა ყოველგვარი ჯურის მტერს; ჰყავდა დიდძალი, მაშაცი მოსახლეობა, ჰქონდა ძლიერი კედლები, უზრუნველყოფილი იყო სურსათ-სანოვაგით ხანგრძლივი ალყისათვის.

მაქსენციუსმა მისგანვე ადრევე გამძლავრებული პრეტორიანული გვარდია და მრავალრიცხოვანი არმია ტიბრის მარჯვენა მხარეზე გაიყვანა და საომრად განალაგა. მის ცენტრალურ ზურგში იყო მ უ ლ ვ ი უ ს ი ს ხ ი დ ი, რომელმაც მისცა სახელწოდება ამ განთქმულ ბრძოლას 312 წლის 28 ოქტომბერს.

კონსტანტინეს არმიაში ბევრი იყო ქრისტიანი, რომელთაც მთავარსარდლისაგან ნება ჰქონდათ ეტარებინათ ჯვრის ემბლემა. ქრისტიანული ლეგენდა დაბეჯითებით გადმოგვცემს, რომ თითქოს თვითონ კონსტანტინეს ბრძოლის წინა ღამეს ეთერში გამოეცხადა ჯვარი წარწერით: „ამით გაიმარჯვებ" (ბერძნ. „ტუტო ნიკა") და მეორე დღეს იგი ბრძოლად გავიდა „ჯვაროსანი დროშით".

ბრძოლა დასაწყისშივე სასტიკი თავგანწირულებით გაჩაღდა. კონსტანტინემ ორივე ფლანგიდან სწრაფ შეტევაზე გადაიყვანა გალური კავალერია. რომაული მხედრობა უკუიქცა. შემდეგ კონსტანტინეს ლეგიონები სამი მხრიდან მიესივნენ მედგრად მეომარ პრეტორიანელებს. ბრძოლის ველი მაქსენციუსის მეომართა გვამებით დაისერგა. თვითონ მაქსენციუსმა გასაქცევად მულვიუსის ხიდს მიაშურა. ხიდი დევნილებითა და მდევრებით გაიჭედა და საშინელი ხოცვა-ჟლეტა

გაჩაღდა. მაქსენციუსი ხიდიდან გადავარდა და მძიმედშეჭურვილი ტიბრში ჩაიხრჩო.

ძლევამოსილი კონსტანტინე რომში შევიდა. მისი ბრძანებით მაშინვე დახოცეს მაქსენციუსის ორივე ვაჟი და ამოწყვიტეს მთელი მისი საგვარეულო. მაგრამ კონსტანტინემ უარი უთხრა სენატის წარდგინებას—გაეჟლიტათ აგრეთვე მაქსენციუსის ყველა მომხრე და მიმდევარი. შემდეგ მან ამნისტია გამოუცხადა ყველა დევნილს და დაპატიმრებულს. საგანგებო ბრძანებით საბოლოოდ გაანადგურეს და გააუქმეს პრეტორიანული გვარდია. სიკვდილს გადარჩენილი პრეტორიანელები საზღვრებზე მდგარ ლეგიონებში დაფანტეს და მათი ყაზარმები დაანგრიეს. რომი ყოველგვარი დაცვის გარეშე დარჩა. სენატიც საბოლოოდ გამოეთხოვა ყოველგვარ პრივილეგიას, რომელიც კი მას ამ დრომდე მცირეოდენ ნამცეცებად შემორჩენოდა. სენატორები ქონებრივი თანრიგის მიხედვით დაჰყვეს და მძიმე გადასახადებით დაბეგრეს.

5. კონსტანტინე და ლიციინიუსი

კონსტანტინეს აღმოსავლეთში ორი მეტოქე იმპერატორი დარჩა: ლიციინიუსი და მაქსიმინე დაზა. ეს უკანასკნელი მაქსენციუსის მოკავშირე იყო, ხოლო ლიციინიუსთან კონსტანტინემ ადრევე, იტალიაში გალაშქრებამდე, მოასერხა კავშირის შეკვრა.

მულვიუსის ბრძოლის შემდეგ, 313 წელს, კონსტანტინე და ლიციინიუსი ქ. მედიოლანში (მილანო) ერთმანეთს შეხვდნენ და კავშირი განაახლეს.

მილანოში შეხვედრას შედეგად მოჰყვა მეტად მნიშვნელოვანი აქტის გამოცხადება. კონსტანტინემ და ლიციინიუსმა საგანგებო ბრძანებულებით ქრისტიანული რელიგია სცნეს თანასწორად და უფლებამოსილად იმპერიის სხვა დანარჩენი რელიგიების გვერდით. ესაა ცნობილი მ ი ლ ა ნ ო ს ე დ ი ქ ტ ი (313 წ.).

ავგუსტუსთა კავშირი და მეგობრობა განმტკიცდა ქორწინებით. იქვე, მილანოში, ლიციინიუსმა ცოლად შეირთო კონსტანცია, კონსტანტინეს და. საქორწინო ღრეობა ძლივს გაჩარულდა, რომ სიძეცოლისძმას ისევ საომარმა ნაღარამ მოუხმო: ჩრდილოეთ რეინზე კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე ფრანკთა ტომები, ხოლო ანტიოქიიდან საომრად მოეშურებოდა მაქსიმინე დაზა. კონსტანტინემ ისევ ჩრდილოეთს მიაშურა, ლიციინიუსმა კი — აღმოსავლეთს.

მაქსიმინე დაზამ გადმოიარა სირია, მცირე აზია, ბოსფორი და მოადგა ბიზანტიონს. მცირე ხნის ალყის შემდეგ აიღო ბიზანტი-

ონიც და ჰერაკლეაც პროპონტიდაზე (მარმარილოს ზღვა). ჰერაკ-
ლეასთან მას მოუსწრო ლიციინიუსმა. აქ გამართული ბრძოლა, 313
წლის 30 აპრილს, ლიციინიუსის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრ-
და, რაც ქრისტიანულმა ტრადიციამ ისევ „ქრისტეს წყალობას" მი-
აწერა.

მაქსიმინე დაზამ იმპერატორის მანტია გადააგდო და ნიკომე-
დიაში გაიქცა. აქედან ანტიოქიას მიაშურა, მაგრამ გზაზე მოიწამ-
ლა და საშინელი წამებით გარდაიცვალა.

ლიციინიუსი ნიკომედიაში ჩავიდა, გამარჯვება ბრწყინვალე ზე-
იმით აღნიშნა და უკვე მის ხელში ერთპიროვნულად დაქვემდება-
რებულ აღმოსავლეთ იმპერიას ამცნო, რომ მილანოს „ქრისტიანული
ედიქტი" აღმოსავლეთის ხალხებსაც ეხებოდა.

მაშ, ახლა იმპერიას ორი იმპერატორი განაგებდა: დასავლეთს
კონსტანტინე, აღმოსავლეთს ლიციინიუსი. მაგრამ მათი კავშირი
და მეგობრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ფორმა-
ლური და მოჩვენებითი აღმოჩნდა.

კონსტანტინემ ერთ-ერთი თავისი და, ახასტასია, ცოლად ძისცა
ასალვაზრდა რომაელ წარჩინებულს, ბ ა ს ი ა ნ ე ს და თან კეის-
რადაც გამოაცხადა. ბასიანემ ეს არ იკმარა და სამმართველოდ იტა-
ლია და აფრიკა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. „ფორმალური
კეისრის" უკმაყოფილება გამოიყენა ლიციინიუსმა. იგი საიდუმლო
შიკრიკთა გზავნით აქეზებდა ბასიანეს, შეიარაღებული ძალით მო-
ეპოვებინა ოლქები, რომლებზედაც კონსტანტინე უარს ეუბნებო-
და. შეთქმულება გამჟღავნდა და კონსტანტინემ ბასიანე სიკვდი-
ლით დასაჯა. დანარჩენი შეთქმულნი გაიქცნენ აღმოსავლეთში.
კონსტანტინემ ლიციინიუსისაგან მათი გაცემა მოითხოვა, მაგრამ
უარი მიიღო. ამას ისიც დაერთო, რომ ლიციინიუსმა ილირიისა
და იტალიის სასაზღვრო ქალაქ ემონაში (ლაიბახი) კონსტანტინეს
ქანდაკებანი დაამსხვრევინა.

ომის შეჩერება ახლა აღარაფერს შეეძლო. მოწინააღმდეგენი
ერთმანეთს შეხვდნენ 315 წლის 8 ოქტომბერს ციბალისის მახლობ-
ლად, პანონიაში. ლიციინიუსი დამარცხდა. მალე მეორე ბრძოლაც
გაიმართა, თრაკიაში, მარდიუსის ველზე. კვლავ კონსტანტინემ გა-
იმარჯვა.

ლიციინიუსმა ზავი ითხოვა და მიიღო კიდეც ყველა იმ პირობით,
რაც გამარჯვებულმა წამოაყენა: ძველი დუნაისპირა ქვეყნები, მა-
კედონია და საბერძნეთი კონსტანტინეს სამფლობელოებს შეუერთ-
და. ლიციინიუსს დარჩა თრაკია, მცირე აზია, სირია და ეგვიპტე.
სიკვდილით დაისაჯა ლიციინიუსის მოადგილე — კეისარი ვალენტი.

კეისრებად გამოცხადდნენ კონსტანტინეს ორი და ლიცინიუსის ერთი ვაჟი.

ამის შემდგომ რვა წლის მანძილზე იმპერიის შიგნით შედარებითი სიმშვიდე სუფევდა. მხოლოდ რეინზე და დუნაიზე ისმოდა ჟამიდან ჟამზე საომარი ყიჟინა. აქ კონსტანტინე გერმანელ ტომებზე გამარჯვებებით იხვეჭდა ახალ-ახალ დიდებას. იგი დრო და დრო რომშიც გამოჩნდებოდა, სამეურნეო და კულტურული ხასიათის განკარგულებებს იძლეოდა (ამ დროს აშენდა რომში კონსტანტინეს ტრიუმფალური არკა) და ისევ სამხედრო ბანაკისაკენ მიეშურებოდა. იგი შეიქნა ფაქტიური ერთმმართველი იმპერიისა.

ლიცინიუსმა დიდი ხნის სამზადისის შემდეგ უკანასკნელად სცადა ბედი.

მოწინააღმდეგენი უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ 324 წელს, ქალაქ ადრიანოპოლთან. ლიცინიუსის საომარი დროშის ქვეშ 150.000 ქვეითი და 15.000 ცხენოსანი იდგა. კონსტანტინეს უფრო მცირერიცხოვანი ძალები ჰყავდა. მაგრამ მეომართა გაწვრთნილობამ, დისციპლინიანობამ, სიმტკიცემ, ერთგულებამ და თვით მთავარსარდლის ნიჭიერებამ და სიმამაცემ, თავისი გაიტანეს. კონსტანტინემ ბრწყინვალე მანევრით სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. განადგურებულმა ლიცინიუსმა თავი შეაფარა ბიზანტიონს. მას კიდევ დარჩენოდა იმედი ძლიერი ფლოტისა, მაგრამ ეს იმედიც მალე ჩაეფუშა, როცა მისი გემების ნაწილი ქარიშხალმა იმსხვერპლა, ნაწილიც ქალკედონთან კონსტანტინეს უფროსმა ვაჟმა, ნიჭიერმა და მამაცმა კ რ ი ს პ უ ს მ ა გაანადგურა. კონსტანტინემ ბიზანტიონი ალყაში მოაქცია და სასტიკი იერიშები წამოიწყო. ლიცინიუსი დაცემის პირზე მისული ციხე-სიმაგრიდან გავიდა და სრუტის მეორე მხარეზე, ქრისოპოლისთან (ბითინიაში, ბიზანტიონის პირდაპირ), აქ მომლოდინე მომხრეებით ერთხელ კიდევ შეება მტერს. იგი საბოლოოდ დამარცხდა და სულიერი მხნეობა სავსებით დაჰკარგა. მისმა ცოლმა, კონსტანციამ, ქმრის შეწყალება გამოსთხოვა გამარჯვებულ ძმას. თვითონ ლიცინიუსმა ნიკომედიაში კონსტანტინეს წინაშე ძოწის მანტია მოიხსნა, მუხლებზე დაეცა და თავი სამუდამოდ მის მონა-მორჩილად გამოაცხადა. კონსტანტინემ მას სიცოცხლე აჩუქა და ძლიერი ყარაულის თანხლებით ადრიანოპოლისში გაგზავნა. მაგრამ სვებედნიერმა მბრძანებელმა მალე გადაიფიქრა, ლიცინიუსს ხელახალი გამოსვლის განზრახვა დააბრალა და ჯალათებს დაახრჩობინა.

1. თვითონ კონსტანტინე

მაშ, რომის იმპერიის ერთმმართველი მბრძანებელი შეიქნა ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინე დიდი (Flavius Valerius Constantinus Magnus). მისი იმპერატორობა 306 წლიდან იწყება, ხოლო ერთმმართველობა — 324 წლიდან. ორივე ეს თარიღი ერთნაირი უფლებით ითვლება დასაწყისად კონსტანტინეს მმართველობისა, რომელიც გაგრძელდა 337 წლამდე, „დიდი ხელმწიფის“ გარდაცვალებამდე.



კონსტანტინე დიდი

კონსტანტინე ფრთხილი და უაღრესად ანგარიშიანი პოლიტიკოსი იყო. იგი არაფერს ერიდებოდა პირადი ხელისუფლების ამაღლებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე. მასში სისასტიკე და გულქვაობა ყოველთვის სძლევდნენ სულგრძელობას და გულმოწყალებას. გალიაში ლაშქრობისას მისი ბრძანებით ამფითეატრში ტყვეებს მასობრივად აგლეჯინებდნენ მხეცებს. კონსტანტინეს ხელები სიმამრისა და სიძეების სისხლში ჰქონდა გასვრილი: მან სავსებით უდანაშაულოდ მოაკვლევინა ლიცინიუსის თერთმეტი წლის ვაჟი.

გულღრძო ხელმწიფემ არ დაინდო საკუთარი შვილიც კი — მა-

მაცი და კეთილშობილი კრისპუსი. ამ საშინელი მკვლელობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთნი გადმოგვცემენ, რომ შვილი კონსტანტინეს მოაკვლევინა მეორე ცოლმა ფაუსტამ (კრისპუსი კონსტანტინეს პირველი ცოლის — მინერვინასაგან ჰყავდა). თითქოს ფაუსტას კრისპუსისათვის სიყვარული შეეთავაზებინოს, უარი მიეღოს და შურისძიების მიზნით კონსტანტინესთან დაებეზღებინოს: შენმა შვილმა გაუპატიურება მომინდომაო. ასეთი სიმდაბლე ზნედაცემული იმპერიის სასახლის კარზე გამორიცხული არ არის და ესეც რომ არ იყოს, ფაუსტას ხრიკები დასაჯერებელია იმდენად, რამდენადაც მას კრისპუსის ჩამოცილებით შესაძლებლობა ეძლეოდა ტახტისკენ გზა გაეკაფა საკუთარი შვილებისათვის. შეიძლება ამასვე უკავშირდებოდეს თვით ფაუსტას ტრაგიკული ბედი შემდგომში: კონსტანტინემ დედამისის, ელენეს მოთხოვნით, ფაუსტა აბანოში ცხელი ორთქლით მოაშთო. ზოგიერთი თანამედროვე კრისპუსის სიკვდილს მამამისის განუზომელ პატივმოყვარეობას უკავშირებს. თითქოს, კონსტანტინე შეაშფოთა ნიჭიერი, მამაცი, კეთილშობილი და მეტად პოპულარული შვილის მეტოქეობამ, მით უფრო, რომ კრისპუსმა მამას ვიცენალიის დღესასწაულის დროს თანაიმპერატორობა მოსთხოვა, და მამამ „თავხედი შვილი“ სასიკვდილოდ გაიმეტა.

ახალგაზრდობაში კონსტანტინე დიდსულოვანი და კეთილშობილი ვაჟკაცის როლს თამაშობდა. ამაში შესაფერისი აღნაგობაც უწყობდა ხელს: იყო ტანად ახოვანი, პირად სახიერი, გულით უშიშარი და გონებით საქმიანი. მაგრამ შემდგომ გახელმწიფებისა და სიჭარმაგედ შესვლისა, იგი საოცრად გაანებივრა პატივმოყვარეობამ და ფუფუნებამ.

კონსტანტინე ხშირად იტყოდა ხოლმე: „იმპერატორობის მოპოვება ბედის საქმეა, მაგრამ ვინც ბედისწერის ძალამ მბრძანებლად დასვა, იგი კიდევაც უნდა ცდილობდეს უმაღლესი ძალაუფლების ღირსი შეიქნეს“.

ამ სიტყვების ავტორი მართლაც იყო ღირსი ხელმწიფე-იმპერატორობისა, ვითარცა სახელმწიფო-პოლიტიკურ საქმეთა დიდი ორგანიზატორი, მაგრამ მის ხელმწიფურ სინდისს ხშირად ახშობდა სისუსტე პატივმოყვარეობის, მაამებლობისა და ქლესაობის წინაშე.

2. კონსტანტინეს საშინაო პოლიტიკა

კონსტანტინეს შიგასახელმწიფოებრივი საქმიანობა უმთავრესად დიოკლეტიანესგან დაწყებული რეფორმების გაგრძელება და დასრულება იყო. ამ ღონისძიებების შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბ-

და გვიანდელი იმპერიის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ-მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა.

კონსტანტინემ დაასრულა ბიუროკრატიული სისტემის შექმნა, მკაცრი იერარქიული პრინციპებით, მაღალი წოდებით და მჭუხარე ტიტულებით.

თვითონ იმპერატორი წოდებულ იქნა ვითარცა „ღვთისაგან ნაშობი" (diis genitus) და „შემქმნელი ღმერთებისა" (deorum creator); იგი არის ადამიანური სხეულით მოვლენილი ღმერთი (tomquam praesens et corporalis deus). მთელი იმპერია იმპერატორის პირად საკუთრებად და მეურნეობად (ოიკოსი) ითვლება.

იმპერატორის მრავალრიცხოვან ედიქტთა საფუძველზე იურისტები ადგენდნენ კოდექსებს. ჯერ დიოკლეტიანეს დროს, 294 წელს გამოიცა გ რ ე გ ო რ ი უ ს ი ს კ ო დ ე ქ ს ი (Codex Gregorianus), რომელშიც შევიდა ყველა კანონი, დაწყებული ადრიანეს დროიდან. მეორე სამართლის კრებული გამოიცა კონსტანტინეს დროს, 314 წელს, ჰ ე რ მ ო გ ე ნ ე ს ავტორობით (Codex Hermogenianus).

რაკი მთელი სახელმწიფო იმპერატორის პირად საკუთრებად ითვლებოდა, ბუნებრივია, უმაღლესი თანამდებობის პირნიც მის პირად მსახურებად უნდა წარმოვიდგინოთ. თვითონ სასახლის კარზე იმპერატორის უახლოეს პირებად თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით გვეგლინებიან:

1) პ რ ე პ ო ზ ი ტ უ ს ი ანუ „ს ა ღ მ რ თ ო ს ა რ ე ც ლ ი ს უ ფ რ ო ს ი" (prepositus sacri cubiculi), რომელიც განაგებდა სასახლესა და იმპერატორის პირად მსახურეულთა შტატს. მას ემორჩილებოდნენ: იმპერატორის სანთიობოს ზედამხედველი (primicerius sacri cubiculi) და მისი მოადგილენი—კუბიკულარიუსები (cubicularii), სასახლის ბანაკის უფროსი (comes castrensis sacri palatii), იმპერატორის სუფრის გამგებელი, იმპერატორის მარნის გამგებელი, სასახლის კურთხევის გამგებელი, საღმრთო ტანსაცმლის გამგებელი (comes sacrae vestis), იმპერატორის თავლის გამგებელი (comes stabuli), ოცდაათი სილენტიარიუსი — „სიწყნარის დამცველნი" (silentiarii) და სასახლის დაბალ მსახურთა მრავალრიცხოვანი შტატი.

2) მ თ ა ვ ა რ ი კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს უ ფ რ ო ს ი (magister oficiorum) განაგებდა მთელს სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებას სასახლის კარზე. იგი იყო იმპერატორის მცველი გვარდიის მეთაური, განაგებდა აუდიენციებს, ღებულობდა თხოვნებს, აპელაციებს, მიწერ-მოწერას, ყოველგვარ დოკუმენტაციას; მას ემორ-

ჩილებოდა ოთხი კანცელარია (scrinia) „სარეცლის ხარტულარიუსებით“ (chartularii cubiculi) ანუ „წერილმწარმოებლებით“. მთავარი კანცელარიის უფროსი განაგებდა აგრეთვე სამხედრო არსენალებსა და სახელოსნოებს. მას ემორჩილებოდნენ „აგენტები“, იმპერატორის ედიქტთა გამავრცელებელნი, რომელნიც იმავე დროს, ვითარცა „თვალნი ხელმწიფისანი“, საიდუმლო ჯაშუშთა მოვალეობასაც ასრულებდნენ. „აგენტთა“ რიცხვი ათი ათასამდე აღწევდა.

3) საღმრთო სასახლის კვესტორი იმპერატორის სახელითა და მისი დასტურით ადგენდა და სცემდა სახელმწიფო კანონებს.

4) საღმრთო სიუხვეთა უფროსი (comes sacrarium largitionum) მეთაურობდა საფინანსო საქმეებს, ვაჭრობას, აღებ-მიცემობას, რეწვა-მრეწველობას, ფულის მოჭრას, საჩუქართა და ძღვენთა გაცემას. ამ უწყებაშიც შედიოდა მრავალრიცხოვანი შტატი, რომელიც იყოფოდა თერთმეტ კანცელარიად.

5) იმპერატორის პირადი საკუთრების გამგებელი (comes rerum privatarum divinae domus) განაგებდა მთელს იმპერიაში გაშლილ სახნავ-სათეს მინდვრებს, მამულებს, საძოვრებს, საქონლის ჯოგსა და ცხენთა რემას. ეს უწყება მოიცავდა ოთხ კანცელარიას და ცალკეულ მეურნეობათა გამგებლების მრავალრიცხოვან შტატს.

6) სასახლის კავალერიის უფროსი (comes domesticorum equitum).

7) სასახლის ქვეითი ჯარის უფროსი (comes domesticorum peditum).

ეს უკანასკნელნი სათავეში უდგნენ სასახლისა და იმპერატორის დაცვას და ხშირად მათგანვე ინიშნებოდა სახელმწიფოს გაერთიანებულ სამხედრო ძალთა მთავარსარდალი.

მსახურეულთა იერარქია წოდებების, ხარისხებისა და ტიტულების მიხედვით ზემოდან ქვემოთ ასეთი იყო:-

„უკეთილშობილესნი“ (nobilissimi);

„უბრწყინვალესნი“ (illustres);

„უპატივცემულესნი“ (respectabiles);

„უსრულესნი“ (perfectissimi).

ასეთი ტიტულები და მაღალი თანამდებობანი ჩვეულებრივ ეძლეოდათ მონარქის უახლოეს პირებს, ნათესავებს, მეგობრებს. ტიტულთან ერთად მათ ეძლეოდათ შესაბამისი დიპლომი სიმბოლური ნიშნებითა (insignia) და ასეთი პატივმოყვარული წარწერებით:

„თქვენი უდიდებულესობა!“ (magnificencia), „თქვენი უღირსეულესობა!“ (gravitas) და სხვ.

მოხელეთა შტატში შემავალი პირები დიდ ჯამაგირს ღებულობდნენ (მაგალითად, კანცელარიის უფროსი წლიურად 300.000 სესტერციუმს იღებდა), სამაგიეროდ მკაცრად ისჯებოდნენ უსაქმურობისათვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, მექრთამეობისთვის. კონსტანტინესაგან გამოცემულ ერთ ედიქტში (331 წ.) წერია:

„დეე, ბოლოს და ბოლოს, მძარცველობა ნუ მიიზიდავს მოხელეთა ხელს. მე ვბრძანებ, ნუ მიიზიდავს-მეთქი, თორემ თუ ისინი წინააღმდეგ შემთხვევაში ასე არ მოიქცევიან ჩემი გაფრთხილების შემდეგაც კი, მაშინ მათ ხელები მახვილით მოეკვეთებათ“.

მთელი სახელმწიფოს ბიუროკრატიული მმართველობა თავს იყრიდა იმპერატორის უშუალო მბრძანებლობის ქვეშ მყოფ უმაღლეს სათათბირო საბჭოში, ანუ კ ო ნ ს ი ს ტ ო რ ი უ მ შ ი*.

როგორც წესი, ყველაფერი, რაც უშუალოდ იმპერატორის სახელს უკავშირდებოდა, „საღმრთოს“ სახელით ინათლებოდა. ამიტომ კონსისტორიუმსაც საღმრთო ერქვა (sacrum consistorium), ასევე იმპერატორის სასახლესაც (sacrum palatium) და ა. შ.

კონსტანტინეს სამხედრო რეფორმა პრეტორიანული გვარდიის გაუქმებით დაიწყო. მის ნაცვლად მან სასახლის დამცველთა კორპუსი შექმნა. სამხედრო საქმეთა მეთაურობა გადაეცა განსაკუთრებულ მაგისტრატს — შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ძ ა ლ თ ა უ ფ რ ო ს ს (magister militum) და მის მოადგილეს — კ ა ვ ა ლ ე რ ი ი ს უ ფ რ ო ს ს (magister equitum). ამიერიდან სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა საბოლოოდ გამოეყვნენ ერთიმეორეს.

კონსტანტინემ დაასრულა დიოკლეტიანეს მიერ დაწყებული დაყოფა არმიებისა სასაზღვრო (limitanei) და შინა სამსახურის (comitatenses) ნაწილებად. მის დროს კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ იმპერიის საომარ ძალთა ბარბარიზაცია. კონსტანტინეს დროის არმიები თითქმის მთლიანად ბარბაროს-ჯარისკაცთაგან შედგებოდა. მარტო ერთ, ე. წ. „მოკავშირეთა“ კორპუსში, 40.000 გოთ-გერმანელი მსახურობდა. მაღალ სამხედრო თანამდებობებზეც უფრო ხშირად ისევ უცხოელები (არარომაელები) წინაურდებიან.

კონსტანტინემ ძირითად ფორმაში დატოვა აგრეთვე დიოკლეტიანეს ადმინისტრაციული რეფორმა. ზოგიერთი ცვლილების

---

* თვით სიტყვა consistorium-ი გვიჩვენებს, რომ საბჭოს შემადგენლობა თათბირის დროს იმპერატორის წინაშე ფეხზე უნდა მდგარიყო.

შემდეგ, კონსტანტინეს დროინდელი რომის იმპერია დაყოფილია შემდეგნაირად:

ოთხი პრეფექტურა:

1) აღმოსავლეთი — სამხრეთ ეგვიპტიდან საქართველომდე და თრაკიიდან სპარსეთამდე;

2) ილირიკი — პანონია, დაკია, მაკედონია და საბერძნეთი;

3) იტალია — დუნაიდან და ალპებიდან აფრიკამდე;

4) გალია — ბრიტანეთი, გერმანია, გალია და ესპანეთი.

პრეფექტურების სათავეში დგანან პრეტორიის პრეფექტები (praefecti pretorio), რომლებიც ადგილებზე წარმოადგენენ იმპერატორის მოადგილეებს.

პრეფექტურები იყოფიან დიოცეზებად. სულ თორმეტი დიოცეზია; დიოცეზების სათავეში დგანან ვიკარიუსები (vicarii).

დიოცეზები იყოფიან პროვინციებად, სულ არის 118 პროვინცია; პროვინციების სათავეში დგანან რექტორები (rectores — „წარმმართველნი"). მხოლოდ სამი პროვინცია — აქაია, აზია და აფრიკა — ემორჩილებიან იმპერატორისგან წარგზავნილ პროკონსულებს.

კონსტანტინემ კიდევ უფრო გააფართოვა და გაადიდა საგადასახადო სისტემა. გადასახადები დადგინდა ყოველგვარი სახის უძრავ-მოძრავ ქონებაზე. გადახდა ხდებოდა ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ ნატურით. ყოველ თხუთმეტ წელიწადში მოსახლეობისა და დასაბეგრი ქონების ხელახალი განსაზღვრის მიზნით ტარდებოდა აღწერა, ანუ ინდიქტიონი. იმპერატორი წითელი მელნით ხელს აწერდა ედიქტზე, რომელიც განსაზღვრავდა ამა თუ იმ ოლქის გადასახადის რაოდენობას (აქედან — indictio — „მითითება", „ბრძანება"). პირველი ასეთი ინდიქტიონი ჩატარდა 312 წლის სექტემბერში.

3. „ახალი რომის" გამოცხადება

დიოკლეტიანეს დროიდან რომი აღარ ითვლებოდა მსოფლიოს ცენტრად. „უჯიშო — ბარბაროსი იმპერატორები" უნდოდა, მძულეარე თვალით უცქერდნენ რესპუბლიკური ტრადიციების ბუდეს, ამპარტავანი, გულზვიადი მოსახლეობით.

კონსტანტინემ გადაწყვიტა ახალი „ცენტრი" მიეცა მსოფლიოსათვის და ამითაც აღენიშნა საკუთარი, „ახალი ერის" დასაწყისი საკაცობრიო ისტორიაში.

ჯერ იგი ფიქრობდა „ახალი რომი“ დაეარსებინა აზიაში, იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც აღმართულიყო ლეგენდარული ქალაქი ტროა, მითიური წინარე სამშობლო მსოფლიოს დამპყრობელი რომაელებისა, მაგრამ დიდი პრაქტიკული ნიჭის მქონე ხელმწიფემ რომანტიკულობა უმალვე გვერდზე გადადო და ახალი სატახტოსათვის აირჩია მსოფლიოში უბრწყინვალესი ადგილი, შავი ზღვიდან მომდინარე ბოსფორის სრუტის ბოლოში, აზიისა და ევროპის შესაყარში.

აქ, აზიურ სანაპიროზე, უძველესი ქალაქი ქალკედონი დაარსებულა. მალე ქალკედონელებს ბრმები უწოდეს, რადგან მათ პირდაპირ, ევროპულ მიწაზე, უშესანიშნავესი ადგილი არ აურჩევიათ დასასახლებლად. 660 წელს (ძვ. წ.) აქ დასახლდნენ მეგარელი ბერძნები და აქედანვე იწყებს არსებობას ბერძნული კოლონია ბ ი ზ ა ნ ტ ი ო ნ ი.

საუკუნეების მანძილზე ბიზანტიონი იყო მსოფლიო ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გზაკვანძი. აქვე თავს იყრიდნენ მსოფლიო სახელმწიფოთა პოლიტიკური და სტრატეგიული მისწრაფებანი. მას სამი მხრიდან აკრავს ზღვა: პროპონტიდა, ბოსფორი და ბოსფორიდან თერთმეტი კილომეტრის სიგრძეზე შეჭრილი ყურე მრავალმნიშვნელოვანი სახელით — „ოქროს რქა“ (ბერძნ. „Chrisoceras“). აქაური კლიმატი არის ზომიერი და ჯანსაღი; შემოგარენი — მაღლობი და ბორცვიანი, ვენახებითა და ბაღებით შემოსილი; მათ გვერდით — ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები და ნოყიერი საძოვრები.

326 წლის გაზაფხულზე კონსტანტინე ბრწყინვალე ამალით გადავიდა ბიზანტიონის მიწაზე. იგი ბოსფორის პირზე დადგა, ხელში შუბი აიღო და მომავალი ქალაქის გადაზომვას შეუდგა. ეივლი მანამ, სანამ ვინმე წინ არ შემხვდება და არ შემაჩერებსო — უთქვამს მას.

ასე კონსტანტინეს თავისი სატახტოს საზღვრებში მოუქცევია ნახევარკუნძულის ორ მესამედზე მეტი.

მშენებლობა ძალზე სწრაფად დაიწყო. 326 წლის ნოემბრის დასაწყისში დასავლეთის კედლის ფუნდამენტის საზეიმო კურთხევა მოხდა, ხოლო აქედან ოთხი წელიც არ დასჭირვებია ქალაქის მთლიან დასრულებას.

330 წლის 11 მაისს კონსტანტინემ, დიდის მსხვერპლწირვით, კურთხევითა და ზარზეიმით, მსოფლიოს წარუდგინა ახალი სატახტო ქალაქი — კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი (ბერძნ. „კონსტანტინუპოლის“ — კონსტანტინეს ქალაქი).

ეს იყო ბრწყინვალე ქალაქი და ციხე-სიმაგრე. ცენტრში იშლებოდა კოლონადებითა და ქანდაკებებით გარშემორტყმული ორი მოედანი; ერთი ა ვ გ უ ს ტ ე ო ნ ი — იმპერატორის დედის, ავგუსტა ელენეს სახელობისა, ხოლო მეორე თვითონ კონსტანტინეს სახელობისა. კონსტანტინეს მოედნის ცენტრში იდგა ცადატყორცნილი ძოწისფერი კოლონა, რომლის თავზე იდგა მზის ღმერთის, ჰელიოსის სხივოსანი გვირგვინით შემკობილი ქანდაკება. მალე ეს ქანდაკება კონსტანტინეს ძეგლად გადაკეთდა. ხმა გავრცელდა, თითქოს, კოლონის ბაზისის ძირში რომიდან საიდუმლოდ ჩამოტანილი პალადიუმი მარხიაო, ხოლო თვით სვეტის წიაღში ჯვარი-ცხოველის ნაწილია დატანებულიო.

დიდად საინტერესო ნაგებობა იყო ჰ ი პ ო დ რ ო მ ი, სიგრძით 400 ნაბიჯი, სიგანით 100 ნაბიჯი, მორთული ქანდაკებებით, ობელისკებით, მათ შორის — ბრინჯაოს სამი გველის სახით ახლართული კოლონა ოქროს ზედადგარით, რომელიც მანამდე დელფოს აპოლონის ტაძარში იდგა, ვითარცა ბერძენთა ძღვენი პლატეასთან სპარსელებზე გამარჯვებისათვის (ძვ. წ. 479).

ჰიპოდრომის მახლობლად იდგა იმპერატორის „ს ა ღ მ რ თ ო ს ა ს ა ხ ლ ე“ (sacrum palatium), სიდიდით და სიმდიდრით არაწაკლები პალატინუმისა სასახლისა, გარშემორტყმული კოლონადებით, ეზოებითა და ბაღებით. ავგუსტეონზე იდგა სენატის მშვენიერი შენობა. მახლობლად ერთმანეთს მისდევდნენ თერმები, აკვედუკები, პურის მაღაზიები და წარჩინებულთა საცხოვრებელი სახლები.

იმპერატორი ყოველნაირად ახალისებდა „ახალ რომში“ დასახლების მსურველთ. სულ მალე კონსტანტინოპოლი ხალხით გაივსო და იმპერიის უდიდეს ქალაქად იქცა. იქ ყოველგვარი პირობა იყო ფუფუნებით ცხოვრებისათვის, ვაჭრობისა და ხელოსნობისათვის, მიწათმოქმედებისა და ზღვაოსნობისათვის. აქ უფრო იაფად და უხვად არიგებდნენ პურს, ღვინოს და ზეთს და უფრო მდიდრულ სანახაობებსაც უჩვენებდნენ, ვიდრე ძველ რომში.

ახალი ქალაქის განაშენიანება, მისი არქიტექტურული სტილი და იერსახე დუალისტურ ხასიათს ატარებდა. ამის მიზეზი იყო თვით კონსტანტინეს ორპოფული პოლიტიკა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. მისი ბრძანებით კონსტანტინოპოლში ტაძრები აუგეს წარმართ ჰელიოსს, ტიხეს (ბედნიერება), დიოსკურებსა და მათ გვერდით ქრისტიან აპოსტოლებსაც.

4. კონსტანტინე და ქრისტიანობა

IV საუკუნის დამდეგისათვის ქრისტიანობა მთელს რომის იმპერიაში იყო გავრცელებული. 313 წლიდან, მილანოს ედიქტის გამოცემიდან, იგი დევნილი რელიგიიდან გაბატონებულ რელიგიად იქცა. კონსტანტინესაც თავისი მსოფლიო მონარქიის ერთიანი იდეოლოგიური სიმტკიცისათვის სწორედ ისეთი მძლავრი რელიგია სჭირდებოდა, როგორადაც იმ დროისათვის ქრისტიანიზმი ქცეულიყო.

ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინეს სიმპათიები ქრისტიანობისადმი კიდევ მეტად გაიზარდა, მაგრამ ვერ იქნა და იმპერატორმა სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე ვერ მოახერხა ძველ წარმართობასთან კავშირის გაწყვეტა. იგი ნათლიღებას გამუდმებით მომავლისთვის სდებდა და ძველრომაული რელიგიის უმაღლეს ქურუმობაზე (pontifex maximus) ხელს არ იღებდა. რომში აგებულ კონსტანტინეს ტრიუმფალურ არკაზე წარწერებში ქრისტეც ჩანს და იუპიტერიც. იმპერატორმა არმიის დროშაზე ქრისტეს სახელის აღმნიშვნელი მონოგრამა ამოაქარგვინა, საკუთარ მუზარადზე და ცხენის აღვირზე „ქრისტეს ნალურსმევი" სამსჭვალებიც ჩააჭედა, მაგრამ ახალ სახელმწიფო მონეტებს ისევ წარმართული ღმერთების (განსაკუთრებით ჰელიოსის) გამოსახულებით სჭრიდა.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში კონსტანტინე ნეიტრალური პოზიციიდან თითქმის გადადგა და ქრისტიანობის აშკარა მფარველი გახდა. მან კვირა დღე უქმედ გამოაცხადა, როგორც ქრისტეს აღდგომის დღე და მით უარყო მანამდე სათაყვანო ჰელიოსი, რომლისთვისაც მანამდე სწორედ კვირა დღე იყო სადღესასწაულოდ განკუთვნილი. იმპერატორმა დაიახლოვა და გაიშინაურა ეპისკოპოსები, მსჯელობდა და პაექრობდა მათთან, მოუწოდებდა მეცნიერული განსწავლულობისაკენ, რამეთუ ცოდნის საშუალებით დაეძლიათ ყოველი ანტიქრისტიანული მოძღვრება.

იმპერატორმა კიდევ უფრო გაბედულად მიჰყო ხელი წარმართული ტაძრებიდან ძვირფასეულობის გატანასა და მისი მეოხებით კონსტანტინოპოლის გამდიდრება-გამშვენიერებას. ზოგი მათგანი, „სულის წამწყმედი" უზნეობის მომიზეზებით, დაანგრია კიდეც.

კონსტანტინემ ხელი მიჰყო ქრისტიანული ტაძრების მშენებლობას პალესტინაში და სხვა „წმიდა ადგილებში". 326 წელს მდ. იორდანეში მოინათლა კონსტანტინეს დედა ელენე. ამის კვალდაკვალ „წმიდა დედის" პატივისცემით კონსტანტინემ რამდენიმე ტაძარი ააგო პალესტინაში. იქ, სადაც მონიშნული იყო ქრისტეს საფ-

ლავი, მანამდე იდგა აფროდიტეს ტაძარი, რომელიც ახლა კონსტანტინემ დაანგრია, „ქრისტეს გამოქვაბული“ კოლონადებით შემოლობა და იქვე თეთრი მარმარილოს ეკლესია ააშენა. ასევე, ელენემ ეკლესია ააგებინა ბეთლემში, სადაც გადმოცემით დაიბადა იესო ქრისტე.

კონსტანტინე დიდ მზრუნველობას იჩენდა ქრისტიანულ ეკლესიათა და სამღვდელოებათა მატერიალური უზრუნველყოფისათვის. სათემო საკუთრების დიდი ნაწილი მან ეკლესიის შემოსავლის წყაროდ აქცია. ქრისტიანული სამღვდელოება მისი ბრძანებით განსაკუთრებულ, უმაღლეს წოდებად გამოცხადდა.

ქრისტიანობაც ვალში არ რჩებოდა თავის კეთილისმყოფელს. ახალი რელიგია ამტკიცებდა, რომ იმპერატორი სახელმწიფოს განაგებს „წყალობითა ღვთისათა“; იგი არის „საყოველთაო ეპისკოპოსი“ და „ეკლესიის შუაგული“. ერთ იმდროინდელ ქრისტიანულ ნაწარმოებში ნათქვამია:

„როცა იმპერატორმა ავგუსტუსის ტახტი მიიღო, ყველა ვალდებულია დაემორჩილოს და დაუღალავად ემსახუროს მას, ვითარცა ხორცსსმულ ღმერთს, რადგან მშვიდობიანობის დროსაც და ომის დროსაც კაცი ღმერთს ემსახურება, როცა ემორჩილება მას, ვინც მბრძანებლობს ნებითა ღვთისათა“.

მაგრამ კონსტანტინესთვის შემაშფოთებელი შეიქნა შინაგანი უთანხმოებანი, რომლებიც დრო და დრო თავს იჩენდნენ მისგან რჩეულ სახელმწიფო რელიგიაში.

ჯერ კიდევ 313 წელს აფრიკელმა ქრისტიანებმა კონსტანტინეს სთხოვეს ჩარეულიყო ბრძოლაში, რომელიც კართაგენის ეპისკოპოსის ტახტისათვის დაწყებულა ც ე ც ი ლ ი ა ნ ე ს ა და დ ო ნ ა ტ უ ს შორის 311 წელს.

დონატისტები (დონატუსის მიმდევრები) ცეცილიანეს ბრალს სდებდნენ დიოკლეტიანეს დევნის დროს საღვთო წიგნების გაცემაში; ამიტომ მას ქრისტიანობის გამცემელს (traditor) უწოდებდნენ და ეპისკოპოსობიდან გადაყენებას მოითხოვდნენ. ცეცილიანეც, რომელიც თავის ქრისტიანულ მოღვაწეობას „კათოლიკურს“ („მსოფლიო“, „მთავარი“) უწოდებდა, თავის მხრივ დონატუსს ქრისტიანული კანონიკის გარეშე აყენებდა.

კონსტანტინემ დონატისტებისა და ცეცილიანისტების საქმე გადასცა ეპისკოპოსთა კრებას. ეპისკოპოსები ორჯერ შეიკრიბნენ და ორჯერვე სცნეს ცეცილიანეს მღვდელმთავრობის კანონიერება კართაგენში. ეს გადაწყვეტილება იმპერატორმაც დაადასტურა.

დონატისტები დამარცხებას არ შეუერიგდნენ. ცეცილიანეს გარდა

მისი მხარდამჭერი ეპისკოპოსებიც გამცემლებად გამოაცხადეს და თავისი „ჭეშმარიტ-ქრისტიანული“ ეკლესია შექმნეს. „დონატისტებისა“ და „კათოლიკების“ ბრძოლა მთელი საუკუნე გაგრძელდა.

მეორე საეკლესიო საკითხი, რომლის გადაჭრაშიც კონსტანტინეს ჩარევა მოუხდა, დაუკავშირდა ალექსანდრიაში შექმნილ მდგომარეობას.

ალექსანდრიაში დიდხანს მიმდინარეობდა ბრძოლა ქრისტიანიზმის დოგმატურ საკითხებზე. ჯერ კიდევ ზოგიერთი ღვთისმეტყველი ცდილობდა ქრისტიანული დოგმატიკისა და ბერძნული ფილოსოფიის შერიგება-შეერთებას. მათგან ყველაზე ცნობილი იყვნენ კ ლ ი მ ე ნ ტ ი (II საუკუნის ბოლო) და ო რ ი გ ე ნ ე (185—250 წწ.). ორიგენეს თეოლოგიური მოძღვრება ძირითადად პლატონის ფილოსოფიიდან გამომდინარეობდა და პლატონიზმის მიხედვითვე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა „ლოგოსს“ (სიტყვა, აზრი, იდეა), რომელიც გაიგივებული იყო ღვთის ძესთან, ანუ იესო ქრისტესთან.

ორიგენის მოძღვრებამ საქრისტიანო სამყაროში, განსაკუთრებით ალექსანდრიაში, დიდი აურზაური გამოიწვია და მას ბევრი მიმდევარიც გაუჩნდა.

IV საუკუნის დასაწყისს ალექსანდრიაში ახალი მოძღვრებით გამოდის დიდად განთქმული ასკეტი და ღვთისმეტყველი ა რ ი ო ზ ი, რომელიც აცხადებს შემდეგს:

ქრისტიანულ წმიდა სამებაში (მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა-ღმერთი) მარადიული არის მხოლოდ მამა-ღმერთი; მამა-ღმერთმა წარმოშვა ძე, ანუ ლოგოსი, ხოლო ამ უკანასკნელმა შექმნა სულიწმიდა. აქედან გამომდინარე ძე არ უდრის მამას და იგი მხოლოდ მიმსგავსებაა მშობელი-შემოქმედისა. „იყო როდესაც არ იყო“ — ამბობდა არიოზი; ე. ი. ქრისტე როგორც ღვთაება მარადიული არ ყოფილა; იგი, ერთ დროს არარსებული, გაჩნდა ვითარცა ხორცსხმული ადამიანი.

არიოზის მოძღვრებასაც (არიოზობა) დიდი ხმაური მოჰყვა. იგი მაშინვე დაგმო და შეაჩვენა ალექსანდრიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და მალე მას შემდეგ ადგილობრივმა საქრისტიანო კრებამ. მაშინ არიოზმა მიმართა სხვა ეკლესიებს. მისი ლექსებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ალექსანდრიის მდაბიო ხალხში, ხელოსნებსა და მეზღვაურებში. ყველგან, ქალაქებსა და სოფლებში, ქუჩებსა და ბაზრებში, სამეკიტნოებსა და სასადილოებში არიოზელებსა და მის მოწინააღმდეგეთ შორის იმართებოდა ცხარე

პოლემიკა, რაც ძალიან ხშირად ხელჩართულ შეტაკებაშიც გადაიზრდებოდა.

კონსტანტინე კვლავ ჩაერია ახალ ქრისტიანულ ორომტრიალში. მისი ინიციატივით 325 წელს ბითინიის ქალაქ ნიკეაში მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება*, რომელმაც დაგმო არიოზობა და მიიღო ერთიანი რწმენის კანონი, ანუ სიმბოლო რწმენისა: „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ერთარსება (ბერძ. „ჰომუსიოს") მამისა". თვითონ არიოზი გადასახლებულ იქნა ილირიაში, ხოლო მისი მიმდევრები — გალიაში.

მაგრამ ასეთმა გადაწყვეტილებამ და რეპრესიამ არიოზული ერესი (მწვალებლობა) არამც თუ ვერ აღმოფხვრა, არამედ კიდევ მეტად გააძლიერა. მას ბევრი მიმდევარი ჰყავდა თვით იმპერატორის სასახლის კარზე. მალე არიოზმა ამნისტია მიიღო, ხოლო მისი მთავარი მოწინააღმდეგე ათანასე ალექსანდრიელი გადასახლებული იქნა.

ამის შემდეგ სასახლის კარზეც და მთელს იმპერიაშიც განუწყვეტელი ბრძოლა გრძელდებოდა არიოზელებსა და ნიკეის კრების მიმდევართა შორის.

5. კონსტანტინეს აღსასრული

კონსტანტინეს მისი ხელმწიფობის უკანასკნელ წლებში ავადმყოფობა შეეჩვია. იგი ხშირად ისვენებდა მინერალურ წყლებზე ბითინიის ქალაქ დრეპანუმში, რომელიც გაადიდა, გაამშვენიერა და დედის საპატივცემულოდ ელენოპოლისად მონათლა.

337 წელს, პასქის დღესასწაულზე, კონსტანტინე ლოგინად ჩავარდა. ავადმყოფი იმპერატორი ნიკომედიის გარეუბანში დაბინავდა. აქვე გადაწყვიტა საბოლოოდ მონათლულიყო ქრისტიანად. ნათლიღების ცერემონიალის მოწყობა კონსტანტინეს სურდა ჩაეტარებინა „ქრისტეს მსგავსად", მდინარე იორდანეში. მაგრამ ავადმყოფობამ უსწრო და იძულებული გახდა სასიკვდილო სარეცელზე მიეღო ქრისტიანობა. ნათლას ხელმძღვანელობდა არიოზის მომხრე ეპისკოპოსი ევსევი. მრავალმნიშვნელოვანი იყო უკვე „ნამდვილ ქრისტიანად" ქცეული იმპერატორის სიტყვები ნათლიღების დასასრულს: „ახლა გაჰქრა ყოველგვარი ორაზროვნება". ამ სიტყვებში მარტო მისი რელიგიური ყოყმანი როდი იგულისხმებოდა.

---

* კრებას ესწრებოდა 318 ეპისკოპოსი, მათ შორის 111 ნომრით, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

შან ამ ფრაზით შეაჯამა მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც მტკიცედ შენიღბულ ორმაგ თამაშს წარმოადგენდა.

იგი მოკვდა იმავე 337 წელს 65 წლის ასაკში. ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა დედამისი, 80 წლის ქრისტიანი ავგუსტა ელენე, თავგამოდებული მფარველი ქრისტეს მოძღვრებისა და აღმშენებელი ეკლესიათა მრავალთა.

კონსტანტინე დიდის ზეიმით დაკრძალეს მისგანვე დაარსებულ მსოფლიო ქალაქში, მისგანვე აშენებულ წმიდა აპოსტოლთა ტაძარში და ზედ ბრწყინვალე ძეგლი დაადგეს. იგი ჯერ ნაწილსა და შემდეგ მთელს იმპერიას განაგებდა 31 წლის მანძილზე. მისი ხსოვნა ერთიანი ბჭობისა და პატივის საგნად დარჩა როგორც წარმართთა, ასევე ქრისტიანთა შორის. წარმართნი მას ღვთის სწორ პატივს ასხამდნენ, ხოლო ქრისტიანები განადიდებდნენ ვითარცა პირველი ქრისტიანული სახელმწიფოს დამაარსებელს, წმინდანთა შორის იხსენიებდნენ და „დიდის“ ეპითეტით ამკობდნენ.

კონსტანტინეს მემკვიდრეები

1. „ტრიარქია“

კონსტანტინე დიდს, მისგანვე მოკლული კრისპუსის გარდა, სამი ვაჟი დარჩა: კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს ი და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი. აქედან პირველმა მამისაგან სამმართველოდ მიიღო ბრიტანეთი, გალია, ესპანეთი და მავრიტანია; მეორემ — აზია და ეგვიპტე, ხოლო უმცროსმა — იტალია, სიცილია და პროვინცია აფრიკა.

ამათ გარდა, კონსტანტინე დიდის ანდერძით მემკვიდრეობა უნდა მიეღო მის ორ ძმისწულს: დ ა ლ მ ა ც ი უ ს ს — ილირიკი, მაკედონია და საბერძნეთი, და ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი ა ნ ე ს — პონტო, კაპადოკია და სომხეთი.

ყველაზე ენერგიულად მოქმედებდა გარდაცვლილი ხელმწიფის შუათანა შვილი, 20 წლის კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს ი. მამის დაკრძალვისთანავე მისი ბრძანებით ამოწყვიტეს დალმაციუსი, ჰანიბალიანე, კონსტანტინეს ერთგულ მცველთა პრეფექტი აბლავიუსი, ორი ბიძა (კონსტანტინეს ძმები), სხვა ნათესავები და წარჩინებულნი, რომლებიც კი თავისი სიმდიდრითა და გავლენიანობით კონსტანციუსს თვალში ეჩხირებოდნენ. მათი დახოცვის მიზეზად გამოგონილი იქნა შეთქმულება, — ვითომცდა კონსტანტინეს მოწამვლა. მეორე მიზეზად აცხადებდნენ არმიას, რომელსაც თითქოს არ სურდა ვისმეს წილი დაედო კონსტანტინეს სამი ვაჟის მმართველობაში. სიკვდილს გადაურჩნენ მხოლოდ მოკლული ბიძის, იულიუსის ვაჟები: 12 წლის გ ა ლ უ ს ი და 6 წლის ი უ ლ ი ა ნ ე; პირველი იმიტომ, რომ მძიმე ავადმყოფი იყო და დღე-დღეზე ელოდნენ მის სიკვდილს, ხოლო იულიანე მცირეწლოვანებამ იხსნა.

დალმაციუსისა და ჰანიბალიანესათვის განკუთვნილი სამფლობელოები კონსტანციუსმა და კონსტანტმა გაინაწილეს.

კონსტანციუსის ხელმწიფობის დრო (337—361 წწ.) მთლიანად სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდა.

სპარსელთა შემოჭრა ჯერ კიდევ კონსტანტინეს დროს დაემუქრა

იმპერიას. სპარსეთის სამეფო ტახტზე დაჯდა ენერგიული და მამაცი საპორ II, რომელმაც ჯერ არაბეთი დაიმორჩილა, მერე სომხეთს მიადგა. სომხეთის სუსტი მმართველები, ტირიდატი და ხოსრო, იძულებული გახდნენ ხარკი ეძლიათ საპორისათვის.

ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს რომაული და სპარსული არმიები ბრავალსაუკუნოვან საომარ ასპარეზზე, მესოპოტამიის ცხელ მიწაზე. სისხლი უშედეგოდ იქცეოდა. 348 წელს სინგართან გამართულ საშინელ შეტაკებაში რომაელებმა სძლიეს მტერს, მაგრამ ძლეულთა ბანაკის ძარცვაში გართულთ, ღამით, მოწინააღმდეგე მოულოდნელად შემოუბრუნდა და ბრავალი რომაელი გაიყლიტა ხელმოუცარავად ნასროლი სპარსული ისარ-შუბისაგან. კონსტანციუსმა ტყვედ წამოყვანილი სპარსელი უფლისწული სიკვდილით დასაჯა. გაცოფებულმა საპორმა თავზეხელაღებული იერიში მიიტანა ნიზიბისში გამაგრებულ რომაულ გარნიზონზე; მერე მდინარე მიუშვა მასზე. მაგრამ რომაელებმა მაინც შეძლეს გამკლავება. მათდა საბედნიეროდ აღმოსავლეთიდან სპარსეთს შემოუტიეს ოდინდელმა მტრებმა, მასაგეტებმა. საპორიც იძულებული გახდა აღმოსავლეთით დაძრულიყო. რომაელებს კი დასავლეთი ეზიდებოდა. იქიდან კონსტანციუსის მბრძანებლობას საფრთხე ემუქრებოდა. ორივე მხრისთვის გადაუდებელი შეიქნა ზავის დადება. კონსტანციუსი და საპორი დაზავდნენ. ამ უთავყამო ომების შედეგი ისევ „სტატუსკვო“ — ძველი საზღვრების აღდგენა იყო.

მალე ბრძოლა ატყდა ძმებს შორის. უფროსი ძმა კონსტანტინე ნაწყენი იყო, რომ უმცროსებმა მას დახოცილ ბიძაშვილთა მემკვიდრეობაში წილი არ დაუდვეს. იგი კონსტანტისაგან მოითხოვდა პროვინცია აფრიკის გადაცემას, ხოლო როცა ამ მოთხოვნაზე უარი ნიიღო, კონსტანტინე არმიით დაიძრა უმცროსი ძმის წინააღმდეგ. იგი შეიჭრა ჩრდილოეთ იტალიაში და გამოედევნა დუნაისაკენ უკუქცეულ კონსტანტს, მაგრამ გზაზე მოწინააღმდეგისგან მოწყობილ საფარში ჩავარდა და მოკლულ იქნა (340 წ.). მთელი მისი მემკვიდრეობა ხელთ ჩაუვარდა კონსტანტს. ამგვარად, იმპერიის თითქმის ორი მესამედი ხელთ იგდო თვითნება და გარყვნილმა ახალგაზრდამ, რომელმაც უფროსი ძმის მოკვლის შემდეგ კიდევ ათი წელი იხელმწიფა, აღმოსავლეთ იმპერიაში ფეხმოდგმული კონსტანციუსის პარალელურად.

350 წელს გალიაში, ქალაქ ავგუსტოდუნში (ოტენი) მდგარ სამხედრო ბანაკში კონსტანტის მოსაკლავად შეთქმულება მოეწყო თვით იმპერატორის მცველთა უფროსის მაგნუს მაგნენციუსის მეთაურობით. შეთქმულნი გაქცეულ კონსტანტს ესპანეთის ნაპი-

რებთან დაეწივნენ და მოჰკლეს. მაგნენციუსმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და გალია თავის ჯარისკაცებს საძარცვავად მისცა.

2. კონსტანციუსის ერთმმართველობა

კონსტანციუსმა ახალი უზურპატორის წინააღმდეგ გაგზავნა ილირიისა და თრაკიის ჯარების მთავარსარდალი ვეტრანიონე, მდაბიო წარმოშობის, სავსებით გაუნათლებელი (კითხვა სიბერის კარსაც ძლივს ისწავლა), მაგრამ მუდმივ ლაშქრობებში გამობრძმედილი სტრატეგოსი. იგი იმავე დროს იყო კონსტანციუსის სიძე; ცოლად ჰყავდა მისი და, კონსტანცია, ადრე მოკლული ჰანიბალიანეს ცოლადყოფილი.

პატივმოყვარე და მბრძანებლური ხასიათის კონსტანციამ ვეტრანიონე ადვილად დაიყოლია, რომ თვითონ გამოეცხადებინა თავი იმპერატორად.

კონსტანციუსს ორ ფრონტზე ბრძოლა ელოდა. ამჯერად მან შეძლო კიდევაც დიდი სიმტკიცის, ენერგიისა და ხერხიანობის გამოჩენა.

როცა მაგნენციუსმა მას ელჩები გაუგზავნა და შერიგება შესთავაზა, კონსტანციუსმა ორ ელჩს ბორკილები დაადო, ხოლო მესამე რისხვით აღსავსე პასუხით თავის ბატონს უკანვე გაუგზავნა. მერე სასწრაფოდ გაეშურა ვეტრანიონესთან შესახვედრად. შეხვედრა სარდიკისველზე (350 წ.) უომრად დამთავრდა. კონსტანციუსმა ორივე მხრის ლეგიონთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში დაასაბუთა თავისი ხელმწიფობის კანონიერება და ვეტრანიონეს საიმპერატორო პრეტენზიების უკანონობა. ამ უკანასკნელის არმიაც (რომლის მეთაურთა უმრავლესობა უკვე მოსყიდული იყო) კონსტანციუსის მხარეზე გადავიდა. მარტოდ დარჩენილი ვეტრანიონე იმპერატორს მუხლებში ჩაუვარდა და სიცოცხლის შეწყალება ითხოვა. კონსტანციუსმაც დიდსულოვნება გაითამაშა და ცალი ფეხით სამარეში მდგარ მოხუცს სიცოცხლეც აჩუქა და ქ. პრუსში მდიდრული საცხოვრებელიც უწყალობა.

კონსტანციუსს უფრო გაუჭირდა ჭიდილი მაგნენციუსთან. მათ შორის ბრძოლა ორი წელი (351—353) გაგრძელდა. ვეტრანიონეს განადგურებისთანავე პანონიაში გამოჩნდა მაგნენციუსი, გერმანელი, გალი და ესპანელი მეომრებისაგან შემდგარი ლეგიონებით. მან აიღო ძლიერი ციხე-სიმაგრე სისკია და ალყა შემოარტყა ქალაქ სირმიუმს. შეშინებულმა კონსტანციუსმა გაგზავნა ენაწყლიანი ელჩი ფილიპე, რომლის პირითაც იგი მეტოქეს ზავთან ერთად სთავაზობდა დასავლეთ იმპერიის ხელმწიფობას. მაგრამ მაგნენციუსმა, რომელსაც საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა, თავის

მხრივ, კონსტანციუსს პასუხად დაუბრუნა სიცოცხლის შეწყალების აღთქმა, თუკი იგი დაუყოვნებლივ გადადგებოდა იმპერატორის ტახტიდან. მაშასადამე, იმპერიის ტახტ-გვირგვინის ბედი ისევ სისხლისღვრას უნდა გადაეწყვიტა.

მოწინააღმდეგენი გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ციხე-სიმაგრე მ უ რ ს ა ს მახლობლად ფართო ველზე, 351 წლის 28 სექტემბერს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის არმიები მთელი დღის განმავლობაში გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს. ბოლოს, კონსტანციუსის მძიმედ აღჭურვილმა კავალერიამ დაარღვია და დაფლითა გერმანულ ლეგიონთა მჭიდროდ შეკრული რიგები. მაგნენციუსს ვეღარ უშველა ვერც მისმა სარდლურმა გამოცდილებამ და ვერც ჯარისკაცულმა სიმამაცემ. იგი გაანადგურა არმიამ, რომლის მბრძანებელმა იმპერატორმა კონსტანციუსმა, საშინელი ხოცვა-ჟლეტის ჟამს, მთელი დღე ეპისკოპოს ვალენტისთან ერთად ლოცვაში გაატარა მურსას ერთ-ერთ ეკლესიაში.

დამარცხებული მაგნენციუსი ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდა და აკვილეაში გამაგრდა. აქვე მან შეიტყო, რომ რომში ახალი ხელმწიფე გამოჩენილა, ყმაწვილი ნ ე პ ო ც ი ა ნ ე, რომელიც იმპერატორის ტახტზე დაუსვამს დედას, ე ვ ტ რ ო პ ი ა ს (კონსტანციუს ხლორუსისა და თეოდორას ასული). მაგნენციუსმა კონსტანციუსთან მარცხის ჯავრი ნეპოციანეზე და მისიანებზე იყარა. იგი რომში შევიდა, ნეპოციანე ჩამოაგდო, მოჰკლა, ასევე სიცოცხლეს გამოასალმა დედამისი ევტროპია და ყველა მათი ახლობელ-ნათესავნი, თანამგრძნობნი და თანამდგომნი. ამასობაში კონსტანციუსიც გადმოვიდა იტალიაში. მაგნენციუსი გალიაში გადავიდა, ხოლო როცა აღმოსავლეთის ჯარები აქაც გამოჩნდნენ და მაგნენციუსმა კონსტანციუსისაგან შერიგებაზეც კატეგორიული უარი მიიღო, დასავლეთის მბრძანებელს ისღა დარჩენოდა, სიცოცხლე თავისივე ხელით მოესპო (353 წ. 10 აგვისტო). საკუთარ მახვილზე წამოეგო. აგრეთვე, მისი ძმა და თანამმართველი დ ე ც ე ნ ც ი უ ს ი.

კონსტანციუსი საშინელი ტერორით მისდგა დასავლეთ იმპერიას. წამებით ხოცავდნენ ოდნავ ეჭვმიტანილებს, ან უბრალოდ, ცილისწამებით ხელდადებულთ; ახდენდნენ დახოცილთა ქონების კონფისკაციას, რასაც, როგორც წესი, თან სდევდა მრავალი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვაც.

ტერორი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილშიც მძვინვარებდა.

მაგნენციუსთან ომის დროს, 351 წელს, კონსტანციუსმა თავის მოადგილე-კეისრად გამოაცხადა ახალგაზრდა, ახოვანი და პირმშვენიერი ბიძაშვილი გ ა ლ უ ს ი, რომელიც ბავშვობის დროს, როგორც

ითქვა, ავადმყოფობამ ისხნა სიკვდილისაგან. კონსტანციუსმა გალუსს ცოლად შერთო თავისი და. უკვე ორჯერ განათხოვი, ცნობილი კონსტანცია, და ორივეს სარეზიდენციოდ გამოუცხადა სირიის ცენტრალური ქალაქი ანტიოქია.

ასეთ მოულოდნელ აღზევებამდე გალუსი, თავის უმცროს ძმა იულიანესთან ერთად, ძლიერი დაცვის ქვეშ, კაპადოკიის მეფეთა ძველი სასახლის ციხეში იყო ჩაგდებული.

მუდმივ პატიმრობასა და სიკვდილის ლოდინში, გალუსი სამუდამოდ ეჭვიანი, უნდო და უხასიათო კაცი გახდა. მისი კეისრობა აღსავსე იყო სისასტიკით, შურისმგებლობით, მკვლელობებით, თავაშვებული მძარცველობითა და ფუქსავატობით. კონსტანციუსს აუარებელი საჩივარი მოსდიოდა გალუსის უსამართლო მმართველობის თაობაზე.

როცა კონსტანციუსი მაგნენციუსთან ანგარიშსწორებას მორჩა, მან სასახლის უფროსის, საჭურის ევსევის რჩევით, ანტიოქიაში ორი მოხელე გაგზავნა ადგილზე ნამდვილი მდგომარეობის შესასწავლად და იმპერატორისადმი მოსახსენებლად. გალუსისა და მისი ცოლის, კონსტანციას აგენტთა წაქეზებით, ანტიოქიის მცხოვრებლებმა იმპერატორის წარგზავნილნი სულ ნაკუწებად აქციეს და მდინარე ორონტში გადაყარეს. კონსტანციამ ბუნებრივი სიკვდილით დაასწრო ძმის შურისძიებას, ხოლო გალუსი ანტიოქიიდან ისტრიის ქალაქ პოლაში გადაიყვანეს და ციხეში ჩააგდეს. მალე აქ გამოცხადდა საჭურისი ევსევი, რომელმაც ტუსაღი ჯერ დაჰკითხა, ხოლო შემდეგ ბრძანა, მისთვის ხელები ზურგზე გაეკრათ და თავი მოეკვეთათ.

კონსტანციუსს ურჩევდნენ გალუსის ძმის, იულიანეს მოკვლასაც. კარისკაცები იმპერატორს არწმუნებდნენ, დრო მოვა და ძმა ძმის ჩისხლის აღებას მოინდომებსო. კონსტანციუსმა იულიანე ნიკომედიიდან მედიოლანში (მილანო) გადაასახლა. აქ იულიანე გარშემორტყმული იყო საჭურისებითა და ჯაშუშებით, რომელთაც ევალებოდათ ხელთ ეგდოთ რაიმე საბაბი მისი სიკვდილით დასჯისათვის. მაგრამ შერისხული ახალგაზრდა კაცი გასაოცარი დაკვირვებულობითა და შენიღბულობით მოქმედებდა. საკმარისია ითქვას, რომ სულით და გულით წარმართი და ქრისტიანობის უაღრესი მოძულე, ყველას თავს აჩვენებდა ვითარცა უწმინდესი და უერთგულესი მიმდევარი იესო ქრისტესი. იულიანეს ერთგულებაში იმპერატორი საბოლოოდ დაარწმუნა მისმა ცოლმა, დედოფალმა ევსევიამ, რომელსაც, თავის მხრივ, ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა იულიანეს „ქრისტიანულ სიწმინდეში". ამიტომ კონსტანციუსმა იულიანეს

ნება დართო ათენში დასახლებულიყო და სწავლა-განათლების მიღება დაესრულებინა. აქ, სახელოვანი აკადემიის ხეივნებში, ფილოსოფოსებთა და რიტორებით გარშემორტყმული იულიანე სწავლობდა ანტიკური მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებს. აქ მან საბოლოოდ შეიყვარა და შეითვისა პლატონის ფილოსოფია, რომელსაც იგი გაეცნო ჯერ კიდევ ნიკომედიაში, განთქმული ნეოპლატონიკოსის ლიბანიოსის ლექციათა მანუსკრიპტების საფუძველზე. აქედანვე იულიანე შეიქნა ფანატიკური თაყვანისმცემელი ჰელიოსისა, დიადი ღმერთისა, რომელსაც უმადლოდა იგი ათასგვარი ხიფათისაგან თავდახსნას.

იულიანეს რეაბილიტაცია დაემთხვა გერმანელების ძლიერი შემოტევების დაწყებას რეინზე. ერთხანს გერმანელების იერიშებს წარმატებით იგერიებდა სილვანუსი, რომაელთა სამსახურში მყოფი ფრანკი სარდალი; მაგრამ მალე სილვანუსმა თვითონ წამოიწყო აჯანყება, რადგან ცილი დასწამეს იმპერატორისადმი ღალატში. 355 წელს კონსტანციუსის აგენტებმა მოახერხეს სილვანუსის მოკვლა. გერმანელების შემოტევები კიდევ უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა. რეინიდან დუნაიზედაც გადმოინაცვლა ჩრდილოელთა თავზეხელაღებულმა იერიშებმა.

იმავე ხანებში აღმოსავლეთიდან შემოტევები განაახლა ენერგიულმა საპორმა. იმპერატორი იძულებული შეიქნა აზიაში მდგარი ჯარები მთლიანად სპარსთა შესაკავებლად გაეგზავნა.

ამით ისარგებლეს მთიელმა ისავრიელებმა და ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ ტერიტორიებს კაპადოკიიდან სელევკიამდე.

კონსტანციუსი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მარტოდმარტო ვერ გასწვდებოდა ყველა საომარი თეატრის ხელმძღვანელობას. ამიტომ მან ერთჯერ კიდევ ყური ათხოვა ევსევიას რჩევას და თავის მოადგილე-კეისრად და გალია-გერმანიის საქმეთა გამგებლად დანიშნა იულიანე.

25 წლის იულიანე დიდის წუხილითა და სინანულით დაშორდა თავის სათაყვანო სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი ათენიდან გაემგზავრთა მედიოლანში, სადაც მას იხმობდა იმპერატორი. აქ კონსტანციუსმა ოფიციალური ცერემონიალით გამოაცხადა იულიანეს კეისრობა და მასთან დამოყვრება: ცოლად შერთო თავისი და ელენე.

აქ, მისდა უნებურად, გამოიცვალა იულიანემ ფილოსოფოსის ლაბადა კეისრის ძოწეული წამოსასხამითა და საომარი აღჭურვილობით. ამიერიდან მის გარშემო ფილანთროპ მეცნიერ-მეგობართა ნაცვლად ირეოდნენ კაცთმოძულე, მოშურნე და მოსისხარი კარისკაცები, ჯაშუშები და მსტოვრები, რომლებიც უთვალთვალებდნენ

მის ყოველ ნაბიჯს, ყურს უგდებდნენ მის ყოველ სიტყვას, ჩხრეკდნენ მის ყოველ ინტიმურ ეპისტოლესაც კი.

იულიანე მედიოლანიდან გალიაში გაეშურა, ხოლო კონსტანციუსი კიდევ წელიწადნახევარი დარჩა იტალიაში. იგი მივიდა რომში, რომელსაც მანამდე მხოლოდ სხვების გადმოცემით იცნობდა. აქ მან თავისი წვევა აღნიშნა იმ ობელისკის აღმართვით, რომელიც დღესაც დგას ლატერანის მოედანზე.

რომიდან კონსტანციუსი გაეშურა დუნაისაკენ, ააგო მასზე მცურავი ხიდი, გადავიდა მდინარის ჩრდილოეთით და დაამარცხა მიერიშე კვადები, რომელთაც ზავის საფასოდ იკისრეს მომავალ თავდასხმათა შეწყვეტა, ადრეულ შეტაკებებში ტყვედწაყვანილ რომაელ ქვეშევრდომთა დაბრუნება და, თავის მხრივ, მძევლების გაცემა. ასევე რომის იმპერატორის წინაშე ქედი მოიხარეს სარმატებმაც, რომელთა მთავრებმა მძევლებიც გაიღეს და მახვილზეც დაიფიცეს, რომ სამუდამოდ რომაელთა ერთგულნი იქნებოდნენ. ამ გამარჯვებისათვის კონსტანციუსს „სარმატიელის" (Sarmaticus) ტიტულიც მიართვეს.

ქ. სირმიუმში ყოფნის დროს კონსტანციუსთან გამოცხადდა სპარსეთის შაჰის ელჩი. მეფეთა მეფე საპორი, ძმა მზისა და მთვარისა, იმპერატორისაგან მოითხოვდა სომხეთისა და მესოპოტამიის დათმობას. კონსტანციუსსაც მეტი გზა არ ჰქონდა — პასუხი მახვილით უნდა გაეცა.

ასე განახლდა ომი (359—360 წწ.) რომსა და სპარსეთს შორის. შეტევა სპარსელებმა დაიწყეს. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მათ შემოტევას ძლიერად დაუხვდა ციხე-სიმაგრე ა მ ი დ ა. იგი სამი თვე იგერიებდა სპარსელთა იერიშებს. ბოლოს ამიდა დაეცა, მაგრამ 30.000 სპარსელი მის კედლებთან მკვდარი ჩაწვა. ასეთი ზარალის შემდეგ საპორსაც გაუნელდა საომარი განწყობილება. კონსტანციუსიც ახალი არმიით გამოჩნდა აღმოსავლეთის საომარ ველზე, მაგრამ სარევანშო ბრძოლას შეუშინდა და ანტიოქიაში უკუიქცა (360 წ.).

დასავლეთში კი დიდის ენერგიით მოქმედებდა იულიანე. მან ოთხ წელიწადში (356—360) მთლიანად აღადგინა რომაული მბრძანებლობა ჩრდილო საზღვრების მთლიან ხაზზე. თვითონ არმიაში იულიანემ მალე მოიხვეჭა ნიჭიერი სარდლის, მამაცი მეომრისა და დიდსულოვანი მეგობრის სახელი. ჯარისკაცებს მოსწონდათ ახალგაზრდა კეისრის უბრალო ცხოვრება, თავისუფალი მანერები, მეგობრული სიტყვა-პასუხი, მძიმე ლაშქრობაში ჭირთათმენა და სიკვდილთან გულგრილი შეხვედრა.

პირველი ლაშქრობით (356 წ.) მან თითქოს კბილი მოუსინჯა

ძლიერი გერმანული ტომის, ალემანების ბრძოლისუნარიანობას, ხოლო მომდევნო წელს (357 წ.) ქ. ა რ გ ე ნ ტ ო რ ა ტ უ მ ი ს (სტრასბურგი) მახლობლად გენერალური ბრძოლა გაიმართა რომაელებსა და ალემანებს შორის. რომაულმა ტაქტიკამ და იულიანეს პირადმა ტალანტმა სძლიეს გერმანელთა დიდ ფიზიკურ ძალას და თავზეხელაღებულ სიმამაცეს. 6.000 ალემანი იწვა ბრძოლის ველზე, ძალიან ბევრი გაქცევისას რეინში ჩაიხრჩო. რომაელებმა თავის მცველ რაზმთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს ალემანთა შვიდ მეფეთაგან უმძლავრესი და უმამაცესი კ ნ ო დ ო მ ა რ ი, რომელიც იულიანემ მაშინვე კონსტანციუსს გაუგზავნა, ვითარცა ცოცხალი მოწმე მისი დიდი გაძარჯვებისა. კნოდომარი იმპერატორმა მოჩვენებითი პატივით მიიღო და რომში ე. წ. „უცხოელთა სადგომში" დაასახლა. თავისუფლებისმოყვარე ბარბაროსმა ტყვეობას ვერ გაუძლო, ჯავრით დადნა და გარდაიცვალა.

იულიანემ კიდევ ორჯერ ილაშქრა ალემანთა წინააღმდეგ; ორჯერ გადალახა რეინი და შეიჭრა დეკუმატიის სიღრმეში; ააოხრა ალემანთა სოფლები, მათი მიწებიდან მოსავალი აიღო, მათი საძოვრებიდან საქონელი გაირეკა და ეს მოუსვენარი ტომები ისე დააშინა, რომ მათ რომაელი ტყვეებიც გაათავისუფლეს და რომაულ სამფლობელოებზე თავდასხმებისაგან სამუდამოდ ხელის აღებაზეც ფიცი დასდეს.

მომდევნო 358 წელს იულიანე გამოვიდა ლ უ ტ ე ც ი ა დ ა ნ (პარიზი) და გაემგზავრა ქვემო რეინზე მცხოვრები მამაცი ფრანკების დასალაშქრავად. რომაელთა შეტევა იმდენად სწრაფი და მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ფრანკებმა მხოლოდ ერთი სახელდახელო ბრძოლის გამართვა შეძლეს ტ ო კ ს ა ნ დ რ ი ი ს მახლობლად. ისინი დამარცხდნენ და რომის მორჩილებას შეურიგდნენ. იულიანემ 600 ახალგაზრდა ფრანკი გაუგზავნა კონსტანციუსს, რომელმაც ისინი პირად გვარდიაში ჩარიცხა. იულიანემ წარმატებით დალაშქრა და დაიმორჩილა, აგრეთვე, ბატავ-გერმანელთა ძლიერი ტომები.

წარმატებულ ლაშქრობებთან ერთად იულიანემ ხელი მიჰყო ბარბაროსთაგან დანგრეული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების აღდგენას და განმტკიცებას. ასე, მან მაინციდან რეინის შესართავამდე თორმეტი ციხე-ქალაქი აღადგინა.

იულიანე განსაკუთრებით ბევრს ზრუნავდა ლუტეციაზე—მდინარე სენას შიგნითა კუნძულზე (ახლ. კუნძული სიტე) გაშენებულ ციხე-სიმაგრეზე, რომელსაც, აქ მცხოვრები კელტური ტომის პ ა რ ი ზ ი ე ბ ი ს სახელის მიხედვით, „პარიზიების ქალაქსაც" უწოდებდნენ. იულიანემ ლუტეციის მოპირდაპირე მხარეზე, სენას მარცხე-

ნა ნაპირზე ააგო თავისი სასახლე, რომლის გარშემო მალე დაიწყო საზოგადოებრივ ნაგებობათა და კერძო საცხოვრებელთა განაშენიანება.

იულიანეს გამარჯვებებმა და სახელმოხვეჭილობამ შურიანი კონსტანციუსი ძალზე შეაშფოთა და შეაფიქრიანა. სასახლის კარის მლიქვნელნი და მაამებელნი კანიდან ძვრებოდნენ, რათა დაემცირებინათ და საცინლად აეგდოთ წვეროსანი ფილოსოფოსის წარმატებანი. მაგრამ ხალხისა და ჯარის მოტყუება შეუძლებელი იყო. კონსტანციუსმა გადაწყვიტა დაესუსტებინა ერთბაშად აღზევებული მეტოქის ძალები და ყოველი საშუალებით დაექვეითებინა მისი პრესტიჟი.

359 წელს, ლუტეციაში ყოფნის დროს, იულიანემ მიიღო კონსტანციუსის ბრძანება, რომლის ძალით მას ევალებოდა ოთხი რჩეული ლეგიონი დამსმარე ძალებით გაეგზავნა აზიაში სპარსელების წინააღმდეგ საომრად. ასეთმა მოთხოვნამ აღაშფოთა იულიანეს ლეგიონები. მათ ლუტეციაში გამართული ნადიმის ბოლოს თავისი საყვარელი სარდალი იულიანე ერთბაშად გამოაცხადეს ავგუსტუსად და იმპერატორად.

იულიანე უარზე დადგა, მაგრამ ჯარისკაცებმა არ დაიშალეს, სარდალი დიადემით მოკაზმეს, ფარზე შესვეს, მაღლა ასწიეს და არმიების წინ დიდის ზარ-ზეიმით ჩამოატარეს (306 წ.).

იულიანე უკიდურესობიდან მაინც თავს იკავებდა. მან სასწრაფოდ მისწერა კონსტანციუსს წერილი, რომლითაც იგი მოკრძალებით ითხოვდა მხოლოდ დასავლეთ იმპერიის ხელმწიფობას. კონსტანციუსმა აღშფოთებით უარჰყო მეტოქის მოთხოვნა. იულიანეს ისღა დარჩენოდა, იარაღის ძალით გადაეჭრა რომის ხელმწიფობის საკითხი. მან საბრძოლო ცეცხლით ანთებული ლეგიონები აღმოსავლეთისაკენ დასძრა.

იმპერია უმძიმესი კატასტროფის პირთან დადგა. აღმოსავლეთიდან სპარსელები უტევდნენ, დასავლეთიდან გერმანელები იულიანეს წასვლას უცდიდნენ და რომის სამფლობელოებზე იერიშების გასაახლებლად ტანზე საჭურველს ირგებდნენ. ასეთ დროს შინაური ომი მსოფლიო სახელმწიფოს სრულ დაღუპვას მოასწავებდა.

იულიანემ თავისი რჩეული ჯარით გადმოიარა დუნაი, სირმიუმი, ილირიის მთები და ის იყო კონსტანტინოპოლსაც უნდა მიახლოვებოდა, როცა შეიტყო კონსტანციუსის ლოგინად ჩავარდნის ამბავი. იგი მცირე აზიის პატარა ქალაქში, მოპსუკრენში (თარსუსის მახლობლად) იწვა ციებ-ცხელებით შეპყრობილი. მძიმე სულიერმა შერყევებმა გააუარესა ავადმყოფის მდგომარეობა.

361 წლის 3 ნოემბერს კონსტანციუსი გარდაიცვალა; იცოცხლა 45 წელიწადი, იმეფა 24 წელიწადი. იგი იყო თავის დროისათვის განათლებული ადამიანი, მაგრამ ამას გარდა სახელოვანი მამისაგან მხოლოდ უარყოფითი თვისებები ჰქონდა მიღებული: პატივმოყვარეობა, მეშურნეობა, სისასტიკე და კაცთმოძულეობა. მისი ცხედარი კონსტანტინოპოლში მაშინ მიასვენეს, როცა სატახტო ქალაქის ცენტრალური ქუჩები ტრიუმფით უკვე გავლილი ჰქონდა ახალ ავგუსტუსსა და იმპერატორს. იულიანე უბრალო ტანსაცმლით, ხელმწიფური ინსიგნიების გარეშე, ფეხით ეახლა სამგლოვიარო პროცესიას, წმიდა სასახლიდან წმიდა აპოსტოლთა ეკლესიამდე, სადაც, დიდი მამის საოჯახო საძვალეში დაკრძალეს კონსტანციუსის ცხედარი.

8. იულიანე განდგომილი

ფლავიუს კლავდიუს იულიანეს ხანმოკლე მმართველობა (361—363 წწ.) ერთადერთი და უკანასკნელი ძლიერი რეაქცია იყო გვიანდელი იმპერიისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული იდეოლოგიისა და აღმოსავლურ-დესპოტური პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ.

იულიანე განდგომილი

როგორც ითქვა, იულიანემ, მის ძმასთან ერთად, მძიმე ბავშვობა და სიყმაწვილე განვლო. მცირე აზიის ციხეებში ჩაკეტილთ თავზე აღგნენ კონსტანციუსის ყურმოჭრილი საჭურისები და აეშაგები. მასწავლებლებად ჰყავდნენ არიოზელი ქრისტიანი მღვდლები (თვითონ კონსტანციუსი არიოზის მიმდევარი იყო), რომელთა სათავეში იდგა ნიკომედიის ეპისკოპოსი ევსევი, თვითონ გაწაფული ჯაშუში და ბოროტი ინტრიგანი. ბუნებრივია, ბავშვობიდანვე

საძულველ მტერთაგან მიძალებული ქრისტიანული მოძღვრება — თვით შინაგახად გათიშული „არიოზელებად“ და „ორთოდოქსებად“ — ახალგაზრდა, ნიჭიერი იულიანესათვის თავიდანვე ყალბ, მიუღებელ მოძღვრებად უნდა დარჩენილიყო. ქრისტიანები იულიანეს ბავშვურ მეხსიერებას შეეთვისნენ, ვითარცა თაღლითნი, შარლატანნი, კაცთმოძულენი და მკვლელნი. ქრისტიანებმა მოკლეს მამამისი, ქრისტიანები დევნიდნენ მას და მის ძმას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ქრისტიანები უკრძალავდნენ მას სინათლის დანახვას, ქრისტიანები უბნელებდნენ ჭეშმარიტი ცოდნის მაძიებელ გონებას.

ქრისტიანობისადმი იულიანეს მტრულ განწყობილებას თავიდანვე ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მის გარშემო, ქრისტიან დოგმატიკოსთა გარდა, ფარული თუ აშკარა „წარმართი“ სწავლულებიც იყვნენ. მაგალითად, საჭურისთაგან იყო ვინმე მ ა რ დ ო ნ ი უ ს ი, რომელიც ყმაწვილს ფარულად ასწავლიდა დიდ ელინურ მეცნიერებას, ფილოსოფიას, ხელოვნებას, პოეზიას. ეს უტკბესი აკრძალული ხილი შეიქნა იულიანეს მთელი შემდგომი ცხოვრების უბრწყინვალესი ნიშანსვეტი.

როცა გალუსი კეისრად დაინიშნა, იულიანესაც კონსტანტინოპოლში ცხოვრების ნება დართეს. აქაც მას მასწავლებლად ქრისტიანი დაუნიშნეს — რიტორი ე კ ე ბ ო ლ ი ო ს ი, რომელიც მხოლოდ წარმართ ღმერთთა ლანძღვა-გინებით უჭედავდა ყურებს.

მერე, კონსტანციუსმა იულიანე სატახტოდან მოიცილა და ნიკომედიაში გაგზავნა, „ცოდნის შევსების“ საბაბით. იულიანესაც ეს უნდოდა: მაშინ ნიკომედიაში ლექციებს კითხულობდა სახელგანთქმული ნეოპლატონიკოსი ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი. თუმცა იულიანეს იმპერატორისათვის ფიცი ჰქონდა მიცემული, რომ იმ „საძაგელი ფილოსოფოსის“ ლექციებს არ მოისმენდა, მაგრამ საგანგებოდ დაქირავებული კაცი ლიბანიოსის ლექციებს იწერდა და იულიანეს აწოდებდა. შემდეგში თვითონ ლიბანიოსი ამბობდა, რომ მისი მეცნიერება იულიანემ წერლობით უკეთ შეისწავლა, ვიდრე სხვებმა ზეპირი მოსმენით.

კონსტანციუსის ყურამდე მაინც აღწევდა ურჩი ბიძაშვილის „მწვალებლობის“ ამბავი. ამიტომ, ყოველგვარ ეჭვთა გასაფანტავად, იულიანემ კონსპირაცია კიდევ უფრო დახვეწა და გააძლიერა: თმა-წვერი გაიკრიჭა და გაიპარსა (რაკი გრძელ თმებს წარმართნი ატარებდნენ), ბერულ-ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, მარხვას იცავდა, ეკლესიაში ქრისტიანული რიტუალით ლიტანიობდა, ქრისტიანულად გალობდა, ქრისტეს ტრაგიკულ აღსასრულზე ცრემლებს

ღვრიდა, ქრისტიანულ დოგმებს ხმამაღლა ქადაგებდა და ევანგელიეს საჯაროდ კითხულობდა.

ერთი სიტყვით, კონსტანციუსმა მისთვის საძულველი და საშიში კაცის „გამოჭერა“ ვერასგზით ვერ შეძლო. ბოლოს, იძულებული გახდა კეისრად და დასავლეთის ლეგიონების მთავარსარდლადაც დაენიშნა. ვერც ასეთ მოულოდნელი აღზევების დროს დაიჭირეს იმპერატორის ჯაშუშებმა აღტაცება იულიანეს სახეზე, პირიქით, მან სასოწარკვეთით შესძახა: „რა ჩემი საქმეა ეს? ეს იგივეა, ძროხას უნაგირი დაადგან!“

მაგრამ, როგორც ვნახეთ, იულიანემ სამხედრო საქმეებშიც დიდი სტრატეგიული ნიჭიერება და ჯარისკაცული სიმამაცე გამოიჩინა.

აი, ეს კაცი ახლა რომის იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებლის ტახტზე იჯდა. იგი, — მთელი სიცოცხლის მანძილზე ყველასგან დევნილი, შევიწროებული და მუდამ სიკვდილის პირას მყოფი, ახლა მბრძანებელი ხელმწიფე, — დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს მსოფლიო იმპერიის ოფიციალურად აღიარებულ სახელმწიფო ღმერთს — იესო ქრისტეს. ქრისტიანობას ჯერ ასეთი ძლიერი მტერი არ გამოსჩენია. ამ მხრივ ვერც ნერონი, ვერც დომიციანე და ვერც დიოკლეტიანე ვერ შეედრებოდნენ იულიანეს, ამ ნამდვილ „ანტიქრისტეს“, რომელიც ქრისტიანებმა მონათლეს მძულვარებით აღსავსე ეპითეტით: „განდგომილი“ („აპოსტატა“).

იულიანე განდგომილი ქრისტიანობას, რომელსაც იგი „მკვდრებისა და კუბოების რელიგიას“ უწოდებდა, დაუპირისპირდა არა ცეცხლითა და მახვილის კვეთებით, არამედ ყველაზე მძლავრი იარაღით — ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ბრძოლით; ხოლო მთავარი იდეოლოგიური მებრძოლი იყო თვითონ იმპერატორი. ძველი ბერნული და რომაული მეცნიერებისა და კულტურის ღრმა და ფართო ცოდნა იულიანეს საშუალებას აძლევდა ადვილად ემხილებინა ქრისტიანობის ყალბი საფუძვლები. მაგალითად, მას ადვილად შეეძლო ეჩვენებინა აშკარა უპირატესობა ანტიკური გმირული სულისა, ნამსუვალევ ქრისტეს მონურ მორჩილებასთან შედარებით.

იულიანემ დაიწყო ფილოსოფიურ-რელიგიურ თხზულებათა წერა „გალილეველთა ბინძური სექტის“ წინააღმდეგ. ამათგან მთავარი იყო ნაწარმოები სახელწოდებით—„ქრისტიანთა წინააღმდეგ“, რომელშიც ავტორი თვით ქრისტიანიზმის ისტორიისა და ქრისტიანობამდელი ცივილიზაციის ზედმიწევნითი ცოდნის საფუძველზე გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში ატარებს ქრისტიანულ დოგმატიკას და კანონიკას, ასაბუთებს მის არაორიგინალობასა და სხვა რელიგიათაგან ნასესხობას, ააშკარავებს „სახარების“ ვარიაციათა

წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებულობებს, დასცინის და აბუჩად იგდებს მთელ ბიბლიურ მითოლოგიას.

მაგრამ იულიანე მარტო იდეოლოგიური ბრძოლითაც არ დაკმაყოფილდა. მან ქრისტიანულ სამღვდელოებას საგანგებო დადგენილებებით წაართვა ყველა მანამდელი პრივილეგიები და შეღავათები. 362 წლის ედიქტით ქრისტიანი მასწავლებლები და მქადაგებლები გაძევებული იქნენ სკოლებიდან. ამ დადგენილებას იმპერატორი იმით ასაბუთებდა, რომ ქრისტიან სწავლულთ არ შეუძლიათ სწორად ასწავლონ მათთვის საძულველი წარმართული მეცნიერება და ხელოვნებაო. ამის თაობაზე ედიქტში პირდაპირ ეწერა: „სიბრიყვეა ხალხს ასწავლო ის, რასაც სიკეთედ არ სთვლი".

იულიანე ქრისტიანებს „ურწმუნო მეთევზეთა მოწაფეებსა" და „გალილეველებს" უწოდებდა და ყოველ შესაძლო შემთხვევაში მათ დასაცინად თავის მახვილგონიერებასა და მახვილსიტყვაობას არ იშურებდა. იგი გაძევებულ ქრისტიან მასწავლებლებზე ასე ამბობდა: „იმ ადამიანებმა, რომელთაც ჰომეროსი და თუკიდიდე სძულთ, დაე, თავის გალილეურ ეკლესიებში მათე და ლუკა ასწავლონ".

როცა რომელიმე ქრისტიანი მისი ქონების ხელყოფის გამო საჩივრით მიდიოდა, იმპერატორი მაშინვე სიცილს ატეხდა და მომჩივანს მათეს სახარებიდან ქრისტეს სიტყვებს მოაგონებდა: „და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი" (V, 40).

იულიანემ გაძევებულ ქრისტიან მასწავლებელთა ადგილებზე ყველგან ანტიქრისტიანული, ანუ არაქრისტიანული კულტურის მიმდევარნი და მქადაგებელნი დააყენა. ამნისტია გამოეცხადა ყველას, ვინც მის გახელმწიფებამდე დევნილი იყო რელიგიურ ერეტიკოსობასთან დაკავშირებით. კონსტანციუსის დროს გაბატონებული არიოზობის წინააღმდეგ შემწყნარებლობა გამოუცხადა ორთოდოქსალობას. ამით მან კიდევ უფრო გააძლიერა შინაგანი ბრძოლა ქრისტიანულ ეკლესიაში. იმპერატორისაგან შემწყნარებლობა მიიღეს, აგრეთვე ყველა დანარჩენმა რელიგიებმა, რომლებიც მანამდე დევნას განიცდიდნენ ქრისტიანობისაგან. იუდეველებმაც კი მიიღეს უფლება იერუსალიმში დაბრუნებისა და იეღოვას ახალი ტაძრის აგებისა.

„წარმართ მწვალებელთა" ამნისტია გულისხმობდა, აგრეთვე, კონფისკებული ქონების უკან დაბრუნებას. ეს ღონისძიება ხელს უწყობდა იულიანესაგან აღდგენილ წარმართულ ტაძართა და ტაძრე-

ულთა გამდიდრებას და ქრისტიანობის დევნის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ასეთი რადიკალური ღონისძიებანი ხშირ შემთხვევაში რადიკალური ხასიათის შედეგებს იძლეოდა. ხდებოდა მღელვარებანი და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებანი ქრისტიანთა და წარმართთა შორის. როცა იულიანეს ბრძანებით დაფნაში, ანტიოქიის დაფნებითა და კვიპაროსებით დამშვენებულ გარეუბანში, ქრისტიანი წამებულის საფლავი მოშალეს და ზედ აპოლონის სახელობის ტაძარი დადგეს, ქრისტიანმა ფანატიკოსებმა ეს ტაძარი დაწვეს და იავარჰყვეს. ამიტომ იმპერატორის მოხელეებს ადგილებზე ხშირად უხდებოდათ „მცირედად წარკვეთა მახვილისა“.

იულიანემ კარგად იცოდა, რომ ქრისტიანობის ძალა უპირველეს ყოვლისა მის ორგანიზებულობაში მდგომარეობდა, ამიტომ მან სცადა თავისი ახალი, ან უფრო სწორად, აღდგენილი წარმართული რელიგიისათვის სწორედ ქრისტიანულის მსგავსი მტკიცედ ორგანიზებული სახე მიეცა. იულიანეს რელიგია იყო ნეოპლატონიკური ფილოსოფია, რომელსაც იგი „ახალ, განწმენდილ ელინიზმს“ უწოდებდა. აქ, ძველ ბერძნულ-რომაულ რელიგიათაგან განსხვავებით, იგულისხმებოდა წარმართულ-ქურუმული (ვითარცა ქრისტიანულ-სამღვდელოებრივი) იერარქიის შექმნა. რელიგიის სათავეში იდგნენ უმაღლესი ქურუმნი (ვითარცა ქრისტიანული ეკლესიის სათავეში ეპისკოპოსნი), რომელნიც წინაურდებოდნენ არა გვაროვნული წარმოშობის, არამედ ქრისტიანობასთან შეურიგებელი ბრძოლისა და ფილოსოფიური განსაწვლულობის მიხედვით.

უპირველესი და უმაღლესი ქურუმთმთავარი იყო თვითონ იმპერატორი. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა მთელი ბრწყინვალებით აღდგენილ წარმართულ კულტს. ძველ-ელინური პანთეონიდან მუდმივ სათაყვანო ღვთაებად იულიანემ გამოაცხადა მზის ღმერთი ჰელიოსი. ლიბანიოსი, იულიანეს მასწავლებელი, მეგობარი და მეხოტბე, გადმოგვცემს, რომ იმპერატორი ყოველდღე თაყვანისცემითა და ზორვით ხვდებოდა მზის აისსაც და დაისსაც: იგი თვითონ კლავდა ჰელიოსის სამსხვერპლო ცხოველს, მკითხაობდა მის შიგნეულზე, დგამდა საკურთხეველს, აჩაღებდა თიმიამს და სამსხვერპლო კოცონს. იმპერატორმა თავის სასახლეშივე აღმართა სამლოცველო ჰელიოსისა. თვითონ მუდამ გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ბალღობიდანვე თავდავიწყებით შეიყვარა მან ბრწყინვალება და შუქმფინარობა მზე-ღმერთისა; დღისით მზე და ღამით ვარსკვლავნი მის სულს აღავსებენ უდიდესი აღტაცებით; ჰელიოსი, ვითარცა ღმერთი ყოვლის მხილველი და თვითონ ყოვლისგან ხილული, არის უზენაესი ღვთაებრივი სიბრძნის ჭეშმარიტი და

სრულყოფილი გარდმოსხივება; მასში, მზე-ღმერთში, უსრულყოფილესი რეალურობით ერთიანდებიან ყოველი გრძნობადი და ზეგრძნობადი, ყოველი ზეციერი და მიწიერი.

ქურუმი-იმპერატორი, უკანასკნელი ქომაგი წარმართობისა და მოსისხლე ქრისტიანობისა, ყველას მოუწოდებდა, მიებაძათ მისთვის, ჭეშმარიტი რელიგიის მქადაგებლისათვის. საგანგებო ედიქტებით იმპერიის ყოველ კუთხეში ქურუმებს ევალებოდათ ხალხი გამოეყვანათ ქრისტიანიზმის ბურუსიდან და დაებრუნებინათ ადრინდელი, „ჭეშმარიტად მანათობელი“ რელიგიისაკენ. წარმართობის პრესტიჟის ასამაღლებლად იულიანე განდგომილი იძულებული იყო, ორგანიზებული იერარქიის გარდა, ქრისტიანობისაგან ესესხა ბევრი სხვა ელემენტიც: იგი, წარმართული რელიგიის მიმდევარი, მოუწოდებდა, პითაგორიზმის, პლატონიზმისა და სტოიციზმის შესწავლის გვერდით, ყოფილიყვნენ ზნეობრივნი, ქველმოქმედნი, დიდსულოვანნი და კაცთმოყვარენი.

იულიანე მარტო რელიგიის სფეროში როდი ცდილობდა ძველი სამყაროს აღორძინებას. მან გადაწყვიტა, სასახლის კარზე მდიდრული აღმოსავლურ-დესპოტური ყოფა ძველ-რომაული უბრალოებითა და მკაცრი სიმარტივით შეეცვალა. მისი ბრძანებით გაუქმდა დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს დროიდან შექმნილი მრავალრიცხოვანი სასახლეული შტატი; სასახლიდან გაძევებული იქნენ საჭურისები, კარისმოხელენი, ჯაშუშები, მსტოვრები და მსახურეული ბრბო. გაუქმდა მდიდრული სანადიმო სუფრები და საბოძვარნი. თვითონ იმპერატორი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი ცოლი ელენე მშობიარობას გადაჰყვა, სავსებით უბრალო ასკეტის ცხოვრებით ცხოვრობდა. ფილოსოფოსის ღარიბული წამოსასხამით და მოუვლელი წვერ-ულვაშით, ეს წარმართი ბერი, ამქვეყნიურ ხორციელ სიამეთ გაურბოდა და თავის უზადო ფიზიკურ სიჯანსაღეს დღე-ღამეების მანძილზე შეუსვენებელ სახელმწიფოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას ახარჯავდა.

იულიანემ გადაწყვიტა თავისი იმპერატორობა ფართო საგარეო პოლიტიკის გაშლითაც აღენიშნა. რეინისა და დუნაის საზღვრების განმტკიცების შემდეგ, მას სურდა გენერალურ ლაშქრობათა გამართვა აღმოსავლეთის მიმართულებით. აქ უნდა აღდგენილიყო არა მარტო სპარსელთაგან შელახული რომაული იარაღის პრესტიჟი, არამედ თვით სპარსეთის დაპყრობით გაფართოებულიყო რომის სამბრძანებლოთა საზღვრები ინდოეთამდე.

ერთი სიტყვით, იულიანე განდგომილიც ალექსანდრე მაკედონელობაზე ოცნებობდა.

კონსტანციუს ხლორუსის შთამომავალნი

პირველი ცოლი — ელენე; მეორე ცოლი — თეოდორა

I. კონსტანციუს ხლორუსი და ელენე:

↓

კონსტანტინე დიდი (300—337)

პირველი ცოლის — მინერვინასაგან	მეორე ცოლის — ფაუსტასაგან				
↓	1. კონსტანტინე II, (337—340)	2. კონსტანციუსი, (337—361)	3. კონსტანტი, (337—350)	4. კონსტანცია, (ქმარი — ჰანიბალიანე)	5. ელენე (ქმარი იულიანე)
კრისპუსი					

II. კონსტანციუს ხლორუსი და თეოდორა:

1. დალმაციუსი	2. იულიუსი			3. კონსტანცია	4. ანასტასია	5. ევტროპია
დალმაციუსი, ჰანიბალიანე (ცოლი კონსტანცია)	გალუსი (ცოლი კონსტანცია)	იულიანე (361—363) (ცოლი ელენე)		(ქმარი ლიციინიუსი)		(ქმარი?)
				↓		↓
				ლიციინიუს II		ნეპოციანე

362—363 წწ. ზამთარი იულიანემ ანტიოქიაში გაატარა. აქ ემზადებოდა იგი სპარსეთზე გასალაშქრებლად. აქ ის პირადად გაეცნო საყვარელ მასწავლებელს ლიბანიოსს. აქვე ხელმწიფე დიდსულოვნად ითმენდა ავ-ენა ანტიოქელთა დაცინვას მის „ფილოსოფიურ წვერზე“ და აქვე დაწერა მან სატირა „წვერის მოძულე“ („მიზოპოგონ“), სადაც იგი დასცინის საკუთარ სისუსტეებსაც და ანტიოქელთა უზნეობასაც.

363 წლის გაზაფხულზე იულიანემ ლეგიონები დასძრა აღმოსავლეთისაკენ. მან გადალახა ევფრატი და გაემართა კარას მიმართულებით. რომაელებმა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ყველა საომარი შეხვედრა მოიგეს, ყველა ციხე-სიმაგრე დაიპყრეს, საგანგებოდ აშენებული წყალვარდნილები გადალახეს და სპარსეთის სატახტო ქალაქისაკენ — ქტესიფონისაკენ დაიძრნენ. იულიანემ გააწმენდინა ტრაიანეს არხი და ევფრატიდან ტიგროსზე ფლოტით გადაიყვანა ლეგიონები.

ქტესიფონი შიშმა მოიცვა. საპორმა რომაელი იმპერატორის კარავში ელჩი გაგზავნა და დაზავება ითხოვა. იულიანემ, ვითარცა ერთ დროს ალექსანდრემ დარიოსს, ზავზე უარი შეუთვალა მოპირდაპირეს. მას უნდოდა სპარსელთა არმიას გენერალურ ბრძოლაში შეხვედროდა არბელთან გაშლილ გავგამელას ველზე, სადაც დიდმა მაკედონელმა მესამე დიდ შერკინებაში საბოლოოდ გაანადგურა დარიოს კოდომანის არმიები.

მაგრამ რომაული ლეგიონების გაწვრთნილობა და იმპერატორის პირადი სიმამაცე საკმარისი არ აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ბადალი საომარი ოპერაციების გასამართავად. საპორმა დიდძალ არმიებს მოუყარა თავი ტიგროსის პირთან. განსაკუთრებით საშიში გახდა სპარსულ კავალერიასთან ჭიდილი. რომაელებმა უკანდახევა დაიწყეს. ასირიული თაკარა მზის მცხუნვარება, სურსათის ნაკლებობა და სპარსელ ცხენოსანთა მძაფრი თავდასხმები აჩანაგებდა რომაულ არმიას.

ბოლოს, ჩრდილოეთ მესოპოტომიაში, ივნისის ერთ ცხელ დღეს, იულიანეს დაოსებულმა ლეგიონებმა მიაღწიეს ტყით დაფარულ რომელიღაც მაღლობს. აქ ისინი ჩასაფრებულ სპარსელთაგან ყოველი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდნენ. იულიანემ არც ამ უმძიმეს ჟამს უღალატა ჩვეულ მეომრულ სივაჟკაცეს და სიკვდილს გულგრილად შეერკინა. იგი დაუცხრომლად ურბენდა თანამებრძოლთა რიგებს, ამხნევებდა სულიერად დაცემულთ, აქებდა სულით გაუტეხელთ; ის ყველგან იყო,- სადაც კი უჭირდა მებრძოლებს. სიცხით გათანგულ იმპერატორს აბჯარი გაეძრო და ისე

შიშვლად, მახვილითა და დროშით ხელში, ამხედრებული ეტაევ-ბოდა მტერს. უცებ მას გვერდში მოხვდა მტრისგან ძალუმად გატ-ყორცნილი სათხედი. იულიანე ცხენიდან გადმოვარდა. მისმა და-ცემამ რომაელთა საომარი გზნება ახალი ძალით აღანთო. სასიკვ-დილოდ დაჭრილი იმპერატორი კვლავ ამხნევებდა თავისიანებს. სპარსელები უკუიქცნენ.

იულიანე სავსებით მშვიდად შეხვდა სიკვდილს. იგი უკანას-კნელ წუთებშიც ფილოსოფოსობდა თავის ახლო მეგობრებთან და მეცნიერ-მასწავლებლებთან მაქსიმესთან და პრისკუსთან საუბარში: მე ჩემს სიცოცხლეს ვუბრუნებ შემოქმედს, ვითარცა სესხს, რო-მელსაც კეთილსინდისიერად ვიყენებდიო.

ქრისტიანული ტრადიცია კი გვარწმუნებს, რომ „განდგომილმა ანტიქრისტემ“ ჟამსა სიკვდილისასა მძულვარებით წამოიძახა:

„შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“

ასე მოკვდა იულიანე განდგომილი, 32 წლის ასაკში, ოცთვიანი ხელმწიფობის შემდგომ, და მასთან ერთად სამუდამოდ მოკვდა მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ფანტასმაგორიაც, ვითარცა უკანასკნელი გაბრძოლება ძველი წარმართობისა ახალი ძალმოსილებით აღზევე-ბული ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ.

თ ა ვ ი V

გვიანრომაული იმპერიის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება

დომინატმა, როგორც საიმპერიო პოლიტიკური წყობილების ახალმა ფორმამ, მისმა აბსოლუტურ-მონარქიულმა შინაარსმა, მხოლოდ დროებით შეაჩერა მონათმფლობელური სისტემის კრიზისი. საიმპერიო ხელისუფლება ამაოდ ეძებდა ახალ-ახალ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ფორმებსა და მეთოდებს მძაფრ ეკონომიურ და საზოგადოებრივ წინააღმდეგობათაგან თავდასაღწევად.

დომინატური იმპერიაც მ ო ნ ა თ ა კ ლ ა ს ი ს დამთრგუნველი პოლიტიკური იარაღი იყო. კონსტანტინეს მიერ ორჯერ გამოცემული კანონმდებლობით მონათმფლობელს ფაქტიურად ისევ ენიჭებოდა მონის განუკითხავად მოკვლის უფლება. თუ ბატონი მონას ცემით სიკვდილამდე მიიყვანდა, ეს მას ურჩი ქვეშევრდომის „გამოსწორებისათვის" ზრუნვად ეთვლებოდა. „ბარბაროსებთან" გაქცევის შემთხვევაში მონას პატრონს კი აღარ უბრუნებდნენ, არამედ მაღაროებში სამუშაოდ აგზავნიდნენ, ან ფეხს ჰკვეთდნენ. თავისუფალი ქალი მონასთან სამიჯნურო კავშირისათვის ცეცხლზე დაწვით ისჯებოდა. კონსტანტინემ საგანგებო კანონით ღარიბ მოქალაქეებს შვილების მონად გაყიდვის ნება დართო. ცალკე კანონით მონობას უბრუნდებოდა „გათავხედებული" აზატი.

დომინატის დროს სამეურნეო და საზოგადოებრივ სტრუქტურაში წამყვან სოციალ-ეკონომიურ კატეგორიად იქცა კ ო ლ ო ნ ა ტ ი. კოლონების როლი მთელს სამეურნეო ცხოვრებაში სწრაფი ტემპით იზრდებოდა. შესაბამისად მრავალფეროვანი ხდებოდა იურიდიული კანონმდებლობა სწორედ კოლონთა მისამართით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამიერიდან ომიდან ტყვედწამოყვანილნი წინანდებურად მონებად კი აღარ ცხადდებიან, არამედ — კოლონებად.

გავიხსენოთ, რომ კოლონი არის მიწას მიჯაჭვული გააზატებული მონა, ან ტყვე, ან ვალგაუსტუმრებელი პირი, რომელიც მონათმფლობელის მიწას იჯარით ამუშავებს და მასვე, ბატონს, გადასახადს ნატურით უხდის.

კოლონი თავისი უფლებითა და მდგომარეობით ნახევრად მონა იყო. კონსტანტინეს კანონმდებლობით, გაქცეული კოლონი

ბორკილებდადებული უკანვე უბრუნდებოდა მასზე გაპიროვნებულ მიწას. დიდი ფულადი გამოსაღებით ჯარიმდებოდა თავისუფალი მოქალაქე, რომელიც სხვისგან გაქცეულ კოლონს შეიფარებდა. კოლონის შთამომავლობასაც არ ჰქონდა უფლება იმ მიწის მიტოვებისა, რომელზეც მისი მამა-პაპეული იყო მიჯაჭვული. კოლონს თავისი ქალიშვილიც კი მხოლოდ და მხოლოდ მისი ბატონის მეურნეობაში მომუშავე კოლონზე უნდა გაეთხოვებინა. საერთოდ, კოლონებს თავისუფალ მოქალაქეებთან ქორწინება ეკრძალებოდათ. კოლონს ნება არ ჰქონდა სამოსამართლო საქმე აღეძრა თავისი ბატონის წინააღმდეგ, ვერც საკუთარ ინვენტარს და მოსავალს გაჰყიდდა ბატონის უნებართვოდ, ვერც სამხედრო სამსახურში შევიდოდა ბატონის დასტურის გარეშე.

დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს რეფორმატორულ ღონისძიებათა შემდგომ რომის ეკონომიური ცხოვრების ძირითად შინაარსად ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შეიქნა. მართალია, დიდ ქალაქებში გაცხოველებულია სავაჭრო-ფულადი ურთიერთობა, მაგრამ საერთოდ იმპერიის ეკონომიური არსებობა ისევ და ისევ ნატურალურ მეურნეობას ემყარება. ქალაქებისა და არმიების მომარაგება, ასევე სასამსახურო გასამრჯელოს დაფარვა, მთლიანად ნატურალური პროდუქციით მიმდინარეობს.

ნატურალური წარმოება, ნატურალური გამოსაღები, ნატურით გადახდა — ყველაფერი ერთად აღებული დიდად ამცირებდა საქალაქო ცხოვრების მნიშვნელობას და შესაბამისად ზრდიდა მსხვილ სასოფლო-საადგილმამულო ცხოვრების როლს.

იმპერიის უკანასკნელ ასწლეულებში არნახულად გაიზარდა მსხვილ მიწათსაკუთრებისა და მიწათმეურნეობის მასშტაბი. ყველაზე უმაღლესი და უმსხვილესი ლატიფუნდისტი-მაგნატი იყო იმპერატორი, ხოლო შემდეგ მას მოჰყვებოდნენ სახელმწიფოს მაღალი მოხელენი და სენატორთა წოდების წარმომადგენელნი.

მას შემდეგ, რაც სენატმა სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური უფლებები დაჰკარგა და იმპერატორის მორჩილი გახდა, მისმა წარმომადგენლებმა მთელი გულისყური სამეურნეო ცხოვრებაზე გადაიტანეს. გვიანიმპერიისდროინდელი არისტოკრატია თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს სოფლურ ვილებში ატარებს. მსხვილი ლატიფუნდიების მფლობელი მაგნატები იშვიათად გამოჩნდებოდნენ ქალაქში. ისინი უფრო მეტად დღესასწაულთა და საზეიმო ცერემონიათა დასასწრებად მოდიოდნენ მცველებით, ქვეშევრდომებით და კლიენტებით გარშემორტყმულნი. წყაროები იხსენიებენ ისეთ მაგნატებს, რომლებიც იმპერიის ყოველ კუთხეში

ფლობენ დიდ მიწათმეურნეობას. მწერალსა და ორატორს ს ი მ ა-ხ ე ს ერთი სახლი კაპუაში ედგა, სამი სახლი — რომში, სამი ვილა — რომის გარეუბნებში, თორმეტი ვილა — იტალიაში, სიცილიაში და მავრიტანიაში. ვინმე მონაზონ მელანიას ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მონასტრად აღკვეცამდე ამ ქალს და მის ქმარს უმსხვილესი ლატიფუნდიები ჰქონდათ: ბრიტანეთში, გალიაში, ესპანეთში, აფრიკაში, ნუმიდიაში, მავრიტანიაში, სიცილიაში და სხვა პროვინციებში. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

დომინატის ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიკური შინაარსი მოიპოვა ძველთაძველმა სოციალურმა კატეგორიამ — პ ა ტ რ ო ნ ა ტ მ ა, ანუ პ ა ტ რ ო ც ი ნ ი უ მ მ ა. „Patrocinium" („მფარველობა") გულისხმობდა დიდთაგან მცირეთა მიმართ მფარველობა-პატრონობას. მდიდარ, გავლენიან მიწათმფლობელ მაგნატს თავს აფარებდნენ და ეხიზნებოდნენ სახელმწიფო მოხელეთაგან შევიწროებული და დაშინებული მდაბიონი. მთელი თავისი ქონება მათ „პატრონის" გამგებლობაში („მფარველობაში") შეჰქონდათ პ რ ე კ ა რ ი უ ს ი ს უფლებით, ე. ი. ნებისმიერ დროს უკანვე გატანით (Precarius — „გამოთხოვილი", „ნაწყალობევი").

მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობის გვერდით, თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავდა საშუალო მიწათმეურნეობრივი სისტემაც. უმაღლესი ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავდა მათზე, ვითარცა სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის ძირითად წყაროზე. იმპერატორის საგანგებო ყურადღების ქვეშ იყო სასაზღვრო ზონებში განლაგებული მიწათსაკუთრებანი და მათზე ოჯახებით დასახლებული აგრიკოლა-მეომრები.

საშუალო მიწათმეურნეობის კატეგორიაში შედიოდნენ, აგრეთვე, კ უ რ ი ა ლ ე ბ ი — მუნიციპალურ ქალაქთა მოსახლენი. კურიალებს ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის წარმოება, გადასახადების დროზე და სრულად ჩაბარება. ისინი კურიებზე იყვნენ მიმაგრებულნი და კანონით მკაცრად ეკრძალებოდათ მისგან ჩამოცილება, გაქცევა, ან სხვა კურიაში გადასვლა. ბუნებრივია, კურიალების საერთო მდგომარეობის დაცემას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ქალაქის მნიშვნელობის დაკნინება და სოფლის გავლენიანობის ზრდა.

მუნიციპალური ცხოვრების დაცემას თან ახლდა ქალაქის მეუფე კ უ რ ა ტ ო რ თ ა უფლებების თვითნებური ზრდა. ძლიერნი (potentiores) განუკითხავად ავიწროებდნენ მდაბიონს (humi-

liores). უმაღლესი ხელისუფლება იძულებული გახდა ჩარეულიყო. 364—365 წწ. გაჩნდა ახალი თანამდებობა — ქ ა ლ ა ქ ი ს დ ე ფ ე ნ ზ ო რ ი (defensor civitatis), ე. ი. „ქალაქის დამცველი". დეფენზორების მთავარი მოვალეობა იყო დაეცვათ ქალაქის პლებეური მოსახლეობა გაზულუქებული მაღალი ფენისაგან; ისინი ადგილებზე არჩევდნენ ყოველგვარ საჩივარს და ზრუნავდნენ ქალაქში საერთო წესრიგის დამყარებაზე.

ქალაქთა გარკვეულ კორპორაციას წარმოადგენდნენ ვ ა ჭ რ ე ბ ი; ასევე ცალკე გვევლიანებიან ხ ე ლ ო ს ა ნ თ ა კ ო ლ ე გ ი ე ბ ი, სადაც შედიან მჭედლები, მქსოველები, დურგლები, დაბაღები, მეპურეები და სხვ. ისინი მკაცრად არიან მიმაგრებულნი თავიანთ კოლეგიებზე და კატეგორიულად ეკრძალებათ იქიდან წასვლა ან ადგილმონაცვლეობა. მათ, კოლონების მსგავსად, „კოლეგიის გარეთ ქორწინებაც კი ეკრძალებოდათ. ხელოსნები კოლეგიის აღმნიშვნელი სტიგმითაც იდაღებოდნენ, რათა გაქცევაზე არ ეფიქრათ. ხელოსნური პროფესია მემკვიდრეობით გადადიოდა.

გვიანრომაული კულტურა

უკანასკნელ საუკუნეთა რომაული კულტურა გაცილებით დაბლა დგას. ვიდრე ადრინდელი „ოქროს და ვერცხლის საუკუნენი". კულტურული აზროვნების შეფერხებაში დიდი როლი ითამაშა ქრისტიანობამ. მიუხედავად ამისა, პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი ინტერესი მაინც არ შეწყვეტილა და თავისი არსებობის ბოლო საფეხურებზეც რომმა არაერთი მნიშვნელოვანი სულიერი და მატერიალური შედეგი შესძინა მსოფლიო ცივილიზაციას.

1. პოეზია

ლათინ პოეტთა უკანასკნელ წყებაში ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან: ავზონიუსი, კლავდიანე და ნამაციანე.

დ ე ც ი მ უ ს მ ა გ ნ უ ს ა ვ ზ ო ნ ი უ ს ი (Decimus Magnus Ausonius) დაიბადა 309 წელს, ბურდიგალში (ბორდო). მამამისი, იულიუს ავზონიუსი, იმპერატორ ვალენტინიანეს სასახლის ექიმი იყო. მაგნუს ავზონიუსმა განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა იურისპრუდენცია და რიტორიკა. იგი იყო იმპერატორ გრაციანეს აღზრდილი და მისგან 375 წელს კონსულობაც კი მიიღო, ხოლო გრაციანეს სიკვდილის შემდეგ პოლიტიკას თავი დაანება და თავის მშობლიურ ბურდიგალში ადვოკატობასა და რიტორიკის მასწავლებლობას მიჰყო ხელი. მას ქრისტიანობაც მიუღია, მაგრამ თავისი სამწერლო მოღვაწეობის დროს წარმართულ ფორმასა და შინაარსს მაინც არ ღალატობს. ავზონიუსი გარდაიცვალა 394 წელს.

ავზონიუსს ეკუთვნის 146 ეპიგრამა. 20 იდილია და მრავალი სხვა, პოეტური ფორმის წერილები და ბერძნულიდან გადმოღებულ-გადამუშავებული ეკლოგები. აქედან ყველაზე მეტ ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენენ იდილიები (Jdyllia) — უშუალო და მსუბუქი მანერით აღწერილი ბუნების სურათები. იდილიათაგან უმნიშვნელოვანესია „მ ო ზ ე ლ ა" („Mosella"), რომელიც შედგება 483 ჰეგზამეტრისაგან. მასში აღწერილია მდინარე მოზელი,

ვენახებით დამშვენებული მისი სანაპიროები და ველ-მინდვრები, თვით მდინარეში მობინადრე ნაირსახოვანი თევზები და სხვ. „მოზელა“ დაწერილია მსუბუქი, რითმოვანი სტილითა და გულწრფელი გრძნობებით. ავზონიუსის დანარჩენ ლექსთა უმრავლესობა უფრო ბერძნულ-რომაული პოეზიის ცალკეულ ნიმუშთა გადამუშავებას წარმოადგენს. ამდენად, ავზონიუსი უფრო ვერსიფიკატორად გვევლინება, ვიდრე ორიგინალურ პოეტად. მაგალითად, მისი მეცამეტე იდილია — „Cento nuptialis“ („საქორწინო სამოსელი“) შედგენილია ვერგილიუსის პოეტური ნაწარმოებების საფუძველზე. ავზონიუსი „კარის პოეტობაშიც“ ბაძავდა თავის დიდ წინაპრებს. მას დაუწერია „სამადლობელი სიტყვა“ იმპერატორ გრაციანესადმი, რომელიც მლიქვნელურ რიტორიკულ ვარჯიშს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ლიტერატურულ ნაწარმოებს. საერთოდ ავზონიუსის შემოქმედებაში იგრძნობა დიდი განსწავლულობა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

კ ლ ა ვ დ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი ა ნ ე (Claudius Claudianus), წარმოშობით ალექსანდრიელი ბერძენი, ცხოვრობდა მეოთხე-მეხუთე საუკუნეთა მიჯნაზე. იგი ბრწყინვალედ ფლობდა კლასიკურ ლათინურს და მისი შემოქმედებაც ამავე ენაზეა აღმოცენებული. კლავდიანე რომში, იმპერატორ ჰონორიუსისა და მისი რეგენტის სტილიხონის სასახლის კარზე ცხოვრობდა და მათი წყალობით მაღალი თანამდებობაც ეჭირა. სტილიხონმა მას ძეგლიც დაუდგა რომში. მადლიერ პოეტს თავის მწყალობლის მიმართ ბუნებით მომადლებული მაღალნიჭიერება არ დაუზოგავს. სტილიხონის სადიდებლად კლავდიანეს დაწერილი აქვს ორი პოემა: „სტილიხონის ქება“ (De laudibus Stilichonis) და „ომი გოთებთან“ (De bello Gothico). კლავდიანემ სახოტბო ლექსი მიუძღვნა ჰონორიუსისა და მარიას ქორწინებას (Jn nuptias Honorii et Mariae). ეს ლექსი დაწერილია ხალხური საქორწინო სიმღერების — „ფესცენინების“ — მიბაძვით. კლავდიანემ პოეტური ხოტბა მიუძღვნა, აგრეთვე, რომაელთა გამარჯვებას აფრიკელ გილდონზე (De bello Gildonico); სახოტბო სტრიქონებს არ იშურებდა ახლობლებისა და მეგობრებისადმი, მაგრამ კლავდიანეს პოეტური კალამი სატირასაც ძლიერად ფლობდა. მან მწვავე ინვექტივებით გაამათრახა რომის მეტოქე კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე, არკადიუსის დროს გაბატონებული მედროვენი—რუფინუსი და ევტროპიუსი(Jn Rufinum და Jn Eutropium). კლავდიანეს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მითიოლოგიურ პიესებს: „პროზერპინას მოტაცება“ (De raptu Proserpinae) — პოეტის შემოქმედების გვირგვინი და „გი-

განტომახია", რომლისგანაც მხოლოდ ბერძნულად დაწერილმა ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენამდე.

კლავდიანეს მთელი შემკვიდრეობა გვიჩვენებს ავტორის დიდ პოეტურ ტალანტს, მაღალ გემოვნებას, მდიდარ წარმოსახვას, ფართო ერუდიციას. მაგრამ ყველა ამ მაღალ თვისებას ხშირად ჩრდილავს ნაძალადევი პომპეზურობა, ყალბი პათეტიზმი და მაამებლური სერვილიზმი.

მესამე მნიშვნელოვანი პოეტი იყო კ ლ ა ვ დ ი უ ს რ უ ტ ი ლ ი უ ს ნ ა მ ა ც ი ა ნ ე (Claudius Rutilius Namatianus), წარმოშობით გალიიდან; ცხოვრობდა მე-5 საუკუნის დასაწყისში; საცხოვრებლად და სასწავლებლად გაღავიდა რომში; აქვე მას ეჭირა მაღალი მაგისტრატურები, მათ შორის ქალაქის პრეფექტობა. 416 წელს, გოთების შემოსევის დროს, ნამაციანემ იტალია მიატოვა და გალიაში დაბრუნდა. იგი მოგზაურობდა ზღვით და სწორედ ამ მოგზაურობის (Jtinerarium), ანუ დაბრუნების შესახებ (De reditu suo) დაწერა ვრცელი ლექსი, რომლისგანაც ჩვენამდე მოაღწია მთლიანად პირველმა წიგნმა და მეორე წიგნის დასაწყისმა. თუმცა საერთოდ, ეს ლექსი დიდ პოეტურ ქმნილებას არ წარმოადგენს. მაგრამ მასში მაინც ვხვდებით მაღალი ესთეტიკური გემოვნებით შეთხზულ სტრიქონებს.

2. ისტორია

მე-4 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა უკანასკნელი დიდი რომაელი ისტორიკოსი ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ე (Ammianus Marcellinus). იგი დაიბადა დაახლოებით 330 წელს, ანტიოქიაში, წარჩინებული ბერძნის ოჯახში. აქვე მიიღო განათლება; შემდეგ შევიდა სამხედრო სამსახურში, იულიანეს მთავარსარდლობის ქვეშ; იბრძოდა გალიაში, გერმანიაში და აღმოსავლეთში სპარსელების წინააღმდეგ. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა, ერთ ხანს ანტიოქიაში ცხოვრობდა, შემდეგ რომში გადასახლდა და სიკვდილამდე (დაახლ. 400 წ.) იქ დარჩა.

აქვე, რომში დაწერა ამიანემ თავისი დიდი საისტორიო თხზულება 31 წიგნად (Rerum gestarum libri, XXXI).

ამიანე თხრობას იწყებს ნერვას გახელმწიფებით (96 წ.) და ამთავრებს ვალენტის სიკვდილით (378 წ.). თხზულებიდან დაკარგულია პირველი 13 წიგნი, ხოლო გადარჩენილი 18 წიგნი (მე-14—31-ე) მოიცავს რომის იმპერიის თავგადასავალს 353 წლიდან 378 წლამდე.

ამიანე ფაქტიურად ტაციტუსის „ანალებისა" და „ისტორიის" გამგრძელებელია. მეთოდოლოგიური კვლევითაც იგი ტაციტუსს

მისდევს, მაგრამ თავის ორიგინალობას და დამოუკიდებელი ისტორიკოსისათვის აუცილებელ პასუხისმგებლობას მაინც ყოველთვის ინარჩუნებს. მისი აზრით, ისტორიკოსის მთავარი მოვალეობაა ყურადღებიდან არ გაუშვას საისტორიო თავგადასავლის არც ერთი მნიშვნელოვანი (და არა წვრილმანი) ფაქტი და, რაც მთავარია, არასოდეს უღალატოს ჭეშმარიტებას. ამიანეს მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან საკმარისია ყურადღება მიექცეს ორ ამონაწერს მისი თხზულებიდან:

„ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ამბებზე შეგნებულად სდუმს, არანაკლებ სიცრუეს სჩადის, ვიდრე იგი, ვინც არარსებულს თხზავს".

„მე ჩემს შრომაში აღთქმა დავდე გადმომეცა ჭეშმარიტება და არსად, ჩემის ფიქრით, ამ აღთქმისათვის არ მიღალატნია, არცა დუმილით, არცა სიცრუით".

ამიანეს საისტორიო ნაწარმოები განსაკუთრებით ფასდება იმის გამო, რომ ავტორი სახელოვანი თუკიდიდესა და პოლიბიოსის მსგავსად, თვითონ არის მისგანვე აღწერილი მოვლენების აქტიური მონაწილე.

ამიანე, ვითარცა სამხედრო მოსამსახურე, უპირველეს ყოვლისა, ომების ზუსტად აღმწერელი მემატიანეა. ლაშქრობებისა და ბატალიების დაწვრილებითი აღწერის გარდა, იგი ძვირფას ცნობებს გვაძლევს ევროპისა და აზიის ცალკეული ხალხების ზნე-ჩვეულებათა და თავგადასავალთა შესახებ; იმპერიის შიგნით სოციალურ მოძრაობათა და სასახლის კარის შინაპოლიტიკურ აშლილობათა შესახებ.

პლუტარქეს, სვეტონიუსისა და ტაციტუსის მსგავსად, ამიანე ჰარცელინე გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკეულ პიროვნებებს, ისტორიის გმირულ პერსონაჟებს. იგი დიდ ადგილს უთმობს იმპერატორთა ხასიათებს, განსაკუთრებით მისთვის იდეალურ გმირს, უმაღლესი სივაჟკაცისა და უზენაესი სიბრძნის განსახიერებას — იულიანე განდგომილს.

იმპერატორთა და „ისტორიის მამოძრავებელ" გმირთა მაღლა, ანტიკურ მწერალთა და მკვლევართა უმრავლესობის მსგავსად, ამიანე მარცელინეც აყენებს ფორტუნას — ბედისწერას, ხოლო აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მისი რწმენა მკითხაობაზე და ყოველგვარ „ღვთაებრივ მინიშნებაზე".

ამიანე მარცელინე რომაელთათვის და მთელი ანტიკური ისტორიოგრაფიისათვის უკანასკნელი იყო, ვითარცა „საერო ხასიათის" ისტორიკოსი. მის გვერდით ძალზე მკრთალად გამოიყურებიან: ევტროპიუსი და ავრელიუს ვიქტორი.

ევტროპიუსი (Eutropius) ცხოვრობდა მე-4 საუკუნეში; მუშაობდა კონსტანტინე დიდის კანცელარიის მდივნად; მონაწილეობდა იულიანეს ლაშქრობაში სპარსელთა წინააღმდეგ. იმპერატორ ვალენტის დავალებით დაუწერია „მოკლე ისტორია ქალაქის დაარსებიდან" (Breviarum ab urbe condita). ესაა მოკლე კომპილაციური კონსპექტი, შედგენილი ავტორისათვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

იმავე ხანებში, კონსტანტინესა და იულიანეს დროს, ცხოვრობდა სექსტუს ავრელიუს ვიქტორი (Sextus Aurelius victor). მის შესახებ დაცული მწირი ცნობებიდან ვიცით, რომ იულიანეს დროს იგი დიდი პატივით სარგებლობდა: ყოფილა პანონიის მმართველი და დაუმსახურებია ბრინჯაოს ძეგლის დადგმა. ავრელიუს ვიქტორს ეკუთვნის საისტორიო თხზულება „კეისართა შესახებ" (De Caesaribus), რომელშიც გადმოცემულია მოკლე ბიოგრაფიები და სტოიკური მორალური შეგონებანი რომაელი კეისრებისა. ავგუსტუსიდან კონსტანციუსის სიკვდილამდე (361 წ.). ამ შრომის მნიშვნელობა შემოიფარგლება ზოგიერთ ფაქტიურ მასალაზე დაზუსტებით.

აქ თავდება ანტიკური ეპოქის „საერო ხასიათის" ისტორიოგრაფია და მის კვალდაკვალ მოდიან ქრისტიანი ისტორიკოსები, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში უნდა მოვიხსენიოთ ორი — ავგუსტინე და ოროზიუსი.

ავრელიუს ავგუსტინე (Aurelius Augustinus), ანუ, როგორც მას საეკლესიო ტრადიციაში უწოდებენ — ავგუსტინე ნეტარი (Augustinus Sanctus), დაიბადა 354 წელს ნუმიდიის ქალაქ ტაგასტაში; განათლება მიიღო მადავრასა და კართაგენში; ასწავლიდა რიტორიკას აფრიკაში, რომში და მედიოლანში. 386 წლიდან, ქრისტიანობის ღრმად შესწავლის შემდეგ, შეიქნა ამ მოძღვრების უაღრესად ფანატიკური დამცველი, ფრიად მებრძოლი სულის თეოლოგი და საეკლესიო პატრისტიკის უთვალსაჩინოესი მოძღვარი. იგი ყველაზე წარმატებით ახერხებდა ადრე ღრმად შესწავლილი ანტიკური მეცნიერებისა და ფილოსოფიის ჩაყენებას ქრისტიანული ეკლესიის სამსახურში. 395 წლიდან იგი იყო ქ. გიპონის (ჩრდ. აფრიკაში) ეპისკოპოსი. გარდაიცვალა 430 წელს.

ავგუსტინეს დაწერილი აქვს 93 შრომა 232 წიგნად. ისინი ეძღვნებიან ისტორიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის და ხელოვნების ცალკეულ საკითხებს. ავგუსტინეს მთელი ეს მემკვიდრეობა შემდგომ ხანებში, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, ფუძემდებლურ გავლენას ახდენდა ქრისტიანულ სულიერ სამყაროზე.

ავგუსტინეს მთავარი შრომაა „De civitate Dei" („ღვთის ქა-

ლაქის შესახებ"), რომელშიც გადმოცემულია ავტორის მეთოდოლოგიური ხედვა კაცობრიობის ისტორიის მთელი მსვლელობისადმი. იგი გამომდინარეობს ზოგადი ქრისტიანულ-თეოლოგიური პრინციპებიდან: „თეოლოგიის გარეშე ფილოსოფია არარაობაა", „რწმენის წინაშე ჰჭრება ყოველი მიღწევა გონებისა". ავგუსტინეს შეეძლო თანამედროვე რომის იმპერიის რღვევის ფაქტი თავისი ძირითადი „საისტორიო კონცეფციის" მთავარ საბუთად გამოეყენებინა. ღმერთმა ადამიანი შექმნა უმწიკვლო და თავისუფალი ნების არსებად, მაგრამ პირველ ადამიანთა (ადამ და ევა) პირველმავე შეცოდებამ და ამრიგად, ადამიანთა სამოქმედო ასპარეზზე პირველი ბოროტების შემოსვლამ, მთელი კაცობრიობა ცოდვითა და ბოროტებით დაასნეულა. ბოლოს, კაცობრიობა „ხსნის" გზაზე გაიყვანა იესო ქრისტეს წამებამ და სისხლის დათხევამ. მაგრამ ყველა ადამიანს როდი დაიხსნის მაცხოვრის სისხლი: ღმერთმა დასაბამითვე შექმნა ადამიანთა ორი სამყარო — ეშმაკეულთა და ღვთაებრივთა, ანუ მიწიერთა და ზეციერთა; ხოლო ზეციერთა განსახიერება დედამიწაზე არის წმიდა ეკლესია (აქედან საკითხის დაყენება: საერო ხელისუფლება სასულიეროს უნდა ემონოს). მთელი რომის ისტორია ავგუსტინეს წარმოდგენილი აქვს როგორც ღვთიური ლოგიკით დადგენილი კაცთა კვლა, — თუნდაც, საბუთად ისიც კმარა, რომ „ქალაქის დაარსებიდან" (ab urbe condita), მას შემდეგ, რაც რომულუსმა მოჰკლა რემუსი, მრავალი ასეული წლების მანძილზე ასე („ღვთიურ-ლოგიკურად") გრძელდება ადამიანთაგან ურთიერთხოცვა.

ისტორიის ასეთი პერსპექტივით წარმოდგენა ავგუსტინეს სჭირდებოდა იმ „წარმართთა" წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიის კრიზისსა და კაცობრიობის დაცემას ქრისტიანობას აბრალებდნენ და ძველი ღმერთებისაკენ დაბრუნებას მოითხოვდნენ.

ავგუსტინეს ასეთი „საისტორიო თეორია" შემდგომ განავითარა ესპანელმა მღვდელმა პ ა ვ ლ ე ო რ ო ზ ი უ ს მ ა (Paulus Orosius). იგი დაიბადა ტარაკონიაში; იმოგზაურა აფრიკაში, სადაც შეხვდა და ეთაყვანა ავგუსტინეს. შემდეგ მოიხილა პალესტინის „წმიდა ადგილები", მობრუნდა ისევ აფრიკაში და აქ, ავგუსტინეს რჩევითა და მითითებებით, გადაწყვიტა საისტორიო თხზულების დაწერა, რის აღსრულებასაც შეუდგა ესპანეთში დაბრუნებისთანავე. ასე დაიწერა ოროზიუსის Historiarum adversum paganos libri VII.

ესაა მსოფლიო ისტორია, დაწყებული ბიბლიური ქვეყნის გაჩენიდან ღა დამთავრებული 410 წლით (რომის პირველი დაცემით).

ოროზიუსის მოძღვრება ისტორიაზე, როგორც მოსალოდნელი იყო ავგუსტინეს მოწაფისაგან, მიმართულია ერთადერთი მიზნის დასაბუთებისაკენ: ქრისტემდე მთელი დედამიწა წარმოადგენდა ცოდვილთა და ბოროტთა სამყაროს, კაცობრიობის ხსნის გზა გამონახა ქრისტემ, ხოლო რომის დაცემა არის ლოგიკური შედეგი ისევ და ისევ ქრისტესა და მისი მოძღვრებისადმი მტრობისა. დაბოლოს, აქედან გამომდინარე, ამიერიდან კაცობრიობის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულ ეკლესიას.

ოროზიუსი მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას ოთხ „მსოფლიო სამეფოდ" წარმოგვიდგენს: ბაბილონური, მაკედონური, კართაგენული და რომაული. მთლიანად შრომა წინარე ავტორთა კომპილაციაა. მეცნიერებისათვის აქედან საინტერესოა ის ნაწილები, რომლებიც ეხებიან სხვა დიდ თუ მცირე ისტორიკოსთა შრომების ნაკლულოვან ადგილებს.

3. ფილოსოფიური ლიტერატურა

გვიანრომაული იმპერიის ლიტერატურული ცხოვრება უაღრესად ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. იგი წარმოადგენს ხსვადასხვა მიმართულების ფილოსოფიურ სისტემათა, რელიგიურ მოძღვრებათა და მისტიკურ ელემენტთა ნარევს.

ამ მხრივ ყველაზე ტიპურია იმ დროისათვის დიდად გახმაურებული მოძღვრება ე. წ. ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი ზ მ ი, რომლის დამაარსებლად ითვლება ამონიოს საკასი, ხოლო ყველაზე დიდ წარმომადგენლად — პ ლ ო ტ ი ნ ე.

პლოტინე დაიბადა 204 წელს ეგვიპტის ქალაქ ლიკოპოლისში, ათი წელი სწავლობდა ამონიოსთან ალექსანდრიაში, იმოგზაურა სპარსეთში, ინდოეთში და სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა რომსა და იტალიაში, ახლო მეგობრობა ჰქონდა იმპერატორ გალიენესთან. გარდაიცვალა 270 წელს.

პლოტინეს მოძღვრების ძირითადი ამოსავალი წყარო იყო პლატონის ფილოსოფია, რომლის იდეათა შესაბამისად იგი ახალი ქალაქის („პლატონოპოლის") დაარსებასაც კი აპირებდა კამპანიის ოლქში (გალიენესაგან თანხმობაც ჰქონდა მიღებული, მაგრამ განზრახვა სხვა სახელმწიფო მოხელეებმა ჩაუშალეს).

რაც მთავარია, პლოტინესა და მის მიმდევართა მოძღვრებაში პლატონის იდეალიზმი შეერთებული იყო არისტოტელიზმის, სტოიციზმის, გნოსტიციზმისა და აღმოსავლურ რელიგიურ-მისტიკურ ელემენტებთან. ნეოპლატონიზმი უმაღლეს რეალურ არსად თვლი-

და ღმერთს, რომელიც მიუწვდომელია ადამიანის ჩვეულებრივი გონებისთვისაც და გრძნობებისთვისაც. აბსოლუტ-ღმერთის შეუცნობლობა და შეუგრძნობლობა შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი საშუალებით — ესაა ექსტაზი, მისტიკური მჭვრეტელობა. მისტიკა და აფექტაციამდე ასული ექსტაზი არის საშუალება ემანაციის აღქმისა. ხოლო ემანაცია („გამოდინება", „გამოსხივება") არის მთელი სამყარო; ემანაცია უმაღლესი ღვთაება-აბსოლუტისაგან გამოდის და „გამოესხივება" საფეხურების სახით. ემანაციის პირველი საფეხური არის ღვთაებრივი გონება, მუდმივ უცვლელ იდეათა სამყარო, მარადიული ჭეშმარიტებით, ნეტარებით და სიმშვენიერით; მეორე საფეხურია მსოფლიო სული, დაყოფილი ცალკეულ სულებად, ფსიქიკურ ელემენტებად; ხოლო ემანაციის მესამე საფეხურია ფიზიკურ-მატერიალური სამყარო (ისიც, რასაკვირველია, სულიერი სამყაროდან ამომდინარე), ყოფიერების ყველაზე დაბალი ფორმა. ეს უკანასკნელი არის „არარსი", ანდა მისი არსობა არის მხოლოდ „დაბალბამიერი ბოროტება". ამიტომ ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი მისწრაფება უნდა მდგომარეობდეს ლტოლვაში ყოფიერების უდაბლესი (მატერიალურ-ფიზიკური) საფეხურიდან უმაღლესისაკენ, აბსოლუტურ-ღვთაებრივისაკენ. ხოლო ამის მიღწევა ადამიანს შეუძლია ისევ და ისევ მისტიკური ჭვრეტით, ექსტაზით, აღტყინებით, აფექტაციით.

პლოტინეს შრომებს, ავტორის სიკვდილის შემდეგ, თავი მოუყარა და გამოაქვეყნა მისმა მოწაფემ პორფირიოსმა. მან 54 ტრაქტატი დაჰყო ექვს წიგნად, ანუ „ენეადად". თითოეულ „ენეადაში" 9 ტრაქტატი იყო (აქედან: „ენეადა" — „ცხრაწიგნედი").

გვიანდელი იმპერიის მთელი ლიტერატურული და ფილოსოფიური ცხოვრება ნეოპლატონიზმის გავლენის ქვეშ მოექცა.

მე-4 საუკუნის რომაული იმპერიის წიაღში აღორძინებას იწყებს ბერძნული ლიტერატურა ე. წ. გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ს ო ფ ი ს ტ ი კ ი ს სახელწოდებით. კვლავ დიდმნიშვნელოვანი ხდება რიტორიკა; იხსნება რიტორიკული სკოლები, სადაც განათლებას ღებულობენ მომავალი სახელმწიფო მოხელენი, სამოქალაქო მოღვაწენი, საეკლესიო მქადაგებელნი ან საერო ცოდნის დაუფლების მოსურნენი.

315—386 წლებში ცხოვრობდა სოფისტური ლიტერატურისა და რიტორიკის ცნობილი წარმომადგენელი ჰ ი მ ე რ ი ო ს ი. მას განათლება ათენში მიუღია, ცოდნის გაღრმავების მიზნით ბევრი უმოგზაურნია, კვლავ ათენში დაბრუნებულა და რიტორიკის მას-

წავლებლობა დაუწყია. მერე იგი იმპერატორ იულიანეს პირად მდივნად მოუწვევია. ბოლოს, იულიანეს სიკვდილის შემდეგ, ისევ ათენში გაუგრძელებია რიტორიკული და მწერლური მოღვაწეობა.

„განდგომილ იმპერატორთან" სიახლოვე თავისთავად გულისხმობს ჰიმერიოსის წარმართობას. მას სწორედ წარმართული სულისკვეთებით დაუწერია 71 სიტყვა, რომელთაგან ჩვენამდე სრული სახით მოაღწია 24-მა სიტყვამ; დანარჩენებიდან ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჰიმერიოსის ნაწერები ხასიათდებიან იმ დროისათვის მიღებული გარეეფექტური პათეტიკით, მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმულობითა და ფრიად ბუნდოვანი ალეგორიებით.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა რიტორი და ფილოსოფოსი თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი (დაახლ. 317—388 წწ.), ცნობილი პაფლაგონელი ფილოსოფოსის, ევგენიოსის შვილი.

თემისტიოსს უმაღლესი განათლება მიუღია იქ, სადაც მასზე ადრე სწავლობდა მამამისი ევგენიოსი — სახელდობრ, კოლხეთში, ფაზისის (ფოთის) რიტორიკულ-ფილოსოფიურ სკოლაში*.

თემისტიოსი დიდი პატივით სარგებლობდა კონსტანციუსის, იულიანესა და მომდევნო იმპერატორების თვალში. ხალხში მის მოსახსენიებლად საკმარისი იყო ეპითეტი — „ტკბილმოუბარი" („ევფრადეს"), ან „სიტყვათ მეფე" („ბასილევს ლოგონ").

თემისტიოსის 36 სიტყვიდან ჩვენამდე მოაღწია 34-მა. ისინი უმეტესწილად ამა თუ იმ იმპერატორისადმი შეთხზულ პანეგირიკებს წარმოადგენენ; თუმცა სახოტბოს გარდა, მათში შევხვდებით მეგობრობის, ზოგადი ზნეობის, სოფლის მეურნეობისა და სხვათა თემებს. თემისტიოსის ფილოსოფიური შრომებიდან მოაღწია ოთხმა თხზულებამ, რომლებიც ძირითადად არისტოტელეს მოძღვრებათა კომენტირებასა და პარაფრაზებს წარმოადგენენ.

გვიანდელი სოფისტიკის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი. იგი დაიბადა 314 წელს ანტიოქიაში; აქვე დაიწყო განათლების მიღება, შემდეგ სწავლობდა ათენში. ათენშივე სურდა მასწავლებლობა, მაგრამ მეტოქეთა ინტრიგების გამო ელადა მიატოვა და კონსტანტინოპოლში გადასახლდა. მაგრამ იმხანად ვერც აქ მოახერხა ფეხის მოკიდება. წარმართი ფილოსოფოსის პოპულარობა ქრისტიან დოგმატიკოსებს მოსვენებას უკარგავდა. ლიბანიოსი აიძულეს სატახტო ქალაქიდან წასულიყო. იგი გადავიდა ნიკომედიაში და იქ გააჩაღა რიტორიკულ-ფილოსოფიური მოღვაწე-

---

* ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ს ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, გვ. 337—340.

ობა. მას აუარებელი მსმენელი, მიმდევარი და მოწაფე გაუჩნდა; მათ შორის იყო მომავალი იმპერატორი იულიანე. ლიბანიოსი, იულიანეს სიკვდილის შემდეგ, ისევ მშობლიურ ანტიოქიაში დასახლდა და იქვე გარდაიცვალა (393 წ.).

ჩვენამდე მოაღწია ლიბანიოსის ვრცელმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ, რომელიც შეიცავს სიტყვებს, წერილებს, ფილოსოფიურ (უმეტესად პლატონურ) კვლევებს, ზნეობრივ შეგონებებს და ა. შ. იგი ეხება თავისი დროის თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხს, სულ ერთია, იქნება ეს: სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, ზნეობრივი, თუ სხვა საკითხები. იგი ხან პანეგირისტია, ხან მკაცრი განმქიქებელი. განსაკუთრებული სიმკაცრით ებრძვის ლიბანიოსი ქრისტიანიზმს; მის მქადაგებელთ იგი თვლის აზრისა და სიმშვენიერის მტრებად.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ლიბანიოსის უახლოეს თანამეგობართა და თანაფილოსოფოსთა შორის წყაროები დიდის ამბით იხსენიებენ ბ ა კ უ რ ი ბ ე რ ი ე ლ ს*.

* ამის შესახებ იხ. სიხ. ყ ა ე ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეოგრაფია. ტ. I, 1961, გვ. 59.

რომის იმპერია მე-4 საუკუნის ბოლოს

1. ი ო ვ ი ა ნ ე

კონსტანტინე დიდის სახლეულის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, იულიანე განდგომილმა, სიკვდილის ჟამს ტახტის მემკვიდრე არ დაასახელა. ლეგიონებმა იმპერატორის ყველაზე ღირს კანდიდატად მიიჩნიეს ნიჭიერი და გამოცდილი სარდალი, პრეფექტი ს ა ლ უ ს ტ ი უ ს ი, მაგრამ მან ხელმწიფობაზე ცივი უარი განაცხადა. ბოლოს არჩევანი შეჩერდა ი ო ვ ი ა ნ ე ზ ე, სასახლის მცველთა უფროსზე, რომელსაც ხელმწიფობისათვის არავითარი ღირსება არ გააჩნდა გარდა თავაზიანი, ‘ხიარული მოქცევისა და ქრისტიანული სარწმუნოებისა.

იოვიანემ ვეღარ გაბედა სპარსეთთან ომის გაგრძელება და ზავის საფასურად საპორს დაუთმო მესოპოტამია, სომხეთი და არაბული ციხე-სიმაგრეები. ამ პირობათა შესრულების საგარანტიოდ მძევლებიც კი გაგზავნა მან ქტესიფონში. მესოპოტამიიდან უკან დაბრუნებისას რომაელ ჯარისკაცთაგან ბევრი შიმშილ-წყურვილითა და დაქანცულობით გაწყდა. სპარსელთათვის დათმობილი ნიზიბისიდან და სინგარიდან ხალხი აიყარა და სირიისაკენ მიმავალ გზებზე გაიფანტა. თვითონ იოვიანემ ანტიოქიას მიაშურა და ლოთობა-გარყვნილებას მისცა თავი. ეს სწორედ მაშინ, როცა მის კეთილისმყოფელს, სახელოვან მეფე იულიანეს, იქვე, მახლობლად, ქალაქ თარსუსში ასაფლავებდნენ.

იოვიანეს გამეფება ნიშნავდა ქრისტიანიზმის ხელახალ აღზევებას. იოვიანეს განკარგულებით გაუქმდა იულიანეს ყველა ღონისძიება, რომელიც კი მიმართული იყო ქრისტიანობის დასამხობად და წარმართობის აღსადგენად. მაგრამ მხდალ იმპერატორს არც წარმართობის გულისწყრომის გამოწვევა უნდოდა და ცალკე ედიქტით ყველა სარწმუნოების შემწყნარებლობა გამოაცხადა, რისთვისაც მან თემისტიოსის სახოტბო სიტყვაც კი დაიმსახურა.

აქვე, ანტიოქიაში ყოფნის დროს, იოვიანესთან გამოცხადდნენ ერთიმეორეზე დანა-სისხლად გადამტერებული არიოზელი და მარ-

თლმადიდებელი ეპისკოპოსები. მცირე ყოყმანის შემდეგ, იმპერატორმა მართლმადიდებელთა მხარე დაიჭირა.

364 წლის თებერვალში იოვიანე კონსტანტინოპოლისკენ გაეშურა, მაგრამ სატახტომდე ცოცხალმა ვეღარ ჩაღწია; იგი გზაზე ნიკეის მახლობლად მოულოდნელად გარდაიცვალა.

2. ვალენტინიანე და ვალენტი

იმპერატორობა ისევ სალუსტიუსს შესთავაზეს, მაგრამ კვლავ უარი მიიღეს. ათი დღის ბჭობის შემდეგ არმიის მეთაურები შეთანხმდნენ იმპერატორად გამოეცხადებინათ ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი ა ნ ე, წარმოშობით პანონიელი გლეხი, სავსებით გაუნათლებელი მდაბიო, მაგრამ მამაცი ჯარისკაცი, წარმოსადეგი ვაჟკაცი და გამოცდილი სარდალი.

ვალენტინიანეს გახელმწიფება ჯარებმაც მოიწონა. ახალმა იმპერატორმა თანამმართველად და მეორე ავგუსტუსად გამოაცხადა თავისი უმცროსი ძმა, გონებით და მკლავით უძლური ვ ა ლ ე ნ ტ ი, რომელსაც სამმართველოდ გადასცა აღმოსავლეთი იმპერია ბალკანეთიდან მესოპოტამიამდე. თვითონ ვალენტინიანემ სარეზიდენციოდ აირჩია მედიოლანი (მილანო).

ამ დროისათვის იმპერიის საშინაო და საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა, სახელმწიფოს საზღვრები ყოველ პუნქტში ფხიზელ ყურადღებას და მახვილთვალეობას საჭიროებდა. ქვეყნის შიგნით აჯანყებანი და სტიქიური უბედურებანი მძვინვარებდა (მძლავრმა მიწისძვრებმა დააქცია ეგვიპტე, საბერძნეთი, დალმაცია და სიცილია).

365 წელს იულიანეს შორეულმა ნათესავმა, პ რ ო კ ო პ ი უ ს მ ა წამოიწყო აჯანყება კონსტანტინოპოლის ტახტის ხელში ჩასაგდებად. პროკოპიუსს მხარი დაუჭირეს სასახლის მცველმა ლეგიონებმა და იმპერატორ კონსტანციუსის ქვრივმა, რომელიც ჯერ ისევ დიდი გავლენით სარგებლობდა. პროკოპიუსმა კავშირი შეკრა, აგრეთვე, გოთებთან, რომლებმაც უკვე დაიწყეს დუნაის გადმოლახვა.

ვალენტი შეშინდა და უკვე მზად იყო ტახტიდან გადამდგარიყო, მაგრამ მისმა სარდლებმა არ დაანებეს. მხდალ ხელმწიფეს განსაკუთრებული იმედი და მხნეობა მისცა საარაკო სიმამაცისა და სილამაზის მქონე გოლიათმა, სარდალმა ა რ ი ნ თ ე ო ს მ ა. სწორედ ამ უკანასკნელის გამოსვლამ დააფრთხო პროკოპიუსის მომხრენი და გადამწყვეტი შეხვედრისას უზურპატორი მარტო დატოვეს. გაქცეული პროკოპიუსი ერთ ხანს ფრიგიის ტყე-ღრეებს აფარებდა

თავს; ბოლოს შეიპყრეს, ვალენტის მიჰგვარეს და მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს (366 წ.).

პროკოპიუსის აჯანყებამ ვალენტინიანეს და ვალენტის საფუძველი მისცა, რათა მმართველობა უფრო მკაცრი, ტერორისტული ხასიათის დესპოტიად გადაექციათ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მხოლოდ უსაზღვრო სისასტიკეს შეუძლია სახელმწიფოს ხსნა და მისი მთლიანობის შენარჩუნება. სასამართლო პროცესები ან განუსჯელი სიკვდილით დასჯა თავისი სიმრავლით ნერონისა და დომიციანეს დროს აღარ ჩამორჩებოდა. ვალენტინიანე ფიცხი იყო, ვალენტი — მხდალი. როგორც წესი, ორივე ეს თვისება ხშირად ხდება განუკითხავი რისხვისა და ბოროტების საფუძველი. წყაროები გადმოგვცემენ, რომ ვალენტინიანეს საძინებლის გვერდით ოთახში ორი დათვი ჰყავდა, რომელთაც საჭირო შემთხვევაში შერისხულ ადამიანებზე მიუშვებდა ხოლმე. მთავარი მოსამართლის პოსტი ეჭირა ვინმე მ ა ქ ს ი მ ი ნ ე ს, წარმოშობით გერმანელ გოთს, მხეცური სისასტიკის კაცს.

ასეთი სისასტიკის მიუხედავად, ვალენტინიანე ცდილობდა მეცნიერების, პოეზიისა და ხელოვნების მფარველის როლიც ეთამაშნა. თვითონ სავსებით უწიგნური, ბერძნული ენის არმცოდნე, მფარველობს უმაღლეს სკოლებს ათენში, კონსტანტინოპოლში და რომში; აარსებს ახალ სკოლებს რიტორიკის, ფილოსოფიის, იურისპრუდენციისა და მეცნიერების სხვა დარგებში. მის დროს მოღვაწეობს პოეტი ავზონიუსი და ისტორიკოსები — ავრელიუს ვიქტორი და ევტროპიუსი.

რელიგიის მხრივ, ორივე იმპერატორი ქრისტიანობის მიმდევარი იყო; მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვალენტინიანე ყოველ სხვა სარწმუნოების შემწყნარებლობასაც იჩენდა, ხოლო ვალენტი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის გავლენით, მთლიანად არიოზის რელიგიურ პოზიციაზე იდგა.

366—372 წლებში ვალენტინიანეს დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდა ჩრდილოეთ საზღვრებზე, განსაკუთრებით ალემანთა წინააღმდეგ. 366 წელს მარნაზე გამართულ დიდ ბრძოლაში რომაელებმა 6.000 ალემანი გაწყვიტეს. 368 წელს ვალენტინიანემ, პირადი სარდლობით და მონაწილეობით, რეიხი გადალახა და ნეკარის მახლობლად ალემანები სასტიკად დაამარცხა. ამ ლაშქრობის შემდგომ მან ხელახლა გაამაგრა ციხე-სიმაგრეებითა და ზღუდე-კოშკებით რეინის ხაზი კელნსა და ბაზელს შორის. ამ მშენებლობის დროს იმპერატორმა თავი ისახელა, როგორც გამოცდილმა არქიტექტორმა, მექანიკოსმა და ტოპოგრაფმა. ალემანები მაინც არ ცხრებოდ-

ნენ და რომაელებმა მათი მიწა-წყალი კიდევ რამდენჯერმე დალაშქრეს.

იმავე ხანებში რომაელებს ბრძოლები მოუხდათ ბურგუნდებთან და საქსებთან. 371 წელს ვალენტინიანემ ეს ტომებიც დაამარცხა, ბევრი დახოცა, ბევრიც ტყვედ წამოიყვანა, ამათგან ყველაზე ძლიერნი და ახოვანნი გლადიატორებად გაამწესეს, რომელთაგან 29 კაცმა ცირკის არენაზე გამოსვლის წინ თავი მოიკლა.

სანამ ტრირში და ლუტეციაში (პარიზი) დაბანაკებული ვალენტინიანე დროდადრო გერმანელთა წინააღმდეგ მიეშურებოდა, მისი მამაცი სარდალი თ ე ო დ ო ს ი (წარმოშობით ესპანელი) წარმატებით ებრძოდა აჯანყებულ ბრიტანელ ტომებს. მან 367 წელს აიღო ლონდინიუმი (ლონდონი) და გაემართა შოტლანდიისკენ. აქ მან დაამარცხა კალედონიის ბინადარნი და ახალი სიმაგრეებით კვლავ განამტკიცა ძველი საზღვრები.

372 წელს რომაელ მმართველთა თავგასულობამ ააჯანყა ნუმიდიაში მოსახლე მავრები. აჯანყებას მეთაურობდა მავრთა მთავარი ფ ი რ მ უ ს ი. იუსტინიანემ აფრიკაში გაგზავნა თეოდოსი, რომელმაც სამხრეთის ცხელ მიწაზეც დიდი სიმამაცე და გამჭრიახობა გამოიჩინა. მან სასტიკად დაამარცხა აჯანყებულნი, ხოლო გაქცეულმა ფირმუსმა თავი მოიკლა (373 წ.). თვითონ თეოდოსის მისგან ალაგმულმა რომაელმა მოხელეებმა შეთქმულება მოუწყვეს, იმპერატორისადმი ორგულებაში ბრალი დასდეს და კართაგენში სიკვდილით დასაჯეს (376 წ.).

ვალენტინიანე თეოდოსის მკვლელობის დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მის სიცოცხლეში, 374 წელს, კიდევ ერთი სისხლიანი დრამა გათამაშდა პანონიაში. ქვემო პანონიის მმართველმა ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე მ გერმანელი კვადების მეფე გ ა ბ ი ნ ი უ ს ი ნადიმზე მიიტყუა და მოაკვლევინა. ეს კვადების შემოტევის საბაბი შეიქნა. ისინი სარმატების მხარდაჭერით დუნაიზე გადმოვიდნენ და რომაელთა სამფლობელოების აოხრებას შეუდგნენ. მათი შეკავება შეუძლებელი გახდა.

ვალენტინიანე ამ დროს კვლავ რეინზე იბრძოდა. იგი იძულებული გახდა ალემანთა ბელადთან ზავი შეეკრა და დუნაიზე გადასულიყო. კვადები და სარმატები, მდიდარი ნადავლით დატვირთულნი, უკვე თავის სამშობლოში იყვნენ დაბრუნებულნი, მაგრამ ვალენტინიანე მაინც შეიჭრა მათ მიწებზე, საშინლად ააწიოკა ისინი და გამოსაზამთრებლად დაბანაკდა ბრეგციონში (ახლ. პრესბურგის ახლოს), რათა აქედან ადრიან გაზაფხულზე კვლავ განეახლებინა შეტევა კვადთა და სარმატთა გასანადგურებლად. კვადებმა წინააღმდე-

გობის გაწევა სახიფათოდ ჩათვალეს და იმპერატორის ბანაკში ელჩები გაგზავნეს ზავის სათხოვრად. მათ აუდიენციაზე ექსცენტრიულმა ვალენტინიანემ ბრაზისაგან წონასწორობა დაკარგა, ყელიდან სისხლი წასკდა და ტახტიდან მკვდარი გადმოვარდა (375 წლის ნოემბერი).

3. გრაციანე და ვალენტი

ვალენტინიანემ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეშივე ავგუსტუსად გამოაცხადა უფროსი ვაჟი გ რ ა ც ი ა ნ ე, რომელსაც ახლა, მამის უეცარი სიკვდილის ჟამს, 17 წელი შესრულებოდა. მაგრამ გარდაცვლილ ხელმწიფეს მეორე ცოლისაგან, პირველშვილი იუსტინასაგან, აგრეთვე ჰყავდა ვაჟი, ისიც ვალენტინიანედ წოდებული. ზოგიერთი საბუნებრო მეთაურის ჩაგონებით, ილირიის ლეგიონებმა მეორე იმპერატორად გამოაცხადეს სწორედ ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი ა ნ ე II, რომელსაც ოთხი წელიც ძლივს შესრულებოდა. რასაკვირველია, სახელმწიფოს ფაქტიური მმართველნი მაინც გრაციანე (დასავლეთში) და ვალენტი (აღმოსავლეთში) უნდა ყოფილიყვნენ.

გრაციანესა და ვალენტის დროს იწყება ცხობილი „ს ა ლ ი თ ა დ ი დ ი გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ნ ი". პირველად გამოჩნდნენ ევროპის ასპარეზზე მრისხანე აღმოსავლელი, ძოინღოლური მოდგმის ძოძოთაბარე, ველური ტომები — ჰ უ ნ ე ბ ი, რომლებიც უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ჩინეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე და საუკუნეების მანძილზე თავზარს სცემდნენ ჩინეთისა და ცენტრალური აზიის მცხოვრებლებს.

მე-4 საუკუნის 60-იან წლებში ჰუნები გრიგალისებური სრბოლით იჭრებიან ვოლგა-დონისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე. აქ მათ გაანადგურეს ა ლ ა ნ თ ა ტომები, ბევრი მათგანი აიყოლიეს და შეუკავებლად გადათქვრეს შავი ზღვის ჩრდილოეთი ძიწები.

აქ ჰუნები შეეჯახნენ გერმანელ ო ს ტ გ ო თ თ ა (აღმოსავლეთ გოთთა) ძლიერ გაერთიანებას, რომელსაც სათაეში ედგა გ ე რ მ ა ნ რ ი ხ ი. გერმანრიხი დამარცხდა და თავი მოიკლა. მერე ძისმა მემკვიდრემ, ვ ი ნ ი ტ ა რ მ ა სცადა ბედი, მაგრამ ისიც მის მეომრებთან ერთად ბრძოლის ველზე დარჩა. ოსტგოთები საბოლოო მარცხს შეურიგდნენ და ბევრი მათგანი ჰუნებთან დაახლოებისა და მათ სამსახურში დაწინაურების გზასაც დაადგა.

მდინარე ღნესტრს ვ ე ს ტ გ ო თ ე ბ ი (დასავლეთ გოთები) მოსდგომოდნენ ა ტ ა ნ ა რ ი ხ ი ს მეთაურობით. ისინი ჰუნებს უც-

დიდნენ შესარკინებლად. მთვარიან ღამით ჰუნთა კავალერიამ შეუმჩნეველად გადალახა მდინარე და მოწინააღმდეგეს ზურგიდან იმ დროს დაეცა, როცა აზიელ მომთაბარეთა ძირითადი ძალები ფრონტალურ შეტევაზე გაქანდნენ. ვესტგოთები დაიბნენ, დამარცხდნენ და დაიფანტნენ. მათმა ერთმა ნაწილმა, თვით ატანარიხის მეთაურობით, პრუტს გადაღმა ტყეებში გამართულ საფარს მიაშურა, ხოლო ვესტგოთთა უმრავლესობამ დუნაი გადალახა და რომაელთა ბანაკებს თავი შეაფარა.

ეს ამბები 375—376 წლებში დატრიალდა. ამ დროს იმპერატორი ვალენტი ანტიოქიაში ორთოდოქსალი ეპისკოპოსების განპატიჟებით იყო გართული. აქვე გამოცხადდნენ მის წინაშე ვესტგოთთა ელჩები, რომლებიც თავისი დამარცხებული, დედაბუდიანად აყრილი და დამშეული ხალხისათვის ითხოვდნენ პურს, მფარველობას და დასასახლებელ ადგილებს თრაკიასა და მეზიაში. სამაგიეროდ ისინი რომაელებს აღუთქვამდნენ სამარადჟამოდ სულით და ხორცით ერთგულ ქვეშევრდომობას და მეგობრობას.

ვალენტიმ უპირველეს ყოვლისა გაითვალისწინა ის, რომ თრაკიის ამოწყვეტილ და დაცარიელებულ ადგილებში მართლაც სასარგებლო უნდა ყოფილიყო ძლიერ ქვეშევრდომთა ჩასახლება; თანაც ვესტგოთთა უმრავლესობა, მის მსგავსად, არიოზული ქრისტიანობის მიმდევარი იყო და ამასაც, თითქოს, ორივე მხარის ურთიერთგაგებისათვის ხელი უნდა შეეწყო, ამიტომ მან ვესტგოთთა თხოვნა შეიწყნარა. თანაც, თავის მხრივ, ასეთი პირობები წაუყენა: ვესტგოთებს წინასწარ იარაღი უნდა აეყარათ და რომაელთათვის ჩაებარებინათ, ასევე იმპერატორისთვის მათ უნდა მიეცათ წარჩინებულ გერმანელთა შვილები მძევლებად. ვესტგოთები დათანხმდნენ, მაგრამ დუნაიზე გადასვლის დროს მათ, ფულისა და ლამაზი ქალების გაცემით, ადვილად მოახერხეს კონტროლზე მდგარი რომაელი მეთაურების მოსყიდვა; ასე, რომ დუნაის სამხრეთით 200 000 გოთმა, ცოლ-შვილთან და ქონებასთან ერთად, იარაღიც გადაიტანა. ამას სულ მალე ახალი გართულება მოჰყვა. ქვემო მეზიისა და თრაკიის მმართველებმა, ლუპიცინემ და მაქსიმემ, გამდიდრებაზე დახარბებულმა ადამიანებმა, გოთების გადმოსახლებისას ხელი მიჰყვეს აშკარა გამოძალვას. ისინი დასასახლებელი მიწების დარიგებას საგანგებოდ აჭიანურებდნენ და დამშეულ ლტოლვილთა ლუკმაპურის საფასურად ართმევდნენ ყოველგვარ ქონებას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ისინი ნატეხი პურისა და დამპალი ძაღლის სანაცვლოდ დამშეულთ შვილებს ართმევდნენ და მონებად ჰყიდდნენ, ან მათ ქალებს ნამუსს ხდიდნენ, აჯან-

ყებისთვის საკმარისი იყო მცირეოდენი საბაბი. ასეთიც გაჩნდა.

ქ. მაკრიანოპოლისში (ქვემო მეზიის მთავარ ქალაქში) ლუპიცინემ ნადიმზე მიიწვია გოთების ბელადები ფ რ ი დ ი გ ე რ ნ ი და ა ლ ა ვ ი უ ს ი. სწორედ ამ დროს ქალაქს მოაწყდა მშიერ გერმანელთა ბრბოები. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც რამდენიმე რომაელი მეომარი მოკლულ იქნა. გაჯავრებულმა ლუპიცინემ სამაგიეროდ ბრძანა დაეხოცათ ფრიდიგერნისა და ალავიუსის ამალა. ფრიდიგერნმა მასპინძელს აღუთქვა, რომ აღელვებულ თავისიანებს დააწყნარებდა და სასახლიდან გავიდა. სინამდვილეში მან სასწრაფოდ ქალაქიდან გაქუსლა, გოთებთან გაიქცა და ყველას საომრად მოუწოდა. გერმანელები საომარი ნაღარების ცემით, იარაღის ზათქითა და დროშების ფრიალით გაჰყვნენ ბელადს. ლუპიცინე აჯანყებულებს დაუხვდა, მაგრამ დამარცხდა, თვითონ გაქცევით თავს უშველა, მისი ჯარი კი განადგურდა. ასე დაიწყო ვესტგოთთა აჯანყება 377 წელს. აჯანყებულნი ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ თრაკიას. ისინი შეუბრალებლად ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, წვავდნენ, კლავდნენ. გერმანელთა რისხვას აასკეცებდნენ რომაელთა მონობიდან გამოქცეული მათი ვაჟები და ქალიშვილები. აჯანყებულებს უერთდებოდნენ რომაელთა სამსახურში მდგარი გერმანელი მეომრები და გაქცეული მონები.

ვალენტიმ გადაწყვიტა იმპერიის მთელი სამხედრო ძალები დაეძრა აჯანყებულ გერმანელთა წინააღმდეგ. აღმოსავლეთის პროვინციებში მდგარი ლეგიონები სასწრაფოდ გაგზავნა თრაკიისაკენ და იმავ დროს მაშველი ძალებისათვის შიკრიკი აფრინა დასავლეთში, თავის ძმისწულთან და იმპერატორთან, გრაციანესთან.

ვალენტი აზიიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იქ დაუწყო ლოდინი ამბავს ბრძოლის ველიდან.

საბოლოო ბრძოლა მოხდა 377 წლის ზაფხულში, ე. წ. „ტ ი რ ი ფ ე ბ თ ა ნ“ (Ad salices), ქ. ტომის მახლობლად, ქვემო მეზიაში. მოწინააღმდეგენი საომარი სიმღერების გუგუნით ეკვეთნენ ერთურთს. არც ერთ მხარეს არ უფიქრია უკანდახევა. ხოცვა-ჟლეტა მთელი დღე გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა. მკვდრებით დამძიმებული ველი ქანცგამოცლილმა ცოცხლებმა ყვავ-ყორანთა ულუფად დააგდეს. ცოტა გვიან თვითონ ისტორიკოს ამიანე მარცელინეს უნახავს ადამიანთა ძვლებით გადათეთრებული ნაომარი მინდორი.

ვესტგოთები მაინც არ ცხრებოდნენ. ფრიდიგერნმა კავშირი გაბა ჰუნთაგან უკუგდებულ ოსტგოთებთან. ორივე მხრის გოთთა

კავშირიც შეიკრა. მათვე შეუერთდნენ სარმატები და ალანები. აღმოსავლეთი იმპერია უზარმაზარი საფრთხის წინაშე დადგა.

დასავლეთშიც, რეინზე, საერთო მდგომარეობით წაქეზებულმა ალემანებმა ისევ მოივლეს იარაღზე ხელი. მაგრამ ცხრამეტი წლის გრაციანე მამაცურად დაუხვდა მტერს. მან ალემანები სასტიკად დაამარცხა, ზავზე აიძულა და მძევლებიც აიყვანა.

ხოლო კონსტანტინოპოლში მჯდარი ვალენტი იმპერიის ამ უმძიმეს ჟამს სრულ უმოქმედობასა და აპათიას მისცემოდა. მას თითქოს არც ის ესმოდა, როგორ ღრიალებდა ხალხი ჰიპოდრომიდან: ბარბაროსები იმპერატორმა შემოუშვა და მანვე უნდა გადარეკოსო ლუნაის გადაღმა. ვალენტი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა შეიტყო, რომ გრაციანე უკვე მოეშურებოდა თავისი ლეგიონებით ბალკანეთისაკენ. ვალენტი აფუსფუსდა, მას არ სურდა ძმისწულისათვის გაეყო გამარჯვება, რის მოპოვებაშიც ეჭვი აღარ ეპარებოდა. იგი თვითონ ჩაუდგა არმიებს სათავეში და სასწრაფოდ დაიძრა მტრისკენ.

ბრძოლა მოხდა ქ. ადრიანოპოლთან, 378 წლის 9 აგვისტოს. იგი რომაელთათვის კატასტროფული გამოდგა. გოთთა და სარმატთა მრავალრიცხოვანმა კავალერიამ ბრძოლის დასაწყისშივე გაანადგურა ვალენტის ცხენოსნები. ფლანგებიდან გაშიშვლებული ლეგიონები ყოველი მხრით ისრების, შუბებისა და სათხედების სეტყვის ქვეშ მოექცნენ. რომაელთა არმიები თითქმის მთლიანად გაიჟლიტა. ბრძოლაში დაიღუპა ყველა დიდი და მცირე სარდალი (დაახლ. 40-მდე). დაიღუპა თვითონ იმპერატორი ვალენტი. ეს ტრაგედია ლიბანიოსმა თავის მწუხარე სიტყვაში ასახა.

გოთების კავალერია კონსტანტინოპოლის კედლებს მიადგა, მაგრამ გოთები მალე მიხვდნენ, რომ დიდი სატახტოს აღებაზე ფიქრიც კი იმჟამად სიბრიყვე იქნებოდა. მე შიშველ კედლებს არ ვებრძვიო, — ამ სიტყვებით დაიმშვიდა თავი გოთთა ბელადმა ფრიდიგერნმა და თავისიანები ბალკანეთის მიწა-წყალს საძარცვავად შეუსია.

4. გრაციანე და თეოდოსი

გრაციანე უკვე ბალკანეთზე გადმოსულიყო და ადრიანოპოლისაკენ მოეშურებოდა, როცა გზაზე შეიტყო რომაელთა დიდი მარცხისა და ბიძა-იმპერატორის სიკვდილის ამბავი. მან მაშინვე

აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ახალგაზრდა, მამაცი სარდალი თ ე ო დ ო ს ი, ვალენტინიანეს დროის ცნობილი მხედართმთავრის, უდანაშაულოდ დასჯილი თეოდოსის ვაჟი. 379 წელს გრაციანემ იგი აღმოსავლეთ იმპერიის ავგუსტუსად გამოაცხადა.

თეოდოსი, დიდი ტრაიანესა და ადრიანეს მსგავსად, ესპანეთის მკვიდრი იყო. მას ჭაბუკობიდანვე მიწის მუშაობაც უყვარდა, სწავლა-განათლებისკენაც მიილტვოდა და საომარ საქმეებზედაც გული ერჩოდა. მას შეეძლო ყველგან პოპულარობა მოეხვეჭა თავაზიანობით, სულგრძელობით, სიმამაცით, გონებაგამჭრიახობით და ბრწყინვალე ფიზიკური გარეგნობითაც. მაგრამ ყველა ხედავდა მისი თანამემამულის, სახელოვანი ტრაიანეს ჭეშმარიტ ორეულს.

თეოდოსიმ დასაწყისშივე გაამართლა იმპერატორისა და ხალხის იმედები. იგი გეგმაზომიერად, ზუსტი გაანგარიშებით, სდევნიდა ბალკანეთზე გაფანტულ გერმანელებს. აქ მან გამოიჩინა ბრწყინვალე დიპლომატიური ნიჭი. იგი წარმატებით ახერხებდა გოთთა შორის უთანხმოების, ქიშპისა და მტრობის ჩამოგდებას, მით უფრო, რომ იმჯერად ფრიდიგერნი უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო და სხვა მეთაურები ერთპიროვნულ ბელადობას ერთმანეთს აღარ უთმობდნენ.

381 წელს თეოდოსიმ თავის მხარეზე გადმოიბირა გოთების ყველაზე მნიშვნელოვანი მეთაური ა ტ ა ნ ა რ ი ხ ი. იგი კონსტანტინოპოლის სასახლეში მიიწვია, უხვად გაუმასპინძლდა და ძღვენით დატვირთა, მაგრამ მეფურ პატივდიდებაში მყოფი ბარბაროსი მალე გარდაიცვალა და თეოდოსიმ იგი დიდი ბრწყინვალებით დაკრძალა. ატანარიხის ამალას ძალიან მოეწონა ბელადისადმი ასეთი პატივისცემა და იგი მთლიანად „გულმოწყალე ხელმწიფის“ სამსახურში შევიდა. თეოდოსი უკვე იმასაც აღწევდა, გოთებს ერთიმეორე ეჟლიტათ: ბოლოს 386 წელს, თვითონ იმპერატორმა პირადი სარდლობით გაანადგურა ოსტგოთები დუნაის ქვემო წელზე.

გოთებთან ომი დამთავრდა, მაგრამ თეოდოსი კარგად ხედავდა, რომ მათთან საუკუნეების მანძილზე გაუსწორებელი ანგარიში ასე ხელის ერთი დაკვრითაც არ გასწორდებოდა. ამიტომ მან დამარცხებულ მტრებს შეუსრულა ის, რისთვისაც ისინი მტრობდნენ იმპერიას. გოთებმა უფლება მიიღეს დასახლებულიყვნენ აღმოსავლეთ იმპერიის ტერიტორიაზე. თეოდოსიმ ისინი მეზიის, თრაკიის, ლიდიისა და ფრიგიის დაცარიელებულ, ხანგრძლივი ომებისაგან ამოწყვე-

ტილ მიწებზე დაასახლა; სულ 40.000 გერმანულმა ოჯახმა დაიდო ბინა ბალკანეთზე და მცირე აზიაში. ისინი რომის იმპერატორის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, არმიაში ე. წ. მოკავშირე-ფედერატებად შედიოდნენ და თანაც საკუთარი ენით, ზნე-ჩვეულებითა და კანონებით ცხოვრობდნენ. რომის ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ მალე ეს „ბარბაროსები" რომაული ცივილიზაციის გავლენით ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ასიმილირებულ იქნებოდნენ. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა...

ამასობაში, დასავლეთში, ახალგაზრდა გრაციანემ თითქმის გული აიყარა სახელმწიფო და სამხედრო საქმიანობაზე. თუმცა იგი ნიჭიერი სტრატეგოსი, მამაცი მეომარი, ფრიად ზრდილი, განათლებული პოეტი, რიტორი და ხელოვნების დარგთა დიდი მცოდნე-მოყვარე იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანს ყველაფერზე ხელი აიღო და მხოლოდ და მხოლოდ ნადირობაში ასწორებდა დღესა და ღამეს. ნადირობა მანიად ექცა ავგუსტუსს. ისრის სროლა და ნიშანში ძგერება იყო მისი ერთადერთი სიამოვნების წყარო. სანადიროდ მიმავალს, თუ ნადირობიდან მომავალს ტყავისქურქიან ალანთა ამალა დასდევდა უკან; თვითონაც სკვითურ ტყავში გახვეული, ხელში სკვითური მშვილდ-ისრით აღჭურვილი, დაჰქროდა ცხენით ტყესა და ღრეში.

ბრიტანეთის ლეგიონებმა ისარგებლეს გრაციანეს უზრუნველობით, აჯანყდნენ და იმპერატორად გამოაცხადეს თავისი სარდალი მ ა ქ ს ი მ ე, თეოდოსის თანამემამულე და მისი მეტოქე.

მაქსიმე სასწრაფოდ გაეშურა გალიისაკენ, ქ. ლუტეციასაკენ, სადაც თითქმის ყოველთვის რეზიდენციად იდგა გრაციანე. ეს უკანასკნელი სამხრეთისაკენ გაიქცა — უნდოდა ჩრდილოეთ იტალიამდე ჩაესწრო და თავისი უმცროსი ძმისათვის, ვალენტინიანე II-ისათვის შეეფარებინა თავი. მაგრამ გრაციანემ იტალიამდე ვერ მიაღწია: ლუგუდუნის გალიის მმართველმა იგი მიიტყუა და მანამ შეაყოვნა, სანამ მაქსიმესგან გამოგზავნილი მდევარი გამოჩნდებოდა. მდევარმა გრაციანე შეიპყრო და თავი გაგდებინა (383 წ. 25 აგვისტო)

5. თეოდოსი დიდი

აღმოსავლეთ იმპერიის მბრძანებელმა, ავგუსტუსმა და იმპერატორმა თეოდოსიმ გრაციანეს სიკვდილის ამბავი თვითონ მაქსიმესაგან გამოგზავნილი წერილით შეიტყო. მაქსიმე დიდ მწუხარებას გამოთქვამდა გრაციანეს მკვლელობის გამო, რის შესახებაც თითქოს თვითონ არაფერიც არ იცოდა. თანაც იგი მოკრძალებითა და დაბეჯითებით სთხოვდა თეოდოსის, — ეცნო იგი დასავლეთის ხელმწიფედ. თან პირობას იძლეოდა, არ გაეუქმებინა მოკლული იმპერატორის არც ერთი ღონისძიება.

თეოდოსი

თეოდოსიმ ჯერხნობით ვერ გაბედა დაესაჯა უზურპატორი, რომელიც ძლიერ არმიებს მბრძანებლობდა. ამიტომ იძულებული გახდა ეცნო მაქსიმეს მბრძანებლობა გრაციანეს ყოფილ სამფლობელოებზე — ალპებს გადაღმა ქვეყნებზე. ხოლო ვალენტინიანე II-მ კვლავ შეინარჩუნა იტალია, აფრიკა და დასავლეთი ილირია.

იმპერიის უპირველესი, ფაქტიურად ერთპიროვნული მბრძანებელი მაინც თეოდოსი დიდი იყო. იმდროინდელი საყოველთაო

დაცემულობისა და კატასტროფული კრიზისის პირობებში, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების ყველა უბანზე მან თავისი კვალი დაამჩნია, ვითარცა რომის იმპერიის უკანასკნელმა ძლიერმა მბრძანებელმა.

თეოდოსიმ განსაკუთრებით ბევრი იზრუნა და გააკეთა ქრისტიანობისათვის. 383 წელს იგი მოინათლა და საბოლოოდ შეიქნა თავგამოდებული დამცველი ორთოდოქსალური ქრისტიანობისა. ამ დღეებიდან მან სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა წარმართობასაც და არიოზულ მწვალებლობასაც.

თეოდოსიმ დასავლეთ იმპერიაში, განსაკუთრებით, რომში, ძალაში დატოვა გრაციანეს ყველა რელიგიური განკარგულება, რაც აგრეთვე მიზნად ისახავდა წარმართობის დათრგუნვასა და ქრისტიანობის გაბატონებას. მან რომში ყოველ ტაძარსა და ქუჩაში გაანადგურა წარმართული კერპები, წარმართული რიტუალნი, ზორვანი და მკითხაობანი.

რელიგიურ მოტივებზე დაიწყო ბრძოლა, აგრეთვე, მედიოლანის მბრძანებელთა შორის. აქ ფაქტიური ხელისუფალი იყო მცირეწლოვანი ვალენტინიანეს დედა, ი უ ს ტ ი ნ ა, თავგამოდებული მიმდევარი არიოზისა. იუსტინას სასტიკი ბრძოლა მოუხდა მედიოლანის ეპისკოპოს ა მ ბ რ ო ს ი ს თ ა ნ, სახელგანთქმულ ორთოდოქსალურ მქადაგებელთან და დოგმატიკოსთან. მან არც ერთი ტაძარი არ დაუთმო იუსტინას არიოზული ღვთისმსახურებისათვის. მედიოლანი რელიგიური ბრძოლის ცენტრად გადაიქცა. ხალხის დიდი უმრავლესობა ამბროსის მხარეს იდგა.

მედიოლანში შექმნილი გართულებებით ისარგებლა ჩრდილოეთის იმპერატორმა მაქსიმემ. მას უნდოდა ხელში ჩაეგდო ვალენტინიანეს სამფლობელოებიც და ამ მიზნით და მართლმადიდებლობის დაცვის საბაბით, დიდი არმიით დაიძრა ჩრდილოეთ იტალიისაკენ. მან ფულისა და მახვილის ძალით დაიპირა ყველა გასასვლელები ალპებზე და შეუჩერებელი მარშით შეიჭრა მედიოლანში. ამბროსი უზურპატორთან აშკარა კავშირს განერიდა, მაგრამ კათედრიდან ხალხს განუცხადა, რომ საჭიროა მორჩილება ღვთის ნების წინაშე. იუსტინა თავისი შვილებით (ვაჟი ვალენტინიანე, ასული გალა) მედიოლანიდან გაიქცა, ჯერ აქვილეაში, შემდეგ ზემო პანონიაში. გაქცევისთანავე მან თეოდოსისთან შიკრიკები აფრინა შემწეობის თხოვნით. მაქსიმე ფეხდაფეხ მოსდევდა ლტოლვილთ. თეოდოსიც სასწრაფოდ გაეშურა პანონიისკენ. აქ იგი შეხვდა გამოქცეულებს. იმპერატორი დაატყვევა იუსტინას ასულის, გალას სიმშვენიერემ და აქვე გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა (მეორე ქორწინებით).

388 წლის აგვისტოში, პანონიაში, თეოდოსიმ სასტიკად დაამარცხა მაქსიმეს ჯარები. მაქსიმე იტალიაში გაიქცა. თეოდოსიც დაედევნა. აქვილეაში უზურპატორი მისმავე ჯარისკაცებმა შეიპყრეს და თეოდოსის თვალწინ ყელი გამოსჭრეს. მოკლულის ოჯახი შეწყალებული იქნა.

თეოდოსიმ ვალენტინიანე, ამჯერად მისი ცოლისძმა, მედიოლანში მიიყვანა და დასავლეთ იმპერიის ტახტზე დასვა.

ვალენტინიანემ ადრეულ ჭაბუკობაში ფეხის შედგმისთანავე გარყვნილებას და მცონარობას მისცა თავი, ამიტომ დედა იუსტინას სიკვდილის (391 წ.) შემდეგ მისი რეგენტობა იკისრა ეპისკოპოსმა ამბროსიმ, რომელმაც შეძლო კიდეც თავისი მოწაფის შეყენება ხელმწიფური ღირსების გზაზე. მაგრამ ვალენტინიანეს აღარ დასცალდა ხელმწიფურ საქმეთა აღსრულება. მის წინააღმდეგ შენიღბულად მოქმედებდა ილირიული ლეგიონების მთავარსარდალი ა რ ბ ო გ ა ს ტ ი, მამაცი და მოხერხებული ფრანკი, რომელმაც ბოლოს შეძლო კიდევაც ვალენტინიანე გალიაში, ქალაქ ვიენაში გაეტყუებინა. აქ იმპერატორი მიხვდა, რომ მთელი ჩრდილოეთი ფაქტიურად არბოგასტს ემორჩილებოდა. ვალენტინიანემ აშკარად გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება და სიფიცხე: საზეიმო შეკრების დროს მან თავის ხელით გადასცა ბრძანება მთავარსარდლობიდან არბოგასტის გადაყენების შესახებ. არბოგასტმა ეტრატი უკანვე ფეხებში მიუგდო და მძულვარედ შესძახა: „ჩემი ძალა ხელმწიფის ღიმილსა და წუხილზე არ გახლავს დამოკიდებული“.

განრისხებულმა იმპერატორმა იქვე მცველს მახვილი ამოაძრო. მაგრამ აღმართვაც ვერ მოასწრო, ისე შეუკრეს ხელ-ფეხი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავის ოთახში იპოვეს მკვდარი (392 წ. 15 მაისი). არბოგასტმა და მისიანებმა ხმა გააგრცელეს, რომ თითქოს იმპერატორმა თავის ხელით მოიკლა თავი. მისი ცხედარი მედიოლანში გადაასვენეს და დიდის ამბით დაკრძალეს. ამბროსიმ დიდი, პანეგირისტული სიტყვით მიმართა უბედურ ხელმწიფეს.

არბოგასტმა, როგორც მკვლელმა და ბარბაროსმა, ვერ გაბედა მედიოლანის ტახტის დაჭერა; ამიტომ მან დასავლეთის იმპერატორად გამოაცხადა თავისთვის სასურველი კაცი, ე ვ გ ე ნ ი ო ს ი, ცნობილი რიტორი და კვესტორი, უაღრესად განათლებული და ნიჭიერი კაცი.

ევგენიოსმაც ელჩები აფრინა თეოდოსისთან და დასავლეთის იმპერატორობაზე დასტური ითხოვა. თეოდოსიმაც საჩუქრები გაუგზავნა, მაგრამ თხოვნაზე გადაჭრით არაფერი უპასუხნია.

ევგენიოსი ორი წელი (392—394 წწ.) იჯდა მედიოლანის ტახტზე.

ბოლოს თეოდოსიმ შეიწყნარა მეუღლის გაუთავებელი მუდარა ძმის სისხლის აღებაზე და ჯარები დაძრა დასავლეთისაკენ.

394 წ. ჩრდილოეთ იტალიაში, აქვილეის მახლობლად, გაიმართა საშინელი ბრძოლა. მოწინააღმდეგენი ღამემ გაჰყარა. მეორე დღის დადგომისთანავე კვლავ ეძგერნენ ერთურთს. ბრძოლის სასწორი დიდხანს ქანაობდა. ბოლოს, როცა არბოგასტს ზოგიერთმა სარდალმა უღალატა და უეცრად ამოვარდნილმა გრიგალმაც მტვრის ღრუბლები მისი არმიის პირისპირ დაატრიალა. გამარჯვების კვერთხი თეოდოსის ერგო. ევგენიოსი მაშინვე დაჩეხეს, როგორც კი იგი იმპერატორს ფეხებში ჩაუვარდა შეწყალების თხოვნით. არბოგასტი რამდენიმე დღეს მთებს აფარებდა თავს და ბოლოს იმანაც მახვილი დაიკრა გულში.

თეოდოსი დიდი მთლიანად რომის იმპერიის განუყოფელი მბრძანებელი შეიქნა (394 წ.).

მაგრამ თეოდოსის ერთხელმწიფობაც აღარ გაგრძელებულა დიდხანს. 395 წლის იანვარში იგი გარდაიცვალა მედიოლანში.

სიკვდილის წინ უკანასკნელმა დიდმა ხელმწიფემ რომის იმპერია თავის ორ შვილს გაუყო: აღმოსავლეთი 18 წლის ა რ კ ა დ ი უ ს ს, დასავლეთი 11 წლის ჰ ო ნ ო რ ი უ ს ს.

ამიერიდან (395 წ.) რომის იმპერია აღარ გაერთიანებულა.

დასაწყისი აღსასრულისა

1. არკადიუსი და ჰონორიუსი

მაშ, რომის იმპერია თეოდოსის შვილების ხელში ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ასე შედგა ფეხი დიდმა მსოფლიო სახელმწიფომ მისთვის საბედისწერო მე-5 საუკუნეში.

აღმოსავლეთის მბრძანებელი — უნიჭო, უქნარა, უზნეო და უნებისყოფო ა რ კ ა დ ი უ ს ი — კონსტანტინოპოლის სასახლეში უზრუნველ ცხოვრებას მისცემოდა, სახელმწიფო საქმეები კი ხელთ ჩაეგდო მედროვე რ უ ფ ი ნ უ ს ს, წარმოშობით გალს, ადრე თეოდოსისთან გაშინაურებულ კაცს (გვარდიის უფროსი), რომელსაც ნიჭიერება და მოხერხება არ აკლდა, მაგრამ უაღრესად ხარბი, ანგარი, ბოროტი და სასტიკი მიზანთროპი იყო.

დასავლეთშიც, რომში, ხელმწიფე ერქვა ასევე უნიჭო, უმაქნის ავადმყოფურ ბიჭუნას — ჰ ო ნ ო რ ი უ ს ს, ხოლო ფაქტიური გამგებელი აქაც იყო მედროვე, სახელად ს ტ ი ლ ი ხ ო ნ ი, წარმოშობით ვანდალი, ნიჭიერებით და სიმამაცით რჩეული, გარეგნობით ახოვანი, მომხიბლავი ვაჟკაცი.

ძმებს, არკადიუსს და ჰონორიუსს, ერთმანეთი ჭირის დღესავით სძაგდათ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთმანეთს მტრობდნენ.

ფაქტიურ მმართველებს, რუფინუსსა და სტილიხონსაც, აგრეთვე, ერთმანეთი სძულდათ და მუდამ ერთიმეორის წინააღმდეგ იყვნენ შემართულნი.

რუფინუსს სურდა არკადიუსი თავის დაზე დაექორწინებინა და. ამით სასახლის კარზე საკუთარი მდგომარეობა კიდევ მეტად განემტკიცებინა, მაგრამ იმ დროს, როცა რუფინუსი ანტიოქიაში წავიდა იქაურ მცხოვრებთა ასაწიოკებლად, სასახლის გამგებელმა, საჭურისმა ე ვ ტ რ ო პ ი უ ს მ ა (რომელიც, აგრეთვე, ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ იმპერატორის მოქცევას) არკადიუსს აჩვენა ფრანკი სარდლის ასული ევდოქსია. იმპერატორს მართლაც ძალიან მოეწონა მშვენიერი ქალი. . როცა რუფინუსი დაბრუნდა, დაინახა,

რომ მისი გეგმები იშლებოდა და სიკვდილის საფრთხეც ემუქრებოდა. სწორედ ამ დროს ვესტგოთებმა განაახლეს შემოტევები. ამბობდნენ, რომ ისინი რუფინუსმა ააჯანყაო.

სტილიხონმა იტალიიდან სასწრაფოდ გაგზავნა ჯარები აღმოსავლეთით. ერთ-ერთმა სარდალმა, გოთმა გ ა ი ნ ა მ, ალბათ სტილიხონის დავალებით, მოაწყო რუფინუსის მკვლელობა. კონსტანტინოპოლში, სასახლის წინ, გაინასგან წაქეზებულმა მეომარმა არკადიუსის გვერდით მდგარ რუფინუსს მახვილი აძგერა და ძირს მკვდარი დააგორა (395 წ. 27 ნოემბერი). არკადიუსს შიშისაგან კრინტიც არ დაუძრავს. მოკლულს არც სხვა ვინმე გამოქომაგებია. ხალხი მას აღტაცებული ყიჟინით მიეხვია, ქუჩა-ქუჩა ათრია და ბოლოს ზღვაში ისროლა.

სტილიხონი, რომელსაც დასავლეთში, სასახლეშიც, ჯარშიც და ხალხშიც დიდი გავლენა ჰქონდა, ამაოდ ვარაუდობდა, რომ ასეთსავე გავლენას აღმოსავლეთშიც მოიპოვებდა. არკადიუსს ცბიერი ევტროპიუსის მლიქვნელობა და მაამებლობა უფრო მოსწონდა, ვიდრე სტილიხონის ჭკუადამჯდარი სიდარბაისლე და მკაცრი სერიოზულობა. ევტროპიუსმა სტილიხონისგან გაინას გადაბირებაც კი მოახერხა. ეს უკანასკნელი მან არკადიუსს აღმოსავლეთის მთავარსარდლად დაანიშვნინა და ამრიგად თავისი მდგომარეობა განიმტკიცა. ევტროპიუსი იმპერატორზე სხვა გზითაც ახერხებდა ზეგავლენას. მას ეხმარებოდა ევდოქსია, რომელსაც თითქმის დამონებული ჰყავდა უნებისყოფო ქმარი.

საჭურისის თავგასული მმართველობა ოთხი წელი გაგრძელდა კონსტანტინოპოლში. ბოლოს მის წინააღმდეგ ამოქმედდა გაინა, რომელიც ძალზე შეეშფოთებინა ერთ დროს მისი კეთილისმყოფლის აღზევებას. გაინამ ფრიგიაში იმ დროს მომხდარი გოთების აჯანყება ევტროპიუსს დააბრალა, თან დედოფალი ევდოქსიაც მიიმხრო და საშიში მედროვე სასიკვდილოდ გაიმეტეს. ევტროპიუსმა ეკლესიაში შეასწრო, მერე ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს შუამდგომლობით ერთხანს სიცოცხლეც შეინარჩუნა, მაგრამ ბოლოს მაინც გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს (399 წ.).

მალე გაინაც ჩამოშორდა ასპარეზს. ამის მიზეზი შეიქნა შეტაკება კონსტანტინოპოლში არიოზელ გოთებსა და ორთოდოქსალ მეომრებსა და მოქალაქეთა შორის. გაინა დუნაიზე გადავიდა და ჰუნებთან შეტაკებისას დაიღუპა (404 წ.)

2. ჰონორიუსი და თეოდოსი II

408 წელს არკადიუსი გარდაიცვალა და აღმოსავლეთის იმპერატორად გამოცხადდა შვიდი წლის თ ე ო დ ო ს ი II. სახელმწიფოს რ წლის მანძილზე ფაქტიურად განაგებდა პრეფექტი ა ნ თ ი მ ო ზ ი, რომელმაც შეძლო კიდეეაც შედარებით უკეთესი წესრიგისა და სიმტკიცის აღდგენა.

მის შემდეგ ქვეყანას მართავდა თეოდოსის უფროსი და პ უ ლ ხ ე რ ი ა, ერთადერთი ნიჭიერი და საქმიანი ადამიანი თეოდოსი დიდის შთამომავლობაში. ახალგაზრდა იმპერატორის ნიჭი ლოცვაში, კალიგრაფიაში, ნადირობასა და ხელით გამზადებულ სახელმწიფო საბუთებზე ხელის მოწერაში ამოიწურებოდა.

421 წელს, 20 წლის თეოდოსი პულხერიამ დააქორწინა ათენელი ფილოსოფოსის, ლეონტის ასულზე, ლამაზ ა თ ე ნ ა ი დ ა ზ ე, რომელმაც ნათლობის შემდეგ მიიღო სახელი ევდოკია. ეს იყო ფრიად განათლებული, ნიჭიერი, პოეტური ტალანტის მქონე ქალი. ბოლოს და ბოლოს რძალ-მულს შორის იმპერატორზე გავლენისათვის განხეთქილება მოხდა. პულხერია პირველობას არ თმობდა. ქალთა შორის პირველობის საკითხი გადაწყვიტა ერთმა ინცინდენტმა: თეოდოსიმ ცოლს ვაშლი გაუგზავნა; მერე ეს ვაშლი იმპერატორის უახლოესი კაცის, ახოვანი და მომხიბლავი პ ა უ ლ ი ნ ი ს ხელში აღმოჩნდა. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეთქვათ: ევდოკია პაულინის საყვარელიაო. ევდოკია იძულებული გახდა სასახლე დაეტოვებინა და იერუსალიმში მონაზვნად წასულიყო. სახელმწიფოს ფაქტიური ბატონ-პატრონი ისევ პულხერია შეიქნა.

422 წელს მცირე მასშტაბის ომი ატყდა კონსტანტინოპოლის იმპერიასა და სპარსეთს შორის. იგი დამთავრდა იმით, რომ სომხეთში ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა არშაკიდების უკანასკნელი წარმომადგენელი, ხოლო სომხეთი დიდმა მხარეებმა ერთმანეთში გაიყვეს.

ამასობაში სტილიხონი ყოველი საშუალებით ცდილობდა გაწემტკიცებინა და გაეძლიერებინა დასავლეთის იმპერია.

უპირველეს ყოვლისა, მას საომარი ღონისძიებების გატარება დასჭირდა აფრიკაში, სადაც თორმეტი წლის მანძილზე განაგებდა თეოდოსი დიდის წყალობით დაწინაურებული გ ი ლ დ ო ნ ი, ადრე მოკლული (373 წ.) უზურპატორის, ფირმუსის ძმა.

გილდონმა მთელი აფრიკა გაძარცვა, გაყვლიფა და გააჩანაგა. მის ანგარებას, მძარცველობას და ლაგამაყრილ გარყვნილებას ბოლო არ უჩანდა. მასზე ამბობდნენ: გილდონის შიშით დღისით მდი-

დარი ადამიანები ცახცახებდნენ, ღამით — ქმრები და მშობლებიო. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ატეხილ კონფლიქტებშიც გილდონს ნეიტრალური პოზიცია ეჭირა, თითქოსდა, მართლაც დამოუკიდებელი ხელმწიფე ყოფილიყო. რომის ხელისუფლებას ესეც აშინებდა, ვაი თუ ცბიერმა ევტროპიუსმა გილდონი აღმოსავლეთისაკენ გადაიბიროს და რომმა აფრიკა, უპირველესი პურის ბეღელი, დაჰკარგოსო.

ერთი სიტყვით, აფრიკაში ლაშქრობა გარდაუვალი შეიქნა. სტილიხონმა გილდონი სამშობლოს მტრად გამოაცხადა და აფრიკაში სალაშქროდ გალთა ლეგიონები შეკრიბა. მეთაურად დანიშნა მავრიტანელი მ ა ს კ ე ზ ე ლ ი, რომლისთვისაც გილდონს ორი შვილი უდანაშაულოდ მოუკლავს და მას შემდეგ იგი შურისგების ცეცხლით იწვოდა.

ბრძოლა აფრიკაში მოხდა 398 წელს. მასკეზელი და მისი ლეგიონები იბრძოდნენ გააფთრებით. გილდონს რიცხობრივმა უპირატესობამ ვერ უშველა; მას დასაწყისშივე ბევრმა უღალატა და მოწინააღმდეგეს ჩაბარდა; გილდონი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. აქ მან წამებას და შეურაცხყოფას დაასწრო და თავი მოიკლა. ყველა მისი მიმდევარი რომაელებმა საშინელი წამებით დახოცეს.

მალე უეცრად დაიღუპა იმ დღეთა გმირი მასკეზელი. იგი ხიდზე მისეირნობდა სტილიხონის გვერდით. უეცრად ფეხი დაუცდა და მდინარეში გადავარდა. მიშველება ვერავინ გაბედა, რადგან სტილიხონის სახეზე სიამოვნების გამომხატველი ბოროტი ღიმილი აღბეჭდილიყო. მავრიტანელი დაიხრჩო.

398 წელს ჰონორიუსმა ცოლად შეირთო მ ა რ ი ა, სტილიხონისა და პირმშვენიერი სერენას ასული. პოეტმა კლავდიანემ დიდი სახოტბო ლექსებით შეაქო ეს ქორწინება. მაგრამ ხოტბა ქალისთვის ბედის ბოროტ დაცინვად იქცა: ჰონორიუსი მამაკაცურადაც ისევე უძლური იყო, როგორც გონებით და მარია ქორწინებიდან ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა როგორც ქალწული.

ერთი სიტყვით, დასრულდა რომაელთა ბატონობის ეპოქა და ევროპაში აღზევდნენ „ბარბაროსები“.

8. ალარიხი და სტილიხონი

აჰა, ასპარეზზე გამოდის კაცი, რომელსაც ფორტუნამ მსოფლიო მნიშვნელობის როლის შესრულება უნდა დააკისროს. ესაა ახალგაზრდა გერმანელი სარდალი ა ლ ა რ ი ხ ი. ნიჭიერი, მამაცი და შემმართებელი. ვესტგოთები სწორედ მის გარშემო ერთიანდებიან.

ალარიხის გეგმები ორივე იმპერიის ერთხელ და სამუდამოდ განადგურებას და დაუფლებას ითვალისწინებდა.

396 წელს ალარიხმა თავისიანები თრაკია-მეზიის მიწებიდან დედაბუდიანად აჰყარა და საომარი გრგვინვით სამხრეთისაკენ დასძრა. ვესტგოთებმა ცეცხლითა და მახვილით გადათქერეს მაკედონია და თესალია, გაიარეს თერმოპილეს ხეობა (სადაც ოდესღაც სამასი სპარტელი უზარმაზარ სპარსულ არმიას აკავებდა) და კალიასავით მოედვნენ ბეოტიას, ატიკას, მთელს შუა საბერძნეთს. აქედან გადაიარეს კორინთოს ყელი და გაანადგურეს პელოპონესი. გერმანელები დაუბრკოლებლად მიეცნენ თავიანთ სტიქიას: ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, სწვავდნენ სოფელ-ქალაქებსა და კულტურის ძეგლებს, ჟლეტდნენ მამაკაცებს, იტაცებდნენ ქალებს და ბავშვებს.

ასეთი დღეები საბერძნეთს არ მოსწრებია. კონსტანტინოპოლის უძლური მთავრობა გულხელდაკრეფილი უცქერდა მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის დაქცევასა და ამოგდებას.

საბერძნეთს უკვე, დიდი ხანია, აღარ ჰყავდა თემისტოკლე და ლეონიდე, პერიკლე და ალკიბიადე, მის მხსნელად მოვიდა ისევ ბარბაროსი სტილიხონი. მან რომაული ჯარები გადმოსხა კორინთოს ყელზე და ცენტრალური პელოპონესისკენ დაიძრა. აქ არკადიაში, რამდენიმე მცირე მასშტაბის შეტაკება მოხდა გერმანელებსა და რომაელებს შორის. გენერალური ბრძოლა უნდა მომხდარიყო ელიდაში, ტრადიციული ოლიმპიადების სამშობლოში. აქ დაბანაკდნენ ვესტგოთები. სტილიხონმა ალყა შემოარტყა და ღრმა თხრილები შემოავლო მტრის ბანაკს, მაგრამ ერთ ღამეს ალარიხმა რომაელთა უყურადღებობით ისარგებლა, ალყა გაარღვია და სრუტის გადალახვით ეპირში გააღწია. სტილიხონმა თითქოს განგებ არ შეუშალა ხელი მტრისაკენ მტრის უკან დახევას.

397 წელი იდგა. მოხდა სავსებით მოულოდნელი: ეპირში ახლად გადასული ალარიხი კონსტანტინოპოლის ხელისუფლებამ აღმოსავლეთ ილირიის მთავარსარდლად და მისგანვე ნაცარტუტად ქცეული ბალკანეთის მმართველად დანიშნა! ასე გასცეს პასუხი აღმოსავლეთის იმპერატორის კარზე მყოფმა საჭურისებმა სტილიხონის ჩამოსვლას საბერძნეთში!

ერთი სიტყვით, ბარბაროსთა იღბლიან ბელადს ყველაფერი მისცეს, რისთვისაც იბრძოდა იგი მის ხალხთან ერთად, — და ყველაფერი ეს მიიღო მისგან, ვისაც სისხლხორცეულად ემტერებოდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდა.

ალარიხმა ერთ მთლიან, მკვრივ მასად შეჰკრა მთელ აღმოსავლეთ იმპერიაში გაფანტული გერმანელები; შეაკავშირა, შეაიარაღა

და გადამწყვეტი შეტევისათვის შეაჩერდა. ვესტგოთებმა ალაგვაზრდა ბელადი ფარზე შესვეს, ზეცისკენ აღმართეს და იარაღის ელარუნითა და აღტაცებული ღრიალით მეფედ გამოაცხადეს.

მაშ, მსოფლიო იმპერიის ცენტრალურ ხერხემალზე მესამე მბრძანებელი იდგა: მსოფლიო მბრძანებლობის ყველაზე რეალური კანდიდატი.

აღმოსავლეთში მტკიცედ ფეხმოკიდებული ალარიხი მთელი ძალებით გაეშურა იტალიისაკენ. ან იტალიაში ჩემი სახელმწიფო უნდა დავაარსო, ან უნდა მოვკვდეო, — იქადნიდა იგი.

402 წელს გოთებმა ადრიატიკს გადაუარეს და ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრნენ; ალყაში მოაქცეს აქვილეია, ააოხრეს ვერონის მიდამოები, გადაწვეს სოფლები, იავარქმნეს მდიდრული ვილები, კაჩეხეს ტყეები და ბაღ-ვენახები.

სტილიხონი ჩრდილოეთში იყო წასული, ლეგიონთა ჩამოსაყვანად რეინიდან, გალიიდან და ბრიტანეთიდან. სანამ ის დაბრუნდებოდა, ალარიხი მიუახლოვდა მედიოლანს, სადაც იმჟამად იმყოფებოდა იმპერატორის სასახლე და საბჭოული. შიშით ატანილი ჰონორიუსი თავისიანებით ალპებისაკენ გაიქცა, გალიაში თავშესაფარებლად, მაგრამ გერმანელებმა ჩრდილოეთისაკენ ნიმავალი გზა ვადაუჭრეს და უმწეო იმპერატორმა ძლივს შეასწრო ციხე-სიმაგრე ასტაში (ლიგურიაში). გერმანელებმა ალყა შემოარტყეს მას.

სწორედ დროზედ მოუსწრო სტილიხონმა. იგი სწრაფი მარშით მოიჭრა ჩრდილოეთიდან და ასევე სწრაფად დაიწყო ალყის შემორტყმა ასტის მოალყეების გარშემო. ალარიხმა იფიქრა, რომ მას აქაც ისეთივე საფრთხე ელოდა როგორც პელოპონესში გადახდა სტილიხონისაგან. ამიტომ იგი ასტას გაშორდა. სტილიხონიც კვალდაკვალ მიჰყვა და იქვე, ლიგურიაში, ქალაქ პოლენციასთან, 403 წლის 29 მარტს, პასქის დღესასწაულს, მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ გენერალურ ბრძოლაში.

ბრძოლა დაიწყო საოცარი თავგანწირვით ორივე მხრიდან. სტილიხონის კავალერიის მოწინავე ნაწილი, ალანთა ცხენოსანი ჯარი, მაშინვე უკუიქცა, როგორც კი მათი ბელადი გერმანელის ხელით განგმირული დაეცა ძირს. მაგრამ ვეტერან ლეგიონთა სიმტკიცემ და სტილიხონის პირადმა სიმამაცემ ბრძოლის ბედი სწორედ მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. მზის ჩასვლისას ალარიხმა უკანდახევა უბრძანა თავისიანებს. გერმანელთა მდიდარი ნადავლი, საბერძნეთიდან წამოღებული ნაძარცვი, სტილიხონის მეომრებმა ჩაიგდეს ხელში. ტყვედწამოყვანილთა შორის ალარიხის ცოლიც აღმოჩნდა

ამ გამარჯვებამ დიდი გავლენა მოახდინა იმპერიაზე. ხალხმა აღიარა პოეტ კლავდიანეს შედარება: სტილიხონი იგივეა, რაც იყო გაიუს მარიუსი, იტალიის მხსნელი გერმანელთა შემოსევისაგან.

მაგრამ თუ მარიუსის დროს გერმანელები ან ჩახოცეს, ან იტალიაში მონის ბორკილებით დაბორკილნი წაიყვანეს, ალარიხმა აპენინის მთების გადალახვა მოახერხა, ეტრურიაში შეიჭრა, მთელი ცენტრალური იტალია, თითქმის რომამდე, სულ ერთიანად მოარბინა და მდიდარი ნაძარცვით დატვირთული უკანვე გაბრუნდა.

სტილიხონი არ ცხრებოდა. იგი კვლავ ფეხდაფეხ გამოუდგა მტერს, ქალაქ ვ ე რ ო ნ ა ს თ ა ნ წამოეწია და ახალ სისხლისმღვრელ შეტაკებაში კიდევ ერთჯერ დაამარცხა იგი (403 წლის შემოდგომა).

ალარიხი ილირიაში დაბრუნდა და რევანშისათვის ახალ ხელსაყრელ მომენტს დაუწყო ლოდინი.

რომმა უკანასკნელად იხილა და იგემა ტრიუმფი, გამოსათხოვარი ტრიუმფი. სტილიხონი, იტალიის მხსნელი, თავის ცოცხალმკვდარ სიძე-იმპერატორთან ერთად ტრიუმფატორის ინსიგნიებით მოკაზმული, ტრიუმფატორის ეტლით შეეიდა „ძარადიულ ქალაქში". საზეიმო სვლის დასასრულს ცირკში გლადიატორთა დიდი ბრძოლა იყო დანიშნული. ნაყოფი არ გამოიღო ქრისტიან მამათა აღშფოთებულმა პროტესტებმა; სანახაობის გახსნისთანავე აზიიდან ჩამოსული ვიღაც ბერი არენაზე გადანტა და უკვე მახვილებით ერთიმეორისკენ დაძრულ გლადიატორებს შუაზე ჩაუვარდა. ცირკი ერთბაშად გაიყინა, მაგრამ ძველრომაულმა ინსტინქტებმა რომაელები ერთბაშადვე გამოარკვია: ბერი იქვე ქვებით ჩაქოლეს. ესეც გლადიატორთა უკანასკნელი ბრძოლა იყო რომში.

ტყვეობის საფრთხით ძრწოლამოსილმა ჰონორიუსმა 404 წელს თავი შეაფარა ყველაზე საიმედო ციხე-სიმაგრეს, ზღვისპირა ქალაქ რავენას. იგი მალე დარწმუნდა თავისი არჩევანის სისწორეში.

405 წელს იტალია ისევ შეარყია საომარი საჭურვლის ზარდამცემმა ჟღრიალმა. ჰუნებისაგან შევიწროებულ გერმანელთა ახალი ტალღები გადმოიჭრნენ შუა დუნაიზე, აქედან ალპებზე, ალპებიდან იტალიაზე. მოდიოდნენ ვანდალები, ბურგუნდები, სვევები, გოთები და ალანები; წინ მოუძღოდათ ბელადი რ ა დ ა გ ა ი ს ი, წარმოშობით ოსტგოთი. მოდიოდნენ ოჯახებით, დედაბუდიანად, საშინელი ღრიანცელით, გნიასით, ველური სიმღერებით, ხორხოცით და წივილ-კივილით. რადაგაისს გერმანელ ღმერთთათვის ფიცი ადუცია, რომ რომაელ სენატორებს მათსავე საკურთხეველებზე ყელებს დაჭღადრავდა.

იტალიის ერთდაერთი იმედი ისევ ვანდალი სტილიხონი იყო. მან ერთჯერ კიდევ ფეხზე დააყენა იარაღით დაფლეთილი ქვეყანა. თავისუფალი მოსახლეობა საკმარისად არ ჩათვალა და მონები თავისუფლების მინიჭების აღთქმითა და ორ-ორი ოქროს მონეტის დარიგებით ჩააყენა ლაშქარში. მაგრამ, ვაი თუ ალარიხი ისარგებლებდა სტილიხონის ძძიმე მდგომარეობით და სწორედ ახლა დაიძვრებოდა სარევანშოდ იტალიისკენ. სტილიხონმა ესეც ინიშნა და მეტოქესთან დიდძალი ძღვენით დატვირთული ელჩები აფრინა. ზავს სთავაზობდა და ამის საფასურად ყოველწლიური ხარკის (4.000 გირვანქა ოქრო) მიცემასაც აღუთქვამდა. ალარიხი დათანხმდა.

ბარბაროსთა ურდოებმა აპენინის მთები გადმოლახეს და ფლორენციის კედლებს მოაწყდნენ. ფლორენციელები მედგრად დაუბვდნენ მტრებს. სტილიხონმაც მოუსწრო ლაშქრით. მან ისევ ნაცად ხერხს მიმართა: მტრის ბანაკის გარშემო, ეტრურიის მცხოვრებთა დახმარებით, თხრილების შემოვლება დაიწყო და, მოწინააღმდეგის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეძლო მისი ალყაში მოქცევა. შიმშილმა, ეპიდემიამ და შუბ-ისართა განუწყვეტელმა სეტყვამ მუსრი გაავლო ალყაში მოქცეულებს.

ამრიგად, 406 წელს, ფლორენციასთან გამართული ბრძოლაც სტილიხონმა მოიგო, რადგანაც ტყვედ ჩაიგდო და თავი გააგდებინა. მისი 12.000 რჩეული მეომრისაგან შემდგარი გვარდია თვითონ ჩაბარდა სტილიხონს. ათასობით გერმანელი ჩალის ფასად გაიყიდა. მაგრამ ფლორენციის ბრძოლიდან მაინც ბევრი გერმანელი წავიდა უვნებლად. სტილიხონს თვითონ უჩვენებია მათთვის გზა ალპებსგადაღმა გადასასვლელად, რამეთუ მათთან ხელახალი შერკინებით სასწორზე არ დაედო ბრწყინვალე გამარჯვების ბედი.

სტილიხონი სახალხო გმირად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ის ხომ მაინც ბარბაროსი იყო. ის კი არა და, თავის დროზე, იტალიელებმა საკუთარი ღვიძლი შვილიც არ დაინდეს — გაიუს მარიუსი, იტალიელი და იტალიის მხსნელი. ამ ძძიმე დროში რომს აღარც მარიუსები ჰყავდა, აღარც სულები და აღარც კეისრები; მაგრამ საკმარისზე მეტი ჰყავდა მოშურნენი, მოქიშპენი, ცილისმწამებელნი, ცრუპატრიოტები, ინტრიგანები, პროვოკატორები.

და ასეთი ადამიანები აღსდგნენ ქვეყნის მხსნელის წინააღმდეგ. მათ ხელზე დაიხვიეს სტილიხონის კავშირი ალარიხთან. ამასთან დაკავშირებით სენატის სხდომაზე ერთმა სენატორმა, ლამპადიუსმა, რყვირა: ეს კავშირი კი არა, იმპერიის მონად გაყიდვაა. ხმები გაავრცელეს, ალარიხთან ზავის შეკვრით სტილიხონს სურს მთელს რომის იმპერიაში თავისი „ბარბაროსული თესლი“ გაბა-

ტონოსო. უნებისყოფო და უნიათო ჰონორიუსი დაარწმუნეს, სტილიხონი შენ ჩრდილს გაუენებს, საფრთხეს გიქმნის, შეთქმულებას გიმზადებს. იმპერატორობას გართმევს, ტახტისათვის თავის შვილს ევხერიუსს ამზადებსო და სხვ.

ჰონორიუსმა ჭორი ყურად იღო. იგი პავიაში წავიდა, სამხედრო ბანაკში და აქ მისი დასტურით შეთქმულებმა ერთბაშად ამოწყვიტეს სტილიხონის მომხრენი და ერთგული თანამებრძოლნი. თვითონ სტილიხონი ბონონიაში იყო, როცა ეს ამბები შეიტყო. იგი შეთქმულებს გაექცა და რავენაში ეკლესიას შეაფარა თავი. მას სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვეს და გარეთ გამოიტყუეს; ჩასაფრებული მკვლელები გარს შემოერტყნენ და მახვილები დაუშინეს. იგი სიკვდილს შეხვდა მდუმარედ, მშვიდად, აუღელვებლად. ეს მოხდა 408 წლის 23 აგვისტოს. მოკლეს მისი ვაჟი ევხერიუსიც. სასახლიდან გააძევეს მისი მეორე ასული ტერმანცია, რომელიც მეორე ცოლად (მისი დის, მარიას სიკვდილის შემდეგ) ჰყავდა ჰონორიუსს. დევნილი იქნა პოეტი კლავდიანეც, სტილიხონის მეხოტბე.

ასე მოიშორა რომმა საკუთარი თავის გადარჩენის ყველაზე ბასრი იარაღი.

4. ისევ ალარიხი

რომის ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ სტილიხონის სიკვდილით ალარიხს საომარ ხელთათმანს ესროდა. ამას უნდა მიმხვდარიყო მაშინვე როგორც კი ვესტგოთთა ბელადმა სტილიხონის მკვლელობის გამო დიდი სინანული გამოთქვა, თავი მის დიდ მეგობრად გამოაცხადა და სიკვდილს გადარჩენილი მისი მომხრეხიც თავის ბანაკში შეიფარა.

რომის ხელისუფლებამ ალარიხს ხარკის მიცემაც სტილიხონის დამხობასთან ერთად შეუწყვიტა. გერმანელმა თავაზიანი ტოხით მოითხოვა ხელშეკრულების აღსრულება. რავენის სასახლემ ბარბაროსის თავაზიანობა მის სიმხდალედ მიიჩნია და ყოველგვარ გადახდაზე კატეგორიული უარი შეუთვალა.

და აი, 408 წლის ოქტომბერში, სტილიხონის სიკვდილიდან რაღაც თვენახევრის თავზე, ალარიხი თავისი ლაშქრით ერთბაშად დაიძრა აღმოსავლეთ ალპებისაკენ. იტალიაში შემოჭრისთანავე გოთების მხარეზე გადავიდნენ რომის სამსახურში მყოფი გერმანელებიც.

ალარიხმა დაუბრკოლებლივ გაიარა ჩრდილოეთი იტალია, გადალახა აპენინები, შეიჭრა უმბრიაში და ზამთრის დამდეგს ზედ რომის კედლებთან დასცა ბანაკი.

რვაასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც გალები შეიჭრნენ რომის კედლებში; მაგრამ კაპიტოლიუმის სიმტკიცემ და ლეგენდარული კამილუსის მსგავსთა სივაჟკაცემ დასძლია „ალიას ლეგიონ“ საგოდებელი; რომმა სისხლიც საშინელ სისხლთანთხევით აიღო და მსოფლიოზე ბატონობის ეტლიც შეუჩერებელი სრბოლით დააჭრა ყველა მარშრუტით.

ექვსას ოცი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც რომის ციხე-თავი შეარყია შემზარავმა ძახილმა: „ჰანიბალი კარიბეზეა!!!“ ამ-ის მაშინაც გენიალურ კართაგენელ მხედართმთავარს რომში ჭეშმარიტი გმირები დახვდა; და „ომის ღმერთიც“ უკუიქცა; რომი კვლავ გადარჩა.

მას შემდეგ რომს თავის მკერდზე უნახავს სამხედრო ბანაკნი მხოლოდ თავისიანთა, თავის ღვიძლთა, თავის მარიუსთა, სულათა, პომპეუსთა და კეისართა. ხოლო უცხო თესლთაგანი, საომარი იარაღით ხელში, საბრძოლო ბაირაღნი უცხო ღერბებით, რომის სახლეულთ ასე ახლოს არ დაუნახავთ.

ახლა კი რომაელები ჰხედავენ საშინელ სიკვდილს: ისინი მოსულან, ისინი—რომის ყველაზე დიდი მოძულენი და მოსისხარნი: ისინი, ვისი წინაპრებიც ხუთასი წლის მანძილზე მოისწრაფოდნენ „მარადიული ქალაქის“ კედლებისაკენ, ხუთასი წლის წინათ დაქცეულ „პირველ გერმანელთა“ (იგულისხმება გაიუს მარიუსისგან კიმბრ-ტევტონთა განადგურება) სისხლის ასაღებად. მოსულან იმ დროს, როცა რომს აღარ ჰყავს თუნდაც მკრთალი აჩრდილნი ბრუტუსებისა, კამილუსებისა, მარიუსებისა, სციპიონებისა, სულებისა, ლუკულუსებისა, პომპეუსებისა, კეისრებისა. მოსულან გერმანელნი, სისხლის, ძარცვის, ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევა-დარბევის ხარბ-მოყვარენი მაშინ, როცა რომში ცხოვრობს მხოლოდ გაანაზიზებულ-გაზულუქებული არისტოკრატია, მშიერ-მწყურვალი ლუმპენ-პროლეტარიატი და ბორკილდადებული, სტიგმებით დადაღული მონანი.

რომის მაღალ წრეებს გარდასულ დროთაგან მხოლოდ მანიერებანი შემორჩენოდა, განსაკუთრებით: გულზვიადობა, სიმხდალე და სულმოკლეობა. ასეთი იყო მაშინდელი სენატიც. ჯერ გულმწყრალი გაოცებით შეხვდნენ ბარბაროსის ასეთნაირ თავხედობას, — რომ მან რომზე გაბედა ხელის აღმართვა; მერე, ყველაფერი ეს ისევ სტილიხონს დააბრალეს და, მკვდართან რომ ვეღარა გააწყვეს რა, მისი ცოლი, მშვენიერი სერენა, გაუსამართლებლად დაახრჩვეს. ეს იყო და ეს. ამით გათავდა ყოველგვარი აქტიური მოქმედება ქალაქის დასაცავად. ალყაში მოქცეული რომი შიმში-

ლისა და ეპიდემიის ბრჭყალებში მოექცა. დამშეული ადამიანები უკვე დახოცილთა ლეშს ჭამდნენ. მკვდართა დაკრძალვაზე არავინ ზრუნავდა და უკვე ჩამომდგარი ზაფხულის სიცხისაგან გახრწნილი გვამები ჰაერს წამლავდნენ და ჭირს უარესად აძლიერებდნენ. ყოველდღიურად ათასობით ხალხი იღუპებოდა.

ბოლოს, სენატმა იკადრა და ელჩობა გაგზავნა ალარიხის ბანაკში. ელჩთა სიტყვა მუქარას ჰგავდა: თუ გერმანელთა ბელადი იოლ საზავო პირობებს არ დათანხმდება, მაშინ ძას ომი მოუხდება სახელოვანი რომის მრავალრიცხოვან მეომარ მოსახლეობასთან. ამაზე ალარიხმა მაშინვე მიახალა:

„ბალახი რაც უფრო ხშირია, სათიბად მით უფრო კარგია".

და რომთან დაზავების აუცილებელ პირობებად მან მოითხოვა. გამოსასყიდის სახით, ქალაქში არსებული ოქრო-ვერცხლი და ძვირფასეულობა და გერმანული წარმოშობის ყველა მონის გათავისუფლება.

„მერე და, ჩვენ რაღას გვიტოვებ?"—იკითხეს ზარდაცემულმა რომაელმა ელჩებმა.

„თქვენს სიცოცხლეს" — მიუგდო ალარიხმა.

ელჩები დამუნჯებული დაბრუნდნენ. მცირეოდენი თათბირის ძემდეგ, ალარიხი დათანხმდა მცირედად დაეკლო თავისი მოთხოვნისათვის. იგი დათანხმდა რომისაგან მიეღო 5.000 გირვანქა ოქრო, 30. 000 გირვანქა ვერცხლი, დიდი რაოდენობის აბრეშუმის ტანსაცმელი, ალისფერი მაუდის ქსოვილები და სანელებლები; ამას გარდა, თავისუფლება მიიღო და ალარიხის ბანაკს შეუერთდა 40.000 მონა-გერმანელი.

ალყა მოიხსნა. მაგრამ გერმანელებს იტალიიდან წასვლა არც კი უფიქრიათ. ის კი არა და დუნაიდან გოთებისა და ჰუნების ახალი ნაკადი გადმოიყვანა და ალარიხს შეუერთა მისმა ცოლისძმამ ატაულფმა. ალარიხმა რავენის სასახლეს ახალი მოთხოვნა გაუგზავნა. იგი ჰონორიუსისაგან მოითხოვდა დასავლეთ იმპერიის მთავარსარდლობას და ჩრდილოეთ იტალიის, დალმაციისა და ნორიკის მმართველობას. ჰონორიუსმა, კარისკაცთა და სენატორთა ჩაგონებით, ალარიხს ყოველგვარ მოთხოვნაზე კატეგორიული უარი შეუთვალა.

განრისხებული ალარიხი ისევ დაიძრა რომისაკენ (409 წ.). გერმანელებმა უპირველესად ხელთ იგდეს ნავსადგური ოსტია ტიბრის შესართავში, საიდანაც ქალაქი ჩვეულებრივ ღებულობდა პურსა და სურსათ-სანოვაგეს. ამან რომში შიმშილის ისეთი შიში გამოიწვია, რომ სენატი მაშინვე დათანხმდა ალარიხის მოთხოვნებს.

ალარიხმა იმავე 409 წელს ჰონორიუსი გადაყენებულად გამოაცხადა და მის ნაცვლად დასავლეთის იმპერატორად ქვეყანას ამცნო რომის პრეფექტი ა ტ ა ლ ო ს ი, რომელსაც ეპისკოპოსმა დაადვა კიდეც თავზე გვირგვინი. თავის მხრივ, ატალოსმა ალარიხი გამოაცხადა დასავლეთის მთავარსარდლად, ხოლო ატაულფი თავისი გვარდიის უფროსად.

ამის შემდეგ, გერმანელთა ლაშქარი, ატალოსის თანხლებით, პირდაპირ გაეშურა რავენისაკენ, სადაც თავს აფარებდა ჰონორიუსი. დაშფრთხალმა კარისკაცებმა და ახლობლებმა ჰონორიუსი მიატოვეს და გაიქცა-გამოიქცნენ. მარტოდ დარჩენილმა იმპერატორმა ბედს შერიგება, ტახტიდან გადადგომა და კონსტანტინოპოლში გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ როცა ატალოსისგან დანებების ბრძანება მოუვიდა, გული გაიმაგრა და წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა მასთან დაახლოებულმა გოთმა სარდალმა ს ა რ უ ს მ ა, რომელიც ისედაც ატაულფის პირადი მტერი ყოფილა. სწორედ ამ დროს რავენაში ჰონორიუსის დასაცავად მოვიდა 4.000 ვეტერანი-მეომარი; ამას გარდა, აფრიკაში გაგზავნილმა სარდალმა და სტილიხონის მკვლელმა ჰ ე რ ა კ ლ ი ა ნ ე მ ჰონორიუსს ფული და აფრიკაში გამარჯვების ამბებიც აახლა.

ატალოსი რავენის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. ამას გარდა, მან ალარიხს უარი უთხრა აფრიკაში ჯარის გაგზავნაზე და იქიდან რომის პურით მრმარაგების შეწყვეტაზე.

განრისხებულმა ალარიხმა ჯარების თვალწინ ატალოსს იმპერატორის დიადემა ჩამოჰგლიჯა და ჰონორიუსს გაუგზავნა, დაზავებისა და დამეგობრების საწინდრად, მაგრამ ჰონორიუსმა, სარუსისა და სხვათა შთაგონებით, შერიგებაზე ისევ უარი სთქვა.

მაშინ ალარიხი, ერისხვით და ბოღმით აღვსილი, მესამედ დაიძრა რომზე ხაიერიშოდ. გერმანელები ქალაქს მიადგნენ ავრელიუსის კედლის ჩრდილოეთ ნაწილიდან.

ღამით მონებმა შიგნიდან გააღეს სალარის კარიბჭე და გერმანელები ქალაქში შეცვივდნენ.

ეს მოხდა 408 წლის 24 აგვისტოს. ქალაქი რომი, „მსოფლიოს ცენტრი", „მარადიული ქალაქი" აღებულია! აღებულია ბარბაროსთაგან. აღსრულებულია ხუთასწლოვანი ოცნება სისხლისა, ძარცვისა და ნგრევის მოყვარე გერმანელებისა.

რამდენიმე დღე-ღამის მანძილზე ბარბაროსები ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, აოხრებდნენ და სწვავდნენ რომის ბრწყინვალე სრა-სასახლეებს, მდიდარ კულტურულ ძეგლებს, ნაგებობებს, კერძო საცხოვრებლებს. მხოლოდ ქრისტიანულ ტაძართა ხელყოფა აკრძალა ალარიხმა.

მეექვსე დღეს აურაცხელი ნადავლით დატვირთული ბარბაროსები იავარქმნილი რომიდან გავიდნენ და სამხრეთისაკენ გაეშურნენ. ამჯერად ისინი ალარიხმა შეუსია კამპანიის მდიდარ ქალაქებსა და სოფლებს. აიღეს და გაძარცვეს კაპუა და ნოლა. სავსებით აოხრეს და გაატიალეს მშვენიერი ვილები და მეურნეობანი. დაშინებული მოსახლეობა გერმანელთა ბანაკებში ეზიდებოდა პურღვინოსა და სურსათ-სანოვაგეს. ბარბაროსები ბარბაროსულად ღრეობდნენ და განისვენებდნენ. ტყვედ წამოყვანილ რომაელ სენატორთა და არისტოკრატთა ძენი და ასულნი ოვინით სავსე ოქროს თასებს ქედმოდრეკით და მუხლმოყრით აწოდებდნენ სანადიმო სუფრასთან წამოწოლილ ჩრდილოელ ველურებს.

ალარიხმა, კამპანიის გაძარცვის შემდეგ, კვლავ განაგრძო ლაშქრობა სამხრეთისაკენ. იგი მივიდა მესენის სრუტესთან, საიდანაც აპირებდა სიცილიაზე გადასვლას, ხოლო სიცილიის გაძარცვის შემდეგ — აფრიკის დაპყრობას. მან გაამზადა კიდეც ხომალდები სრუტის გადასალახავად, მაგრამ ქარიშხალმა დაფანტა და დაამსხვრია ისინი.

ხელახალ სამზადისს მოულოდნელმა სიკვდილმა უსწრო. ქ. კონსენციის (კოზენცა) მახლობლად, 410 წლის შემოდგომაზე, ალარიხი უეცრად გარდაიცვალა. გერმანელთა ლეგენდარული გმირი სიკვდილის ჟამს მხოლოდ 34 წლის იყო. გადმოგვცემენ, რომ გოთებმა კალაპოტიდან გადააგდეს მდინარე ბუკსენციუსი (ბუზენტო) და თავისი ბელადი მის ფსკერზე დაასაფლავეს, მერე მდინარე ისევ კალაპოტს დაუბრუნეს და ამ ამბის მოწმე ტყვე-მესაფლავენი ამოწყვიტეს. ასე მოიქცნენ, რამეთუ შურისმგებელთაგან დაეფარათ სათაყვანო ბელადის ნეშტი.

5. ალარიხის სიკვდილის შემდგომ

ალარიხის მემკვიდრე შეიქნა მისი ცოლისძმა ატაულფი, ჭკვიანი, მამაცი და ლამაზი გერმანელი. ატაულფს ადრე გეგმად ჰქონია რომის სავსებით აღგვა მიწისაგან პირისა და მის ადგილზე გოთების სამეფოს დაარსება, მაგრამ გამეფებისთანავე ასეთი განზრახვა მთლიანად უკუაგდო და ჰონორიუსთან საზავო-მოლაპარაკება გამართა (412 წ.). ჰონორიუსს ისღა დარჩენოდა, ბარბაროსთან კავშირი შეეკრა.

ამ კავშირს, უპირველეს ყოვლისა, შეეწირა ჰონორიუსის სამსახურში მყოფი სარუსი, ატაულფის მოსისხლე. შემდეგ ატაულფმა დასავლეთ რომის იმპერიის მთავარსარდლობა მიიღო და სას-

წრაფოდ გაეშურა გალიისაკენ, რომელიც ბარბაროს ტომთაგან დაპყრობილი და საომარ ცეცხლში გახვეული, რომისათვის ფაქტიურად დაკარგული იყო. გამგზავრების წინ ატაულფმა ჰონორიუსს კატეგორიული უარი უთხრა გაეთავისუფლებინა მისი და პ ლ ა ც ი დ ი ა, რომელიც გოთებმა რომის აღების დროს დაატყვევეს. პლაციდია, გარდა იმისა, რომ ძალადობა გამოადგებოდათ, თვითონ ატაულფს შეჰყვარებოდა და მის ცოლად შერთვასაც აპირებდა.

ატაულფმა სწრაფი შეტევებით მთელი სამხრეთი გალია ხელახლა დაუმორჩილა რომის მბრძანებლობას; აიღო მისი მთავარი ქალაქები: ნარბონი, ტულუზა და ბურდიგალა (ბორდო). ის მარსელის აღებასაც აპირებდა, მაგრამ მარსელში იგი არ შეუშვა აქ მდგარმა ფრთხილმა რომაელმა სარდალმა ბ ო ნ ი ფ ა ც ი უ ს მ ა.

413 წელს ყურადღება მიიქცია აფრიკის ამბებმა. აქ სარდალმა ჰერაკლიანემ თავი იმპერატორად გამოაცხადა, ჯარები იტალიის მიწაზე გადასხა, მაგრამ დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით იქნა დასჯილი. აფრიკის მმართველობა ბონიფაციუსმა ჩაიბარა.

414 წლის იანვარს, ნარბონში გაიმართა ატაულფისა და პლაციდიას ქორწინება. ცერემონიალი რომაულ ყაიდაზე ჩატარდა. დედოფალი მაღალ ტახტზე იჯდა, რომაელი ავგუსტას ტანსაცმლით მორთულ-მოკაზმული; ორმოცდაათმა მშვენიერმა ყმაწვილმა დედოფალს მიართვა კეთილშობილი ქვებით მოოქვილი და ოქრო-ვერცხლით სავსე თასი. ეს იყო სასიძოს საჩუქარი, ყველაფერი რომიდან მოტაცებული. საქორწინო სიმღერებს მღეროდა გუნდი, რომლის კაპელმეისტერი და წამყვანი სოლისტი იყო ყოფილი იმპერატორი ატალოსი.

ქორწინებამ არამცთუ არ განამტკიცა, არამედ, პირიქით, გაამწვავა კიდეც ურთიერთობა გოთებსა და რომაელებს შორის. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა ჰონორიუსის ახალმა ფავორიტმა კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი უ ს მ ა, რომელსაც თვითონ სდომებია იმპერატორის დის ცოლად შერთვა.

ატაულფმა შეიტყო რავენის სასახლის მტრული განწყობილება და, არც აცივა, არც აცხელა, იმპერატორად გამოაცხადა ისევ ატალოსი, გუშინ რომ მის ქორწილზე კაპელმეისტრობდა. ატაულფმა ახალი იმპერატორი ნარბონში დატოვა, ხოლო თვითონ ესპანეთში გაემგზავრა. სანამ მან ბარსელონა აიღო და მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ესპანეთიც დაიპყრო, კონსტანციუსი გალიაში გადავიდა, ნარბონი აიღო და დამარცხებული ატალოსიც შეიპყრო. ატალოსს მარჯვენა ხელი გააგდებინეს და კუნძულ ლიპარზე გადასახლეს.

ბარსელონაში მყოფმა ატაულფმა ატალოსის ბედის გარდა, პლაციდიასგან ახლადშობილი ვაჟის სიკვდილის ამბავიც შეიტყო. საშინელი მწუხარებისაგან მიღებული აპათიით ისარგებლეს ატაულფის მტრებმა. იგი მახვილის მოულოდნელი დარტყმით განგმირა ვინმე ებერულფმა, სარუსის მეგობარმა (415 წლის აგვისტო).

გოთთა უმაღლესი ძალაუფლება ხელთ იგდო სარუსის ძმამ, ს ი გ ე რ ი ხ მ ა, რომელმაც სულ ერთიანად ამოჟლიტა ალარიხისა და ატაულფის სახლეულნი და ახლო-ნათესავნი. მან ატაულფის ექვსი შვილი (პირველი ქორწინებიდან) ერთიმეორეს დააკლა. ქვრივი პლაციდია, თვითონ ამხედრებულმა, ცხენის წინ გაიგდო და თორმეტ მილზე ფეხშიშველი არბენინა. მეშვიდე დღეს, ასეთი მხეცობით აღშფოთებული გოთები სიგერიხს მიცვივდნენ და მახვილებით აჰკუწეს. გოთების ახალ მეფედ გამოცხადდა (415 წ.) ვ ა ლ ი ა, ბამაცი მეომარი და რომაელთა დიდი მოძულე.

ვალიამ გაიარა პირენეის ნახევარკუნძული ბარსელონადან ჰერაკლეს სვეტებამდე (ჰიბრალტარი), საიდანაც იგი აპირებდა აფრიკაში გადასვლას, მაგრამ ქარიშხალმა ხელი შეუშალა და ისევ უკანვე გამობრუნდა. ვალიამ ესპანეთში შეიტყო კონსტანციუსის ახალი დიდი წარმატებების შესახებ გალიაში. ამიტომ მან უფრო მიზანშეწონილად სცნო რომაელებთან სამშვიდობო ურთიერთობის ვაბმა. კავშირიც შედგა (416 წ.). ვალია რომის მთავარსარდალი შეიქნა და ესპანეთის ხელახალი დამორჩილება დაევალა. პლაციდიამ თავისუფლება მიიღო და კონსტანციუსზე დაქორწინდა. მათ შეეძინათ ასული ჰონორია და ვაჟი ვალენტინიანე, რომელთაც ისტორიაში, აგრეთვე, თავისი როლი უნდა ეთამაშნათ.

416—417 წლებში ესპანეთში ვალიამ სასტიკად დაამარცხა ვანდალები და ალანები. ესპანეთი კვლავ რომის მორჩილ ქვეყნად გამოცხადდა. ამ გამარჯვებათა აღსანიშნავად ჰონორიუსმა რავენაში დიდი ტრიუმფი გადაიხადა. რომი თითქოს აღარავის ახსოვდა.

1. ᲑᲝᲜᲘᲤᲐᲪᲘᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲔᲪᲘᲣᲡᲘ

მერყეევმა და უნებისყოფო ჰონორიუსმა თავისი სიძე კონსტანციუსი ერთ ხანზე ძალიან შეიტკბო, შეიყვარა და თანამმართველ ავგუსტუსადაც კი გამოაცხადა, მაგრამ მალე აითვალწუნა. შემოსწყრა და სასახლიდან გააძევა. კონსტანციუსი უპატიურობაში დაურვა-წუხილში გარდაიცვალა (421 წ.). დაქვრივებული პლაციდია ასევე ძმა იმპერატორისაგან შეძულებული, თავისი შვილებით რავენიდან კონსტანტინოპოლში გაიქცა.

423 წლის 27 აგვისტოს ჰონორიუსი გარდაიცვალა წყალმანკით მაშინვე იმპერატორად თავი გამოაცხადა სახელმწიფო მღივანმა ი ო ა ნ ე მ. კონსტანტინოპოლის სასახლემ, რომელსაც სურდა ჰონორიუსის ადგილზე პლაციდიას ვაჟი ვალენტინიანე დაესვა, დაუყოვნებლივ გაგზავნა არმია უზურპატორის წინააღმდეგ. 425 წელს ჩრდილოეთ იტალიაში იოანე დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. იგი აქვილეაში მიიყვანეს, ცირკში ვამოათრიეს, სახალხოდ დასცინეს და თავი გააგდებინეს.

დასავლეთის იმპერატორად და ავგუსტუსად გამოცხადდა ექვსი წლის ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ი ა ნ ე III, რომელიც შემდგომში დააქორწინეს თეოდოსიას და ათენაიდას ასულზე, ე ვ დ ო კ ი ა ზ ე. ამიერიდან ილირია აღმოსავლეთ იმპერიის საზღვრებში მოექცა. ადრიატიკის ზღვაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ბუნებრივ საზღვრად იქცა.

ვალენტინიანე III დასავლეთ რომის იმპერიის ხელმწიფედ ითვლებოდა 425 წლიდან 455 წლამდე. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური კატაკლიზმების მორევში ეს უმწეო კაცუნაც სავსებით უმნიშვნელო ნაფოტის როლს ასრულებდა.

იმ დროს დასავლეთ იმპერიას მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ფიგურა ჰყავდა: ბ ო ნ ი ფ ა ც ი უ ს ი და ა ე ც ი უ ს ი. მათ ერთიმეორე უსაზღვროდ სძულდათ. ბონიფაციუსი, „წმინდა რომაელი", აფრიკის მმართველი, შედარებით პირდაპირი ხასიათის კაცად

ითვლებოდა. აეციუსი, მამით გერმანელი და დედით რომაელი, უფრო ცბიერი და მოხერხებული პოლიტიკოსი იყო. მან დაარწმუნა დასავლეთ იმპერიის ფაქტიური გამგებელი — პლაციდია, რომ თითქოს, ბონიფაციუსი შეთქმულებას ამზადებდა რავენის სასახლის დასამხობად. ბონიფაციუსის ყურსაც მისწვდა, რაც მზადდებოდა მის წინააღმდეგ და უკიდურესობამდე მისულმა მართლაც წამოიწყო საომარი სამზადისი. მან, უპირველეს ყოვლისა, სამოკავშირეო ურთიერთობა გააბა ესპანეთში ფეხმოდგმულ ვანდალებთან, რომელთაც სათავეში ედგა ჰ ე ნ ზ ე რ ი ხ ი, კოპლი მეომარი. პატივმოყვარე სარდალი და ცბიერი დიპლომატი.

ბონიფაციუსისა და ჰენზერიხის შეკავშირება მოხერხდა (428 წ.). რომაელმა ვანდალი მოკავშირე აფრიკაში მიიწვია და ძღვნად აფრიკის მესამედი ტერიტორიები აღუთქვა. ჰენზერიხმა ეს წინადადება დიდი სიამოვნებით მიიღო და 429 წლის მაისში ვანდალთა უზარმაზარი ურდოთი ჰერკულესის (ჰიბრალტარის) სრუტე გადალახა და აფრიკაში შეიჭრა.

ბონიფაციუსს თავზარი დასცა „მოკავშირის" ასეთმა მოვარდნამ და მან ისევ რავენის სასახლესთან შერიგება ამჯობინა. პლაციდიაც უკვე დარწმუნებული იყო ბონიფაციუსის ერთგულებაში და პატიების და შერიგების წინადადებაც მანვე წამოაყენა. აფრიკა აშკარად ეცლებოდა ხელიდან რომს. ლომი ვინც აუშვა, მასვე უნდა დაება იგი. ბონიფაციუსი ორჯერ შეება ვანდალებს, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა (430 წ). რომაელებმა აფრიკა დაჰკარგეს; მხოლოდ კართაგენს, ცირტასა და ჰიპონს ინარჩუნებდნენ ისინი ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

ვანდალებმა აფრიკა სასტიკად გაძარცვეს, ააწიოკეს და აიკლეს. ბრწყინვალე ქალაქები, სოფლები, საცხოვრებელი სახლები და სადგომები ნანგრევებად და ნაცრად აქციეს; აუარებელი ხალხი — განურჩევლად ქალისა და კაცისა — გაყლიტეს.

ბონიფაციუსი თოთხმეტი თვე იცავდა ჰიპონს. აქვე ალყის საშინელებაში, გარდაიცვალა ეპისკოპოსი ავგუსტინე. ბოლოს, ქალაქის გადარჩენაში იმედდაკარგულმა ბონიფაციუსმა აფრიკა შეატოვა და იტალიაში გამოეშურა. პლაციდიამ იგი გულთბილად მიიღო და აფრიკის დაკარგვაც აპატია. მალე რომაელები იძულებული გახდნენ აფრიკის ვანდალური სახელმწიფო ეცნოთ. შემდეგ (439 წ.) ჰენზერიხმა კართაგენიც აიღო და თავის სატახტოდ გამოაცხადა.

ახლა აეციუსი განაწყენდა სასახლის კარზე მისი მეტოქის გულთბილი მიღებისათვის. იგი ამ დროს ჩრდილოეთში წარმატებით ებრძოდა ვესტგოთებს, ფრანკებსა და გერმანიის სხვა ტომებს. რო-

გორც კი ბონიფაციუსის შეწყალების ამბავი შეიტყო, მაშინვე ჯვრებით დაიძრა ჩრდილოეთ იტალიისაკენ.

432 წელს ქალაქ არიმინუმთან მოხდა ბრძოლა, რომელშიც აეციუსი დამარცხდა და თავშესაფარებლად ჰუნებს მიაშურა. მაგრამ ბონიფაციუსი იმავე ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

2. ჰუნები და ევროპელები

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპა მძლავრად შეარყია აზიიდან მოვარდნილმა ჰუნთა ურდოებმა. ვოლგიდან დუნაიმდე არ წყდებოდა საშინელ მომთაბარეთა ცხენების თქარათქური და ზარდამცემი ყიჟინი.

აღმოსავლეთ იმპერია ჰუნთა მოხარკე შეიქნა. თეოდოსი II-მ ჰუნთა მეფე რუგილას, აეციუსის მეგობარს, ხარკის ძლევა დაუწყო — წელიწადში 350 გირვანქა ოქრო. რუგილას სიკვდილის (433 წ.) შემდგომ მისმა ძმისწულებმა, ატილამ და ბლედამ, თეოდოსი აიძულეს ხარკი ორმაგად გადაეხადა და ამას გარდა, კონსტანტინოპოლში გაქცეული ჰუნებიც უკანვე დაებრუნებინა. ამ უკანასკნელთაგან სამეფო გვარის ახალგაზრდა ვაჟები, ატილას ბრძანებით, თვით რომაელთა თვალწინ ჯვრებზე გალურსმნეს.

აქედანვე იწყება ატილას აღზევება.

ატილა, ძე მუნძუკისა, ტიპური მონღოლი იყო — მომცრო ტანით, ფართო მხრებით, დიდი თავით, წვრილი თვალებით, ბრტყელი ცხვირით და ქოსა ლოყა-ნიკაპით. მისი მბრძანებლური ხასიათი, უჯიათი, გამჭოლავი მზერა, ავი იერსახე, მკვეთრი მიმოხრა, შეურყეველი ნება და სისასტიკეყვარეობა, გამანადგურებელ შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვეებზე. გერმანელებმა მას „ღვთისშოლტი" (Godegisel) დაარქვეს. დიდი ნიჭისა, სიმამაცისა და ძლიერი ნების ბელადს წელს ერტყა მახვილი, რომელიც მისთვის თითქოს თვით ომის ღმერთს მიეძღვნა (ეს მახვილი ერთმა მწყემსმა იპოვნა ბალახში); კერპის მოყვარე მომთაბარეებს სწამდათ, რომ ატილა მათ ხელმწიფედ სწორედ ღვთისგან იყო წარმოგზავნილი.

ატილამ 445 წელს მოაკვლევინა თავისი ძმა ბლედა და ჰუნთა ერთპიროვნული ხელმწიფე შეიქნა. იგი დიდის ენერგიით შეუდგა მანამდე დაქსაქსულ, ურთიერთთან მებრძოლ ჰუნთა საერთავროების გაერთიანებას. სულ მალე მან შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც გადაჭიმული იყო ვოლგიდან რეინამდე და ჰუნებს გარდა მასში შედიოდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა მაშინდელი ხალხი.

ატილა

მთელი თრაკია, მეზია და ილირია სისხლით დატბორეს. თე
სისგან სამგზის წარგზავნილი არმია სამგზისვე დამარცხდა და ;

" გურდა. ჰუნებმა სამოცდაათი ქალაქი აიღეს, გაძარცვეს, დაწვეს და დაანგრიეს. ძლივს გადარჩა თვითონ კონსტანტინოპოლი. მრავალი ტყვე — ქალი და კაცი. ბავშვი და ხანდაზმული — გამარჯვებულებმა მონებად წაიყვანეს.

447 წელს თეოდოსი II იძულებული გახდა ჰუნებთან შეეკრა ზავი მძიმე პირობებით: ჰუნებმა დაისაკუთრეს დუნაის მარცხენა სანაპირო; კონსტანტინოპოლის სასახლეს ჰუნებისათვის უნდა ეძლია ხარკი — ყოველწლიურად 2.100 გირვანქა ოქრო, სხვა სახის ძღვენი და საჩუქრები; უსასყიდლოდ უნდა დაებრუნებინათ ჰუნი სამხედრო ტყვეები და გადაეცათ თავის ნებით გაქცეული დეზერტირები.

იმ ხანებში დასავლეთი იმპერია უფრო მყარ საფუძველზე იდგა. რავენაში დაბრუნდა აეციუსი, შესანიშნავი სარდალი, ბრწყინვალე ჯარისკაცი, მოისარი, შუბოსანი, ცხენოსანი, ახოვანი და პირმშვენიერი ვაჟკაცი; თუმცა პატივისა და დიდების მოყვარე, ცბიერი, შურიანი და შურისმგებელი. პლაციდიამ და მისმა უმაქსიმმა შვილმა, იმპერატორმა ვალენტინიანე III-მ აეციუსს უბოძეს დასავლეთის მთავარსარდლობა, კონსულისა და პატრიციუსის ტიტულებით. იგი დასავლეთ იმპერიის ფაქტიური ხელმწიფე იყო.

სანამ ატილა ბალკანეთს აოხრებდა, მანამ აეციუსმა რამდენჯერმე წარმატებით დალაშქრა რეინისა და გალიის პროვინციები და მათი მრავალრიცხოვანი ხალხები ხელახლა დააყენა რომაული საომარი დროშების ქვეშ. ბოლოს, მას ბედმა არგუნა ევროპას მოვლენოდა, ვითარცა მხსნელი აზიელ-ჰუნთა წალეკვისაგან.

აეციუსი და ატილა ადრეც იცნობდნენ ერთმანეთს — იმ დღიდან (432 წ.), როცა ბონიფიციუსისგან დამარცხებულმა აეციუსმა თავი შეაფარა ჰუნთა მაშინდელ მეფეს, რუგილას, ატილას მამას. იქიდან წამოსვლისას აეციუსი და ატილა, ერთი კარვის და ერთი ულუფის თანაზიარნი, მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს.

450 წელს იმპერატორი თეოდოსი II ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. ხელმწიფობა მიიღო მისმა დამ, პ უ ლ ხ ე რ ი ა მ, რომელმაც სიტყვიერ, ანუ ფორმალურ ქმრად (რაკი მონაზვნობას ეწეოდა) დაისვა მ ა რ კ ი ა ნ ე, ენერგიული, პატიოსანი და სამხედრო საქმეებში გამოწვრთნილი კაცი.

მარკიანემ ატილას ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა და საომარ სამზადისს შეუდგა.

ატილა მცირე ხანს ყოყმანობდა: ისევ კონსტანტინოპოლისკენ დაძრულიყო, თუ ამჯერად დასავლეთის მიმართულებით ეცადა ბედი. ბოლოს, უკანასკნელი ამოირჩია: მან გადაწყვიტა შეტევა რეინისა და გალიის მიმართულებით დაეწყო.

საამისო საბაბი ატილას უფრო ადრეც ჰქონდა ხელთ: მან მოითხოვა ცოლად მიეცათ ვალენტინიანე III-ის და, ჰონორია, რომლისთვისაც მზითვად უნდა ეახლებინათ იმპერიის ნაწილიც,[1] მაგრამ ჰუნთა ხელმწიფემ უარი მიიღო.

450 წელს ატილა ნახევარმილიონიანი ურდოს თანხლებით დაიძრა დასავლეთისაკენ. ჰუნებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ნორიკი (ავსტრია), ვინდელიცია (ბავარია) და ალემანია (ზემო რეინი). მათ გადალახეს რეინი და ვორმსის მასლობლად გაანადგურეს ბურგუნდელები. მოკლული იქნენ ბურგუნდთა მეფე გუნდიკარი („ნიბელუნგების" ვერსიით—გუნტერი) და მისი რჩეული მეომრები. ჰუნებმა გაძარცვეს, დაანგრიეს, დაწვეს და დედაბუდიანად ამოაგდეს გერმანია-გალიის უმნიშვნელოვანესი ქალაქები. არ ინდობდნენ არც ქალსა და კაცს, არც ბავშვსა და მოხუცს. ქ. მეცაში ეკლესიებში ახლადმონათლული ბავშვები საკურთხეველებზე დაჰკლეს, ზედ მღვდელთმსახურნი დააკლეს, გარედან გამოჰკეტეს და ცეცხლი გაუჩინეს. მართლაც, ატილას ცხენის ნატერფალზე ბალახი აღარ ამოდიოდა.

451 წელს ატილამ მორიგ მსხვერპლად ამოირჩია ქალაქი გენაბი (ორლეანი) და ალყა შემოარტყა მას. სწორედ ამ დროს გაჩნდა სამხრეთიდან მომავალი აეციუსი თავისი არმიით. მას თან ახლდნენ ვესტგოთები მეფე თეოდორიხის მეთაურობით.

ატილამ ალყა მოხსნა და მდინარე სენისაკენ დაიწყო უკანდასევა, აეციუსიც კვალში ჩაუდგა.

451 წ. ივნისში კატალაუნის ველზე (Campi Catalaunici) გაიმართა დიდი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ისტორიაში შევიდა „ხალხთა ბრძოლის" სახელწოდებით.

აეციუსის საბრძოლო დროშების ქვეშ რომაელთა და ვესტგოთთა გარდა იდგნენ ბურგუნდელები, ფრანკთა ნაწილი, ალემანთა ნაწილი, საქსები, ალანები და სხვ. ატილას ჰუნთა გარდა ნებით ან ძალით ემორჩილებოდნენ ოსტგოთები, ბასტარნები, სკირები,

---

[1] ამ აზბაის რომანტიკული ელფერიც დაჰკრავს: ადრიდანვე გადაწყვეტილიყო, რომ ჰონორია სამუდამოდ ქალწულად ღარჩენილიყო. რამეთუ მას ქმრის მოყვანით თავისი ძმისთვის, ვალენტინიანესთვის, იმპერატორობის მეტოქე არ გაეჩინა, მაგრამ ჰონორიას შეუყვარდა ერთი თავისი მსახური, ევგენიოსი. ამისათვის ჰონორია კონსტანტინოპოლში გაასახლეს და მონასტერში მონაზვნად აკურცეს. იგი არ შეურიგდა ბედს; ერთ თავის ერთგულ საჭურისს ატილასთან ბეჭედი გაატანა და შეუთვალა: გამომითხოვე და შენს საცოლედ გამომაცხადეო., ატილამაც, როცა დასავლეთ იმპერიის ნიშანში ამოღება გადაწყვიტა, რავენის სასახლეს ჰონორიას ცოლობა და მისი „ხელმწიფური გამზეთებაც" მოსთხოვა, მაგრამ ციკი უარი მიიღო. სწორედ ეს უარი შეიქნა ომის გაჩაღების საბაბი.

ჰეპიდები, ჰერულები, რუგიელები, ტურინგელები, ალემანთა ნაწილი, ფრანკთა ნაწილი და სხვ.

ატილამ ცენტრიდან ჰუნების მძლავრი კავალერიით დაიწყო შეტევა, უკუაქცია მის პირისპირ მდგაოი ალანები და მიაშურა ვესტგოთებს. აქ თეოდორიხი რომელიღაც ოსტგოთის ხელით განგმირული დაეცა ძირს, მაგრამ მახლობელი ბორცვიდან შეტევაზე გადმოვიდა თეოდორიხის მაძაცი ვაჟი თორისმუნდი. თვითონ აეციუსმაც ძლიერად შეუტია მარჯვენა ფლანგიდან. წინ გაჭრილი ჰუნები ფლანგებიდან გაშიშვლდნენ და მოწინააღმდეგის ორმხრივი შეტევის ქვეშ მოექცნენ. დაღამებისას თვით მედგრად მებრძოლი ატილა უკუიქცა და ბანაკში ჩაიკეტა. აეციუსმა ღამითაც წამოიწყო იერიში, მაგრამ ჰუნებმა მოიგერიეს. ატილამ ბრძანება გასცა. ბანაკის ცენტრში უნაგირებისაგან კოცონი გაემზადებინათ, რათა თუ, ვინიცობაა, მტერი საბოლოოდ დასძლევდა მათ, ცოცხლად ცეცხლისთვის მიეცათ თავი.

აეციუსი

ჰუნებს ასეთი თავგანწირვა აღარ დასჭირვებიათ. გამარჯვებულებმა გამარჯვება იკმარეს. კატალაუნის ველზე 180.000 მკვდარი ესვენა; დიდი უმრავლესობა ჰუნებისა დაიხოცნენ: დიდხანს შემორჩა თქმულება კატალაუნის ბრძოლის სისატიკეზე: აქ დახოცილთა სულები სიკვდილს შემდგომ კიდევ სამი დღე-ღამე ჰაერში ერკინებოდნენ ერთიმეორეს.

ჰუნები უკან გაბრუნდნენ და ისევ პანონიაში დაიბანაკეს.

კატალაუნის ბრძოლა ჰუნთა ბანადგურებას მაინც არ ნიშნავდა. ატილა ისევ ძლიერი იყო: იგი ჯერ კიდევ ხელს არ იღებდა ევროპის სრულ დამორჩილებაზე. მან ისევ მოითხოვა ჰონორია და მზითვად დასავლეთ იმპერიის უმეტესი ნაწილი. ისევ მიიღო უარი და საპასუხოდ ისევ დაიძრა სალაშქროდ.

ჰუნები ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრნენ (452 წ.) და დიდი წინააღმდეგობის შემდეგ იერიძით აიღეს ქალაქი აქვილეა, რომელიც სავსებით გაძარცვეს, საძირკვლამდე დაანგრიეს და ძირფესვიანად ამოძირკვეს. მცხოვრებთაგან ვინც სიკვდილს გადაურჩა, თავი შეაფარა მახლობელ ლაგუნებს, საიდანაც შემდგომში წარმოიშვა სახელოვანი ვენეცია. ხოლო აქვილეის ადგილზე იმ საშინელი ტრაგედიიდან ასი წლის შემდგომაც ძლივს მოიძიეს ატილასაგან ნაოხარი ნაქალაქარის კვალი.

აქვილეის დაქცევის შემდეგ ატილა შეუყვა მდინარე პადუსის (პო) ხეობას და თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი აიღო, გაძარცვა და დაანგრია. ჰუნთა უწყალო მახვილს შეეწირნენ კონკორდია, ალტინი, პატავია, ვერონა, ჰავია და დასავლეთ იმპერიის ერთ-ერთი რეზიდენცია, ბრწყინვალე ქალაქი მილანო (მედიოლანი). მთელი ჩრდილოეთი იტალია სისხლით დაიტბორა და გვამებით დაიხერგა. მაშველი არსაიდან ჩანდა, — არც კონსტანტინოპოლიდან, არც ჩრდილოეთ პროვინციებიდან. აეციუსი თავისი სუსტი ძალებით მხოლოდ ძვირეულად აბრკოლებდა წინანდელი მარცხით გაცოფებულ მოწინააღმდეგეს.

ზარდაცემული ვალენტინიანე III რავენადან რომში გაიქცა და იქიდანაც, ჰუნების მოახლოების შემთხვევაში, სულ აპირებდა იტალიიდან გადაკარგვას.

453 წელს, გარდას ტბისა და მდ. მინჩიოს მშვენიერ ნაპირებზე მდგარი ატილა ცენტრალური იტალიისა და უშუალოდ რომისაკენ სალაშქროდ ემზადებოდა, როცა მასთან გამოცხადდა ელჩობა რომის პაპ ლეო დიდისა და გამოცდილი დიპლომატის, სენატორ ავიენის მეთაურობით. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდგომ, „იტალიის დამანგრეველი“ დათანხმდა, რომ დიდძალი გამოსასყიდი მიეღო და იტალიიდან წასულიყო. ასეთ გადაწყვეტილებაზე ატილა, უეჭველად, აიძულა ორმა გარემოებამ: მის ბანაკში დატრიალებულმა ჭირის ეპიდემიამ და მარკიანეს გამალებულმა საომარმა სამზადისმა ჰუნთა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ქრისტიანებმა კი ამ ამბავთან დაკავშირებით მაშინვე მითოსი შეთხზეს: მოლაპარაკების დროს ატილამ პაპის გვერდით აშკარად დაინახა პეტრე მოციქული, რომელიც მას მახვილით დაემუქრა, — ვაი, შენს დღეს, თუ ახლავე იტალიიდან არ წახვალო!

მაშ, ატილა ისევ პანონიაში დაბრუნდა. აქ იმავე 453 წელს მსოფლიოს ზარდამცემი დამპყრობელი უდიდეს ზეიმ-ღრეობასთან ერთად სიკვდილსაც შეხვდა. მას ქორწილი ჰქონდა: შეირთო მშვენიერი ბურგუნდიელი ქალი ი ლ დ ი კ ო. თუ თქმულებას დაეჯერება, იმ ღამით მარკიანემ სიზმარი ნახა, თითქოს ჰუნთა მბრძა-

ნებელს ხელში მშვილდი შემოემსხვრია. მეორე დილით, ნეფე-დედოფლის სანთიობოში იპოვეს მკვდარი ატილა და აცახცახებულ-აქვითინებული ილდიკო. არავინ იცის, თავის დღით მოკვდა იგი, თუ მართლა ბურგუნდიელმა სადედოფლომ მოჰკლა თავისი სამშობლოს დამანგრეველი, როგორც ამას გერმანული ეპოსი ამტკიცებს.

ატილას ცხედარი მინდორზე ესვენა; გარშემო ჰუნთა რაზმები უვლიდნენ ზარითა და საომარი სიმღერების დვრინვით. ისინი დასტიროდნენ და ხოტბას ასხამდნენ გმირ ხელმწიფეს, „სიცოცხლით დიადს, სიკვდილით უძლეველს, თანამემამულეთა მამას, მტრისათვის შოლტსა და მსოფლიოსთვის საშინელებას". მისი თანაშეიწენი და ჯარის უფროსები გლოვის ნიშნად თმებს იკვეცავდნენ და სახეს იხანჯლავდნენ. ატილას ნეშთი ოქროს, ვერცხლისა და რკინის კუბოებში ჩაასვენეს, აურაცხელი ძვირფასეულობა ჩააყოლეს და შუაღამისას, იდუმალ, მიწაში ჩაუშვეს. ტყვე-მესაფლავენი დახოცეს, რათა არასდროს გამჟღავნებულიყო სამუდამო სამკვიდრებელი დიდი დამპყრობელისა.

სულ მალე უმეთაუროდ დარჩენილ ჰუნთა ბრბოები ევროპის ხალხებში განიბნენ, განსახოვანდნენ და გაქრნენ. წაიშალა მათი ცხენთა ნატერფალი, მიწად იქცა მათი ძვალ-ხორცი, ამაო იქნა ყოველი მათი ვნებანი დამპყრობელურნი.

8. ვანდალები რომში

დასავლეთ რომის იმპერია ვერც ატილას სიკვდილმა იხსნა დაღუპვისაგან. გამანადგურებელი საშიშროება არ ტოვებდა „მარადიულ ქალაქს". საიმპერატორო სასახლის კარი იმპერიასთან ერთად შეუჩერებლივ მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

450 წლის ნოემბერში პლაციდია გარდაიცვალა. ვალენტინიანემ დრო იხელთა და თავი მისცა გარყვნილებას, ფუქსავატობას, უმაქნისობასა და უგანაჩენოდ სისხლის ღვრას. იგი სავსებით დაიმორჩილა ბოროტმა და შურიანმა მედროვემ, საჭურისმა ჰ ე რ ა კ ლ ი ო ს-მ ა, რომელსაც უკიდურესად სძულდა იმპერიის გმირი, ჰუნთა ერთადერთი მძლეველი, აეციუსი. თვითონ ვალენტინიანეც ვერ იტანდა აეციუსის პირველკაცობას, მის დამოუკიდებელ ხასიათს, შეუპოვრობას და პირდაპირობას. და, აი, 454 წელს ბრიყვმა იმპერატორმა ჩაიდინა ის, რაც ფაქტიურად იმპერიის სიკვდილსაც დაუჩქარებდა. ერთ ჩვეულებრივ საუბარში გაცხარების დროს ვალენტინიანემ აეციუსს მახვილი დასცა. სხვებიც მიესივნენ და სახელოვან სარდალთან ერთად ბოლო მოუღეს მის ერთგულ თანამებ-

რძოლებსაც. ამ ბოროტმოქმედებას მაშინვე შეფასებაც შესაფერისი მიეცა: ვალენტინიანემ მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავი მოიკვეთაო.

მალე ნემეზიდამაც თავისი მოითხოვა: ვალენტინიანემ წარჩინებული სენატორის, პ ე ტ რ ო ნ ი უ ს მ ა ქ ს ი მ ე ს, ცოლი სასახლეში შეითრია და გააუპატიურა. შეურაცხყოფილი ქალი მალე გარდაიცვალა. პეტრონიუსიც ამოქმედდა. მან აეციუსის ორი ერთგული მსახური მოისყიდა. მარსის მინდორზე, სამხედრო წვრთნაზე გამოსული იმპერატორი, მის ერთგულ ჰერაკლიოსთან ერთად, მათ მახვილებით აჰკუწეს (455 წლის 16 მარტი). დამსწრეთაგან მიშველება არავის უცდია, — ყველა არხეინად უყურებდა „თვალის ალირს".

იმპერატორად გამოცხადდა პ ე ტ რ ო ნ ი უ ს მ ა ქ ს ი მ ე, რომელმაც ცოლად შეირთო იმპერატორის ქვრივი ევდოქსია. ეს ქორწინება პეტრონიუსისთვის და მთელი რომისთვის დამღუპველი შეიქნა. ევდოქსიამ რომზე თავდასასხმელად მოიწვია ვანდალთა მეფე ჰენზერიხი, რომელმაც ჰუნთა შემოსევების დროს ხელი გაიხსნა და მთელი აფრიკის, ნუმიდიისა და მავრიტანიის პროვინციები დაიპყრო: იგი წარმატებით ლაშქრავდა და ძარცვავდა სიცილიას, სარდინიას, კორსიკას, ბალეარის კუნძულებს; ზღვიდან პურის შემოტანაც შეწყდა და რომშიც შიმშილმა დაისადგურა. ახლა ჰენზერიხს რომში თვითონ რომის დედოფალი იწვევდა. ვანდალ ბარბაროსს დიდსულოვანი მფარველი რაინდის როლის გათამაშებაც კი შეეძლო.

ვანდალები ტიბრის შესართავში შევიდნენ, ოსტია აიღეს და რომისაკენ დაიძრნენ. პეტრონიუს მაქსიმემ რომიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ ხალხმა ქუჩაში შეიპყრო, მოჰკლა და ტიბრში გადაგდო (455 წლის 12 ივნისი). პაპი ლეო დიდი ისევ გავიდა საელჩოდ, მაგრამ ჰენზერიხმა ატილას მსგავსად როდი მოუსმინა მას. მან მხოლოდ ეკლესიების ხელშეუხებლობა აღუთქვა მღვდელმთავარს.

455 წლის 15 ივნისს, ალარიხის შემოსევიდან 45 წლის შემდგომ, რომი ხელმეორედ აიღეს ბარბაროსებმა — ვანდალებმა. დედოფალი ევდოქსია მდიდრულად მორთულ-მოკაზმული შეხვდა თავის „განმათავისუფლებელს". ორი კვირის განმავლობაში ისინი „ვანდალურად" ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, ამსხვრევდნენ, წვავდნენ და აოხრებდნენ იმპერიის გულს. საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ქვეყნებიდან ნაძარცვად თუ ძღვნად დაგროვილი აურაცხელი ძვირფასეულობა, — რაც კი ვესტგოთებს გადაურჩა, ან მათი შემოსევის შემდგომ დაგროვდა — ყველაფერი ვანდალების

ხელში აღმოჩნდა. გემებზე აიყვანეს მრავალი ტყვე ქალ-ვაჟი წარჩინებული რომაული ოჯახებიდან. მათ გაჰყვა დედოფალი ევდოქსიაც თავისი ორი ასულით.

ვანდალებმა რომის შემდგომ გაძარცვეს მთელი კამპანია მისი მთავარი ქალაქებით — კაპუა, ნოლა, ნეაპოლი. ბოლოს აურაცხელი ქონებით დატვირთული გემებით დაბრუნდნენ კართაგენში.

4. პოლიტიკური ეფემერიზმი

ვანდალებმა მათგანვე გაძარცული და დაქცეული რომი უპატრონოდ და უიმპერატოროდ დააგდეს, — თითქოს იგი ღირსიც ალარ ყოფილიყო ახალი ხელმწიფის არჩევისა. ბოლოს, იმავე 455 წელს, რომის იმპერატორად გამოცხადდა ფ ლ ა ვ ი უ ს ა ვ ი ტ უ ს ი, ფრიად წარჩინებული, მდიდარი მოქალაქე, წარმოშობით გალი, განათლებული იურისტი, ლიტერატორი და მამაცი ჯარისკაცი. ავიტუსის გახელმწიფება ვესტგოთთა ზეგავლენით მოხდა. სენატსა და მარკიანეს ისღა დარჩენოდათ, ეცნოთ ახალი იმპერატორი.

მაგრამ ავიტუსმა ერთი წელიც ვერ ატარა იმპერატორის ტოგა. 456 წელს იგი ტახტიდან გადმოაგდო სარდალმა რ ი ც ი მ ე რ მ ა, მამაცმა, ცბიერმა და სასტიკმა ბარბაროსმა (მამით — სვევი, დედით — ვესტგოთი). რიციმერმა, რომელმაც ადრე სახელი გაითქვა ვანდალების დამარცხებით, რომის იმპერატორად გამოაცხადა მ ა ი ო რ ი ა ნ ი. მამაცი მეომარი, „მტრის რისხვა და ქვეშევრდომთა გულმოწყალება". რიციმერს უნდოდა გადაყენებული ავიტუსი პლაცენციის ეპისკოპოსად გამოეცხადებინა, მაგრამ სენატმა ყოფილ ხელმწიფეს სიკვდილი მიუსაჯა; ავიტუსი გალიაში გაიქცა და იქ გარდაიცვალა.

მაიორიანი ოთხი წელი (457—461 წწ.) განაგებდა რომის იმპერიას. იგი ამაოდ ცდილობდა აღედგინა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე და წესრიგი.

458—460 წლებში მაიორიანი ლაშქრობდა გალიასა და ესპანეთში. მან ფეხით და მთლიანი ჯარისკაცული ამუნიციით გადაიარა ალპები და არელატის მახლობლად დაამარცხა ვესტგოთთა მეფე თ ე ო დ ო რ ი ხ ი, რომელმაც მაშინვე შერიგება ითხოვა. გალიიდან მაიორიანი გაეშურა ესპანეთში. აქედან იგი ამზადებდა დიდ ექსპედიციას ვანდალებზე, რომლებიც აქამდე დაუსჯელად დათარეშობდნენ მთელს დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ესპანეთი ენერგიული იმპერატორის მორჩილი შეიქნა და ახალი კართაგენის პორტშიც საზღვაო ფლოტი გამზადდა 300 გემის შემადგენლობით. ყვე-

ლაფერი მზად იყო აფრიკაში ვანდალების წინააღმდეგ გასალაშქრებ-ლად. ჰენზერიხი შეშინდა და იმპერატორთან შერიგება ითხოვა. მაიორიანი ვანდალთა მეფის ვერაგულ ხასიათს იცნობდა და ზავის დადებას აყოვნებდა. ამასობაში იმპერატორის მოღალატეთა მეოხებით ჰენზერიხმა მოულოდნელი თავდასხმა მოაწყო რომაელთა ფლოტზე და გემების უმრავლესობა ან ჩაძირა, ან ხელთ იგდო (460 წ.). მაიორიანი ზავის დადებაზე დათანხმდა. ჰენზერიხმა პირობა დადო, რომ ხელს აიღებდა იტალიაზე თავდასხმებისაგან.

მალე, ამის შემდეგ, მაიორიანი დაიღუპა. იგი შეთქმულებმა მოჰკლეს ესპანეთიდან დაბრუნებისას, რომისაკენ მიმავალ გზაზე (461 წლის 7 აგვისტო). შეთქმულების ორგანიზატორი იყო რიციმერი, რომელიც ძალიან შეუშფოთებია მაიორიანის ავტორიტეტის ზრდას.

რიციმერი, როგორც ბარბაროსი, მაინც ვერ ბედავდა თავი იმპერატორად გამოეცხადებინა: მან ამჯერად ფიქტიური ხელმწიფობა მიაჩეჩა ვინმე ლ ი ბ ი უ ს სე ვ ე რ უ ს ს, სავსებით უსუსურ და უნებისყოფო კაცს, რომელიც ფაქტიურად არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მისი არარაობა იმითაც დამტკიცდა, რომ იმპერიას მისი გარდაცვალებაც (465 წ.) კი არ შეუტყვია.

453 წელს კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა დედოფალი პულხერია. მის მაგივრად აღმოსავლეთ იმპერიას ოთხი წელი განაგებდა მარკიანე, ხოლო მარკიანეს სიკვდილის (457 წ.) შემდეგ კონსტანტინოპოლის იმპერატორობა ხელთ იგდო ილირიელმა სარდალმა ლ ე ო მ.

ლ ე ო I დიდ ხანს (457—475 წწ.) განაგებდა აღმოსავლეთ იმპერიას. მან მოახერხა მშვიდობიანობის ჩამოგდება ვანდალებთან, თუმცა ეს ზავი დიდ გამოსასყიდ თანხად დაუჯდა კონსტანტინოპოლის სასახლეს. ჰენზერიხმა იმპერატორ ლეოს თხოვნით გაათავისუფლა, რომიდან ტყვეობაში წაყვანილი ევდოქსია მისი ერთი ქალიშვილით, ხოლო მეორე ასული ჰენზერიხმა თავის ვაჟს ჰ უ ნ ე რ ი ხ ს შერთო ცოლად.

ჰენზერიხმა კონსტანტინოპოლთან დაზავების შემდგომ კვლავ განაახლა თავდასხმები იტალიაზე. რიციმერმა, რომელმაც ჩრდილოეთ იტალიაში ალანების განადგურებით აიმაღლა სარდლის ავტორიტეტი, მაინც ვერ შეძლო ვანდალთაგან იტალიის დახსნა. ამიტომ მან ლეო I-ს სთხოვა, დაენიშნა იმპერატორი რომისათვის.

რომის ახალ იმპერატორად შერჩეულ იქნა პატრიციუსი ა ნ თ ი მ ო ზ ი (467—472 წწ.), რომელსაც მანამდე რამდენიმე მაღალი მაგისტრატურა გამოეცალა და ბოლოს მარკიანეს სიძეც კი გამხდარი-

ყო. თვით იმპერატორი ლეო ანთიმოზს თავის „საყვარელ ძეს“ უწოდებდა.

ანთიმოზმა რიციმერთან დასაახლოებლად მას ცოლად შერთო თავისი ასული.

კონსტანტინოპოლმა და რომმა გადაწყვიტეს ერთად ეომნათ ვანდალთა ასალაგმავად. იმპერატორებს შეუერთდა მამაცი მარცელინუსი, რომელიც თითქმის სავსებით დამოუკიდებლად განაგებდა დალმაციას. მარცელინუსს ვანდალებთან ბრძოლის გამოცდილების მიღებაც მოესწრო: მისმა ფლოტმა ვანდალები გააძევა სარდინიიდან.

468 წელს დაიწყო გადამწყვეტი შეტევები ვანდალთა წინააღმდეგ. სახმელეთო გზით, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროთა გაყოლებით, კართაგენისაკენ მიეშურებოდა ეგვიპტის მმართველი ჰერაკლიოსი, ხოლო ზღვით, ჰენზერიხის სატახტოსკენ მიცურავდა კონსტანტინოპოლის ფლოტი 1.113 გემით. ფლოტს სარდლობდა ლეო I-ის ცოლისძმა ბასილისკე.

ბონუსის კონცხთან, კართაგენის მახლობლად, ცბიერმა ჰენზერიხმა, თითქოს და შერიგების მოსურნემ, სავსებით ადვილად გააბრიყვა ყოვლად უნიჭო ბასილისკე, მოადუნა მისი ყურადღება მოჩვენებითი მოლაპარაკებით. ერთ ღამეს ვანდალები მიეპარნენ მტრის გემებს და ცეცხლი გაუჩინეს. იმავე დროს ჰენზერიხმა იერიში მიიტანა მოულოდნელი ხანძრით თავზარდაცემულ და დაბნეულ მოწინააღმდეგეებზე. ფლოტი განადგურდა; შერცხვენილი ბასილისკე კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და მისმა დამ, დედოფალმა, ძლივს დაიხსნა ქმრის რისხვისაგან. ხელცარიელი დაბრუნდა ეგვიპტეში ჰერაკლიოსიც. ხოლო მარცელინუსი, ჰენზერიხის ყველაზე ნიჭიერი და მამაცი მეტოქე, სიცილიაში მუხანათურად მოჰკლა რიციმერისაგან მიგზავნილმა მკვლელმა.

ჰენზერიხს ფრთები შეასხა ახალმა დიდმა გამარჯვებამ. მან ახალი ძალითა და აუწერელი სისასტიკით განაახლა თავდასხმები ხმელთაშუა ზღვის შიდა ქვეყნებზე. ვანდალებმა ხელახლა დაიპყრეს ტრიპოლი, სარდინია და სიცილია. ბოლოს ჰენზერიხმა კავშირი შეჰკრა ოსტგოთებთანაც და ვესტგოთებთანაც და აღმოსავლეთ-დასავლეთ რომის იმპერიათა სრული განადგურების გეგმაც მანვე წარმოადგინა.

გეგმა სამმხრივ შეტევას ითვალისწინებდა: ოსტგოთები — კონსტანტინოპოლ-ბალკანეთზე, ვესტგოთები — იტალია-რომზე, ხოლო ვანდალები სამხრეთიდან, ზღვებიდან — ორივე მიმართულებით.

მაგრამ მოვლენები ისე სწრაფად დატრიალდა, რომ ასეთი ცო-

ტად თუ ბევრად დიდი გეგმებიც აღარ გახდა საჭირო თითქმის უკვე წაქცეული რომის გასანადგურებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, სარდალ რიციმერსა და იმპერატორ ანთიმოზს შორის დამოყვრების მიუხედავად, მტრული ურთიერთობა ჩამოვარდა. ისინი ვერ შეარიგა ვერც პავიის ეპისკოპოსმა, „მტრედივით მშვიდმა და გველივით ბრძენმა" ეპიფანემ. რიციმერს უკვე ჰენზერიხთან ჰქონდა კავშირი და მისივე რჩევით იმპერატორად გამოაცხადა სენატორი ოლიბრიუსი. შემდეგ დასახმარებლად მოიწვია ბურგუნდიელები, თავისი თანამემამულე სვევები და მედიოლანიდან პირდაპირ რომისაკენ დაიძრა.

472 წლის 11 ივლისს, ხუთი თვის ალყის, შიმშილისა და ჟამიანობის შემდეგ, კიდევ ერთჯერ დაეცა რომი. რიციმერმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა გააჩაღა ქალაქში. ანთიმოზი შეიპყრეს და მოკლეს. 20 აგვისტოს ჭირისაგან მოკვდა თვითონ რიციმერი, ხოლო 23 ოქტომბერს — ოლიბრიუსი.

რიციმერმა სიკვდილის წინ მთავარსარდლობა გადასცა თავის ძმისწულს, ბურგუნდიელ მთავარს, გუნდობალდს, რომელმაც იმპერატორად გამოაცხადა გლიკერიუსი, გაურკვეველი წარმოშობის კაცი. მაგრამ კონსტანტინოპოლმა გლიკერიუსი არ სცნო და რომის კანონიერ იმპერატორად გამოაცხადა (474 წ.) დალმაციის ლეგიონთა მთავარსარდალი იულიუს ნეპოტი, მარცელინუსის ძმისწული.

როცა იულიუს ნეპოტი რომის კედლებს არმიით მიადგა, გლიკერიუსმა თვითონ აიღო ხელი იმპერატორობისათვის ბრძოლაზე და სალონის ეპისკოპოსობა იკმარა. მაგრამ ვერც ნეპოტმა მოახერხა ტახტ-გვირგვინის შენარჩუნება. მას აუჯანყდა ბარბაროსთა ჯარების მთავარსარდალი ორესტე, წარმოშობით პანონიიდან, ადრე ატილას ლაშქარში ნამსახური, შემდეგ რომაელთა სამსახურში შესული, მამაცი მეომარი და ნიჭიერი სარდალი. იულიუს ნეპოტი რომიდან გაიქცა და დალმაციაში დაბრუნდა, სადაც იგი ხუთი წლის მემდეგ მოკლული იქნა. რომის იმპერატორი შეიქნა ორესტე (457 წ.).

474 წელს ორი იმპერატორი მოკვდა კონსტანტინოპოლში: ლეო I და მისი შვილიშვილი ლეო II. მათი ტახტი და გვირგვინი მიიღო ლეო I-ის სიძემ ზენონ ისავრიელმა, რომელსაც არც ძალა და არც უნარი გააჩნდა დასავლეთის საქმეებში ჩარეულიყო.

475 წლის 31 ოქტომბერს ორესტემ რომის იმპერატორის გვირგვინი თავზე დაადგა თავის 15 წლის ვაჟს, რომულუსს, რო-

მელსაც მცირეწლოვანებისათვის ეწოდა „ა ვ გ უ ს ტ უ ლ უ ს ი“— „პატარა ავგუსტუსი“.

5. ფინალი

დადგა 476 წელი — დიდი ისტორიული სამანი. იმპერია უკვე იცნობს კიდევ ერთ გერმანელ (სკირელ, თუ რუგიელ) სარდალს; მისი სახელია ო დ ო ა კ რ ი. ისტორიის კაპრიზმა ფორტუნამ სწორედ მას დააკისრა ეთამაშნა „დეუს ექს მახინა“ დიდ რომაულ ტრაგედიაში.

მამამისი ე დ ე კ ო ნ ი, რუგიელი ტომის ბელადი, ატილასთან მსახურობდა და მისგან დიდი ყურადღებითაც სარგებლობდა. ატილას სიკვდილის შემდეგ, ნორიკში (ავსტრია) დასახლდა. მალე იგი ოსტგოთებთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მისი მამაცი შვილი ოდოაკრი გადარჩენილ თანამებრძოლებთან ერთად იტალიაში გაეშურა. გადმოგვცემენ, რომ წასვლის წინ ახმახი ოდოაკრი ძლივს შეეტია ნორიკის ერთ მცირე სამლოცველოში, სადაც მას ქრისტიანმა ბერმა თითქოს ასე „უწინასწარმეტყველა“: „გაბედულად გაეშურე იქით, საითაც მოგიწოდებს შენი დიდი დანიშნულება. მალე მოიშორებ მაგ ჭუჭყიან ქურქს და დაეუფლები ურიცხვ სიმდიდრეს“.

რასაკვირველია, ესაა წინასწარმეტყველება post factum. ხოლო თვით ფაქტების დინამიკა რომაული კრიზისის კანონზომიერი ფინალისაკენ მიემართება.

ოდოაკრი იტალიაში გერმანელთა უსაჩინოეს ბელადად იქცა. 476 წლის აგვისტოში ოდოაკრმა ორესტეს წაუყენა მოთხოვნა, რომლის ძალით გერმანელებს მუდმივ საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ იტალიის მიწების მესამედი. ორესტემ კატეგორიული უარით უპასუხა.

მაშინ ოდოაკრმა დაუყოვნებლივ დასძრა გერმანელები პავიისაკენ, სადაც მაშინ იდგა ორესტე. ბრბაროსებმა პავია იერიშით აიღეს, გაძარცვეს, დაანგრიეს და სისხლით დატბორეს. ორესტე შეიპყრეს და თავი გააგდებინეს.

ტრაგედიის უკანასკნელი აკორდის ხმა გაისმა 476 წ ლ ი ს 23 ა გ ვ ი ს ტ ო ს. ამ დღეს ოდოაკრმა ტახტიდან გადმოაგდო რ ო მ უ ლ უ ს ა ვ გ უ ს ტ უ ლ უ ს ი — რ ო მ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი, რომელსაც ბარბაროსთა ბელადმა, თვინიერი მორჩილებისთვის, სიცოცხლესთან ერთად უწყალობა ლუკულუსის ბრწყინვალე ვილა კამპანიაში და 6.000 ოქროს მონეტა წლიურ ხელფასად.

ოდოაკრმა აღმოსავლეთის იმპერატორ ზენონისაგან პატრიციუსის ტიტული და დასავლეთის მთავარსარდლის მაგისტრატურა მიიღო. „მსოფლიოს ცენტრის“ ადგილზე გერმანელთა სახელმწიფო შექმნა, ხოლო მის დამაარსებელს დაერქვა „გერმანელთ მეფე იტალიაში“.

ასე დამთავრდა ძველი რომის ისტორია „ab urbe condita“ („ქალაქის დაარსებიდან“) 1.230 წლის თავზე; იგი დაიწყო ლეგენდარული რომულუსით და დამთავრდა უმწეო რომულუსით.

აქვე დასრულდა ისტორია ანტიკურობისა, კაცობრიობის უდიდესი ცივილიზაციისა.

ქრონოლოგიური ნუსხა

289 — 290 — რომის იმპერიის მოსახლეობის აღწერა.
301 — დიოკლეტიანეს ედიქტი ფასების შესახებ.
285 — 286 — რომაელთა ლაშქრობანი ბაგაუდთა წინააღმდეგ.
292 — გეზორიაკის დაცემა.
296 — კონსტანციუს ხლორუსის ლაშქრობა ბრიტანეთში.
296 — ბრძოლა ანდომატუნთან.
296 — ეგვიპტის აჯანყების ჩაქრობა.
296 — უზურპატორ იულიანეს განადგურება კართაგენში.
297 — რომაელთა მარცხი კარასთან.
298 — სპარსელთა მარცხი ევფრატის პირთან.
305 — დიოკლეტიანეს გადადგომა.
306 — 337 — კონსტანტინე დიდი.
312 — ბრძოლა მულვიუსის ხიდთან.
313 — მილანოს ედიქტი.
313 — ბრძოლა ჰერაკლეასთან.
315 — ბრძოლა ციბალისთან.
324 — ბრძოლა ადრიანოპოლთან (კონტანტინე და ლიციინიუსი).
325 — ნიკეის საეკლესიო კრება.
330 — კონსტანტინოპოლის დაარსება.
348 — ბრძოლა სინგართან.
351 — ბრძოლა მურსასთან.
357 — ბრძოლა არგენტორატუმთან.
359 — 360 — ომი რომსა და სპარსეთს შორის.
363 — იულიანეს ლაშქრობა აღმოსავლეთში.
366 — ბრძოლა მარნაზე.
367 — ბრიტანელთა აჯანყება.
368 — ბრძოლა ნეკართან.
371 — ბრძოლა გერმანელთა და რომაელთა შორის.
372 — ფირმუსის აჯანყება.
374 — 375 — ბრძოლები კვადებთან და სარმატებთან.
377 — ვესტგოთთა აჯანყება.

377 — ბრძოლა „ტირიფებთან“.
378 — ბრძოლა ადრიანოპოლთან.
381 — ვესტგოთთა განადგურება დუნაიზე.
388 — ბრძოლა თეოდოსისა და მაქსიმეს შორის.
394 — ბრძოლა აქვილეასთან.
395 — რომის იმპერიის გაყოფა ორ (აღმოსავლეთ და დასავლეთ) ნაწილად.
397 — ალარიხი ბალკანეთზე.
402 — ალარიხი ჩრდილოეთ იტალიაში.
403 — ბრძოლა პოლენციასთან.
404 — რადაგაისი ჩრდილოეთ იტალიაში.
406 — ბრძოლა ფლორენციასთან.
408 წლ. 24 აგვისტო — რომის დაცემა (ალარიხი).
412 — ზავი ჰონორიუსსა და ატაულფს შორის.
413 — ჰერაკლიანეს აჯანყება,
415 — ატაულფის სიკვდილი.
428 — კავშირი ბონიფაციუსსა და ჰენზერიხს შორის.
429 — ჰენზერიხის შეჭრა აფრიკაში.
432 — ბრძოლა არიმინუმთან.
447 — თეოდოსი II-ის ზავი ჰუნებთან.
451 — ბრძოლა კატალაუნის ველზე.
452 — ჰუნები ჩრდილოეთ იტალიაში.
453 — ატილას სიკვდილი.
455 წლ. 15 ივნისი — რომის დაცემა (ჰენზერიხი).
472 წლ. 11 ივლისი — რომის დაცემა (რიციმერი),
476 წლ. 28 აგვისტო — რომის დაცემა (ოდოაკრი).

დომინატის დროის რომის იმპერატორთა ნუსხა

284 — 305 — დიოკლეტიანე.
286 — 305; 307 — 310 — მაქსიმიანე.
293 — 311 — გალერიუსი.
298 — 306 — კონსტანციუს ხლორუსი.
286 — 293 — კარაუზიუსი (ბრიტანეთში).
293 — 296 — ალეკტუსი (ბრიტანეთში).
305 — 307 — ფლავიუს სევერუსი.
305 — 313 — მაქსიმინე დაზა.
307 — 312 — მაქსენციუსი.
308 — 311 — ალექსანდრე (აფრიკაში).
308 — 324 — ლიციინიუსი.
306 — 337 — კონსტანტინე დიდი.

337 — 340 — კონსტანტინე II.
337 — 350 — კონსტანტი.
337 — 361 — კონსტანციუსი.
350 — 353 — მაგნენციუსი.
361 — 363 — იულიანე განდგომილი.
363 — 364 — იოვიანე.
364 — 375 — ვალენტინიანე I.
364 — 378 — ვალენტი.
367 — 383 — გრაციანე.
375 — 392 — ვალენტინიანე II.
383 — 388 — მაგნუს მაქსიმე.
384 — 388 — ფლავიუს ვიქტორი.
392 — 394 — ევგენიოსი.
379 — 395 — თეოდოსი I.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ რ ო მ ი ს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი:

395 — 408 — არკადიუსი.
408 — 450 — თეოდოსი II.
450 — 457 — მარკიანე.
457 — 474 — ლეო I.
474 — ლეო II.
475 — 491 — ზენონი.

დ ა ს ა ვ ლ ე თ რ ო მ ი ს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი:

395 — 423 — ჰონორიუსი.
407 — 411 — კონსტანტინე III.
409 — 410; 414 — 415 — პრისკუს ატალუსი.
421 — კონსტანციუს III.
423 — 425 — იოანე.
425 — 455 — ვალენტინიანე III.
455 — პეტრონიუს მაქსიმე.
455 — 456 — ფლავიუს ავიტუსი.
457 — 461 — მაიორიანი.
461 — 465 — ლიბიუს სევერუსი.
467 — 472 — ანთიმოზი.
472 — ოლიბრიუსი.
473 — 474 — გლიკერიუსი.
474 — 475 — ნეპოტი.
475 — 476 — რომულუს ავგუსტულუსი.

შინაარსი

თ ა ვ ი I. დიოკლეტიანეს მმართველობა . . . . . ა
1. ფომინატი 3
2. თვითონ დიოკლეტიანე 5
3. „ტეტრარქია“ 6
4. ადმინისტრაციული რეფორმა 8
5. სამხედრო რეფორმა 9
6. საგადასახადო რეფორმა 10
7. ფინანსური რეფორმა 12
8. ედიქტი ფასების შესახებ 13
9. დიოკლეტიანეს რელიგიური პოლიტიკა 14
10. აჯანყებანი დიოკლეტიანეს დროს 17
11. ომი სპარსეთთან 19
12. დიოკლეტიანეს გადადგომა 21
თ ა ვ ი II. დიოკლეტიანეს მემკვიდრეები 23
1. მეორე „ტეტრარქია“ 23
2. მრავალხელმწიფობა 24
3. კონსტანტინე და მაქსიმიანე 26
4. კონსტანტინე და მაქსენციუსი 28
5. კონსტანტინე და ლიციინიუსი 30
თ ა ვ ი III. კონსტანტინე დიდის მმართველობა 33
1. თვითონ კონსტანტინე 33
2. კონსტანტინეს საშინაო პოლიტიკა 34
3. „ახალი რომის“ გამოცხადება 38
4. კონსტანტინე და ქრისტიანობა 41
5. კონსტანტინეს აღსასრული 44
თ ა ვ ი IV. კონსტანტინეს მემკვიდრეები 46
1. „ტრიარქია“ 46
2. კონსტანციუსის ერთმმართველობა 48
3. იულიანე განგდომილი 55
თ ა ვ ი V. გვიანრომაული იმპერიის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება . 64
თ ა ვ ი VI. გვიანრომაული კულტურა 68
1. პოეზია 68
2. ისტორია 70
3. ფილოსოფიური ლიტერატურა 74
თ ა ვ ი VII. რომის იმპერია მე-4 საუკუნის ბოლოს 78
1. იოვიანე 78
2. ვალენტინიანე და ვალენტი 79
3. გრაციანე და ვალენტი 82

4. გრაციანე და თეოდოსი 85
5. თეოდოსი დიდი 88
თ ა ვ ი VIII. დასაწყისი აღსასრულისა 92
1. არკადიუსი და ჰონორიუსი 92
2. ჰონორიუსი და თეოდოსი II 94
3. ალარიხი და სტილიხონი 95
4. ისევ ალარიხი 100
5. ალარიხის სიკვდილის შემდგომ 104
თ ა ვ ი IX. აღსასრული 107
1. ბონიფაციუსი და აეციუსი 107
2. ჰუნები და ევროპელები 109
3. ვანდალები რომში 115
4. პოლიტიკური ეფემერიზმი 117
5. ფინალი 121
ქრონოლოგიური ნუსხა 123
დომინატის დროის რომის იმპერატორთა ნუსხა 124

Лепан Давидович Сапикидзе
РИМСКАЯ ИМПЕРИЯ
часть II
(Доминат)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1972

გამომცემლობის რედაქტორი კ. ქირია
მხატვარი გ. ნადირაძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. კენკიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/I-72 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,95
უე 06902 ტირაჟი 3000 შეკვ. № 9193
ფასი 35 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чав

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного ко
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

46
46
48
55
64
68
68
70
74
78
78
79
82